საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 21 მარტი 1998 №41 (576) ფასი 50 თეთრი

## 17 ტური

| 18 მარტი | | |
|---|---|---|
| დილა | 1:2 | დინამო |
| ბათუმი | 3:0 | მაღაროელი |
| ოდიში | 0:2 | ლოკომოტივი |
| მარგვეთი | 1:2 | სამგურალი |
| თსუ | 1:0 | რუსთავი |
| ტორპედო | 4:0 | გურია |
| კოლხეთი | 3:1 | სიონი |
| 19 მარტი | | |
| მერანი | 2:1 | ვიტ ჯორჯია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 2 | 1 | 43:7 | 39 |
| ბათუმი | 17 | 10 | 5 | 2 | 33:11 | 35 |
| ოდიში | 17 | 11 | 1 | 5 | 26:24 | 34 |
| კოლხეთი | 17 | 9 | 3 | 5 | 36:17 | 30 |
| ტორპედო | 17 | 8 | 6 | 3 | 29:16 | 30 |
| თსუ | 17 | 8 | 4 | 5 | 22:13 | 28 |
| მერანი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:19 | 23 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 5 | 6 | 19:24 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 5 | 7 | 5 | 18:15 | 22 |
| დილა | 17 | 6 | 2 | 9 | 16:25 | 20 |
| სამგურალი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:33 | 18 |
| სიონი | 17 | 5 | 5 | 7 | 26:22 | 15 |
| რუსთავი | 17 | 5 | 0 | 12 | 15:31 | 15 |
| გურია | 17 | 3 | 5 | 9 | 19:35 | 14 |
| მაღაროელი | 17 | 3 | 2 | 12 | 13:39 | 11 |
| მარგვეთი | 17 | 1 | 4 | 12 | 13:40 | 7 |

რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე



გუშინწინ ვაკეში: თსუ — „ვიტ ჯორჯია".
მერანელმა მაზანაშვილმა მაისურაძეს და C°-ს გამარჯვებისა გაუტანა

გურამ ცერცვაძის ფოტო

# მორჩა, წილისყრა აღარ იქნება!

## გუშინ ევროთასების ნახევარფინალებში დაწყვილდნენ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**იუვენტუსი — მონაკო**

**რეალი — დორტმუნდი**

პირველი მატჩები 1 აპრილს, საპასუხო — 15 აპრილს

UEFA CUP

**ინტერი — სპარტაკი**

**ატლეტიკო — ლაციო**

პირველი მატჩები 31 მარტს, საპასუხო — 14 აპრილს

UEFA Cup Winners' Cup

**შტუტგარტი — ლოკომოტივი**

**ვიჩენცა — ჩელსი**

პირველი მატჩები 2 აპრილს, საპასუხო — 16 აპრილს

ჩემპიონთა თასის გასული გათამაშების ფინალისტები „დორტმუნდი" და „იუვენტუსი" შესაძლოა წლეულსაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაპირისპირდნენ. ასე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს გუშინ უეფას შტაბბინაში გამართული კენჭისყრა, რომელმაც ეს ორი გუნდი ნახევარფინალში ერთმანეთს აარიდა.

უეფას თასზე ერთმანეთს აცდნენ იტალიური სერია A-ს ტიტულისთვის მებრძოლი რომის „ლაციო" და მილანის „ინტერი". ეს მას ნიშნავს, რომ გამორიცხული არაა მაისში იტალიური ფინალის მოწმენი შევიქნათ.

თასების თასზე „ვიჩენცასა" და „ჩელსის" დუელი ალბათ უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე „შტუტგარტისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის".

ჩემპიონთა თასის მფლობელი „დორტმუნდი" ბედმა მადრიდის „რეალს" გადაჰყარა.

— „რეალი" ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. ჩვენ მას ვიცნობთ, ვნახეთ მისი თამაში „ლევერკუზენთან", ასე რომ მზად ვართ — ბრძანა დორტმუნდელთა შეფმა-ადმინისტრატორმა კრისტიან ჰოკენიოსმა — ვიცი ძნელი იქნება, მაგრამ ბედნიერნი ვართ უდიდეს გუნდთან დაპირისპირება რომ გვერგო.

„იუვენტუსი" მოგეხსენებათ ზედიზედ მესამედ ლამობს ჩემპიონთა თასის ფინალში გასვლას. საამისოდ მას „მონაკოს" დამარცხება მოუწევს, იმ „მონაკოსი", რომელმაც მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა.

— ყველა შესაძლო ვარიანტიდან უარესი გვერგო, მაგრამ შევახსენებთ, რომ მეოთხედფინალის წინ „მანჩესტერ იუნაიტედი" ფრიად გვნატრულობდა, ნახევარფინალს კი ჩვენ შემოვრჩით და არა ის. დარჩენილ ოთხეულში მხოლოდ „მონაკოა" უტიტულო დანარჩენები ერთობ ტიტულოვანნი არიან. რა გაეწყობა, ამის გამო კაპიტულაციას არ ვაპირებთ. — ეს სიტყვები „მონაკოს" ტექნიკურ დირექტორს ანრი ბიენშერის ეკუთვნის.

უეფას თასის გასული გათამაშების დამარცხებული ფინალისტი „ინტერი" „აიაქსის" ძლევით სახელდაგდებულ მოსკოვის „სპარტაკს" გაეჯიბრება.

— ჩვენ გვიწევს თამაში იმ გუნდთან „აიაქსი" რომ გააგდო და ხუთი ფეხბურთელი რუსეთის ნაკრებში ჰყავს. „სპარტაკი" ძალიან ძლიერია, მაგრამ ჩვენ პირველი თამაში მილანში, არც ეს იმას მაინც ნიშნავს, რომ ყინვაში არ მოვხვდებით — განაცხადა „ინტერის" წარმომადგენელმა, წარსულში ცნობილმა მოთამაშემ, ჯაჩინტო ფაკეტიმ.

თასების თასის წყვილზე „ვიჩენცა" — „ჩელსიზე" რა შეიძლება ითქვას? ეს იქნება ჯანლუკა ვიალის თანამემამულეებთან დაპირისპირება.

EURO 2000

კალენდარი

# უეფას უბრძანებია

კიდევ კარგი, ჩვენი ჯგუფის წევრ ნაკრებთა თავკაცები ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კალენდარზე თავადვე შეთანხმდნენ, თორემ, ვინ იცის, უეფა როგორ აზრს მოგვახვევდა თავს. მეორე ჯგუფელთა მსგავსად ჭკუა-გონება კიდევ ხუთი ჯგუფის წარმომადგენელთ ეყოთ და მოილაპარაკეს. აი, პირველ ჯგუფში იტალია, დანია, შვეიცარია, მეხუთეში ინგლისი, ბულგარეთი, პოლონეთი და მეშვიდეში პორტუგალი, რუმინეთი, უნგრეთი თავ-თავისაზე ჯიუტად დადგნენ. ჰოდა, ახლა ამ ქვეყნებს უეფას მიერ გუშინ ლოზანაში შედგენილ-დამტკიცებული კალენდრით მოუწევთ ფინალური ეტაპის საგზურებისთვის ბრძოლა.

| I ჯგუფი | V ჯგუფი | VII ჯგუფი |
|---|---|---|
| **1998 წელი** | | |
| 5-6 სექტემბერი<br>უელსი — იტალია<br>ბელარუსი — დანია<br>10-11 ოქტომბერი<br>იტალია — შვეიცარია<br>დანია — უელსი<br>13-14 ოქტომბერი<br>უელსი — ბელარუსი<br>შვეიცარია — დანია | 5-6 სექტემბერი<br>ბულგარეთი — პოლონეთი<br>შვედეთი — ინგლისი<br>10-11 ოქტომბერი<br>პოლონეთი — ლუქსემბურგი<br>ინგლისი — ბულგარეთი<br>13-14 ოქტომბერი<br>ბულგარეთი — შვედეთი<br>ლუქსემბურგი — ინგლისი | 5-6 სექტემბერი: უნგრეთი — პორტუგალია, რუმინეთი — ლიხტენშტაინი, სლოვაკეთი — აზერბაიჯანი<br>10-11 ოქტომბერი: პორტუგალია — რუმინეთი, ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი, აზერბაიჯანი — უნგრეთი<br>13-14 ოქტომბერი: სლოვაკეთი — პორტუგალია, უნგრეთი — რუმინეთი, ლიხტენშტაინი — აზერბაიჯანი |
| **1999 წელი** | | |
| 27-28 მარტი<br>ბელარუსი — შვეიცარია<br>დანია — იტალია<br>30-31 მარტი<br>შვეიცარია — უელსი<br>იტალია — ბელარუსი<br>5-6 ივნისი<br>იტალია — უელსი<br>დანია — ბელარუსი<br>8-9 ივნისი<br>შვეიცარია — იტალია<br>უელსი — დანია<br>4-5 სექტემბერი<br>ბელარუსი — უელსი<br>დანია — შვეიცარია<br>7-8 სექტემბერი<br>შვეიცარია — ბელარუსი<br>იტალია — დანია<br>9-10 ოქტომბერი<br>უელსი — შვეიცარია<br>ბელარუსი — იტალია | 27-28 მარტი<br>შვედეთი — ლუქსემბურგი<br>ინგლისი — პოლონეთი<br>30-31 მარტი<br>ლუქსემბურგი — ბულგარეთი<br>პოლონეთი — შვედეთი<br>5-6 ივნისი<br>პოლონეთი — ბულგარეთი<br>ინგლისი — შვედეთი<br>8-9 ივნისი<br>ლუქსემბურგი — პოლონეთი<br>ბულგარეთი — ინგლისი<br>4-5 სექტემბერი<br>შვედეთი — ბულგარეთი<br>ინგლისი — ლუქსემბურგი<br>7-8 სექტემბერი<br>ლუქსემბურგი — შვედეთი<br>პოლონეთი — ინგლისი<br>9-10 ოქტომბერი<br>ბულგარეთი — ლუქსემბურგი<br>შვედეთი — პოლონეთი | 27-28 მარტი: რუმინეთი — სლოვაკეთი, პორტუგალია — აზერბაიჯანი, უნგრეთი — ლიხტენშტაინი<br>30-31 მარტი: სლოვაკეთი — უნგრეთი, ლიხტენშტაინი — პორტუგალია, აზერბაიჯანი — რუმინეთი<br>5-6 ივნისი: პორტუგალია — სლოვაკეთი, რუმინეთი — უნგრეთი, აზერბაიჯანი — ლიხტენშტაინი<br>8-9 ივნისი: უნგრეთი — სლოვაკეთი, პორტუგალია — ლიხტენშტაინი, რუმინეთი — აზერბაიჯანი<br>4-5 სექტემბერი: სლოვაკეთი — რუმინეთი, აზერბაიჯანი — პორტუგალია, ლიხტენშტაინი — უნგრეთი<br>7-8 სექტემბერი: რუმინეთი — პორტუგალია, სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი, უნგრეთი — აზერბაიჯანი<br>9-10 ოქტომბერი: პორტუგალია — უნგრეთი, ლიხტენშტაინი — რუმინეთი, აზერბაიჯანი — სლოვაკეთი |

# ვინ იქნება მეორე?

## ფედერაცია სპონსორთა საიდუმლოს ინახავს

ნებისმიერი კონტრაქტის აუცილებელი პირობაა, სანამ მხარეები ყველა დეტალზე საბოლოოდ არ შეთანხმდებიან და მოლაპარაკებას თავიანთი ხელის მოწერით არ დაამშვენებენ, მანამ ჩუმად უნდა იყვნენ. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც ასევე იქცევიან.

მოგეხსენებათ, ჩვენებურები აპენინებზე იქაურ სპორტულ ფირმა „დიადორასთან" აპირებდნენ საქმის გაჩარხვას, რათა პოპულარულმა ფირმამ შემოსოს ეროვნული გუნდი და სპონსორობა გაუწიოს. თუმცა, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ — ფედერაცია „დიადორასთან" აპირებს კონტრაქტის გაფორმებას და არა აპირებდა. ყველაფერი უახლოეს ოც დღეში გაირკვევა. წინასწარ კი მოილაპარაკეს, მაგრამ საბოლოოდ ჯერ არ შეთანხმებულან. ფედერაცია ფირმის პასუხს ელის, მათი თანხმობის შემთხვევაში კი ხელსაც მოაწერენ. იამანიძის №5-ში ამიტომაც ამჯობინებენ დუმილს. კონტრაქტის შესაძლო პირობები რომ გამოვამზეუროთ, ჩათვალეთ — „დიადორა" ჩვენთან საქმეს შეწყვეტსო, გვითხრეს ფედერაციაში.

„დიადორამდე" ქართველები უკეთესი ვარიანტის ძიებამ მიიყვანა. კი, „ადიდასი" თანახმა იყო და ახლაც ყაბულშაა, დააფინანსოს საქართველოს გუნდი, მაგრამ უფრო სარფიანი პირობებისთვის იტალიასაც ჩაალწიეს. რას ერჩი, კარგია, როცა ასე ფიქრობენ. თუ ნაკრების მაისურს „ადიდასის" წარწერა არ დაამშვენებს, ქვეყანა როდი დაიქცევა, იყოს „დიადორა", თუნდაც სხვა ფირმა, მთავარია, ფეხბურთის ფედერაციამ როგორმე თავი მოაბას ხელსაყრელ ფირმასთან კონტრაქტის გაფორმებას, ეგებ ოდნავი ხეირი მიანც დაგვადგეს. ისე, ქართველებს ერთი კონტრაქტის გაფორმება მოუსწრიათ — ამიერიდან ეროვნული გუნდის ერთ-ერთი სპონსორი იტალიურივე სამედიცინო ფირმა „სიქსთუსი" იქნება, რომელიც ფეხბურთელთა ჯანმრთელობაზე იზრუნებს.

მოკლედ, ერთი სპონსორი უკვე არის, ვინ იქნება მეორე? არაა გამორიცხული, იგივე „ადიდასი", გააჩნია „დიადორას" პირობებს. მოსალოდნელია, სხვა ფირმაც იყოს რიგში, ოღონდ რომელი, ჯერჯერობით ესეც საიდუმლოა, ფაქტი ერთია — ჩვენები ამ ინკოგნიტო ფირმასაც დალაპარაკებიან. არის კიდევ ერთი, უკვე არაერთგზის თქმული — „კოკა-კოლა", რომლის წარმომადგენლების ჰონგკონგიდან დაბრუნებას ელიან. ვნახოთ, ვინ შემოსავს ნაკრებს? ეს კითხვა ისევ აქტუალურია. ისე კი, ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოს ახალფორმიანი ნაკრები საკუთარმა ქომაგმა თბილისში ვერ იხილოს, რომლის საშიშროებაც უკვე რეალურია. საქმე ისაა, რომ იტალიამდე ფედერაციელებმა გზად უეფაში შეიარეს, სადაც მკაცრად გააფრთხილეს — პირველ ივნისამდე სტადიონზე ინდივიდუალურ სკამებს თუ არ დაამონტაჟებთ, კომისარი ვალდებული იქნება, თამაში არ ჩაატაროსო. თბილისის ეროვნული სტადიონის მდგომარეობა კი ყველას კარგად მოეხსენება. უფრო უკეთ, რომ გამზადდებით, [illegible] სტანდარტებს საქართველოში მხოლოდ ბათუმის სტადიონი პასუხობს.

**კობა ინასარიძე**

---

თბილისი
„26 მაისი"
19 მარტი

ვიტ

**მერანი 2:1 ვიტ ჯორჯია**

**მერანი:** ნაჭყეპია, ივანიშვილი, ჯიშკარიანი, გოგიტაძე, გენაძე, აბაზაძე, კაპანაძე, ინიაშვილი, მესხი, მაზანაშვილი, დავითაშვილი (ბუხრიკიძე 90)
**ვიტ ჯორჯია:** დავით ჯანელიძე, მ. ბურდული, მაისურაძე, ჭოხონელიძე, ს. არჩვაძე, დვალიშვილი, ვ. ქუთათელაძე, ნადირაძე, კაჭარავა, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი
0:1 ჭოხონელიძე (38), 1:1 აბაზაძე (50), 2:1 მაზანაშვილი (52)
**გაფრთხილება:** არჩვაძე
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი**

# მტერი გაუზრდიათ

მიუხედავად ყველაფრისა, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, გოლი დვალიშვილის დამსახურებაა. სწორედ მისი წაქცევისთვის დაინიშნა ჯარიმა, რომელიც ჭუმბურიძემ ჩააწოდა და ჭოხონელიძემ თავით შეაგდო. ფანიაშვილმა ჯარიმა დანიშნა თუ არა, დვალიშვილი მაისურაძესა და ჭოხონელიძეს შეუჩნდა, საჯარიმოში ჩადითო. მანამ არ მოისვენა, სანამ თანაგუნდელი მეოთხე ნომერი მასპინძელთა საჯარიმოში არ ჩაიყვანა. გოლზე კი ზემოთ გითხარით. ისე, ამ ეპიზოდში ნაჭყეპიას გამოსვლაზე თამაშიც მართებდა.

ნათქვამია, კარგი მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო. ჯონი ჯანელიძეს ჩვენს ფეხბურთს დიდი ხანია, ემსახურება... მეტს ვერაფერს ვიტყვი, ვერაფერს დავიჩემებ, მაგრამ ფაქტია, მეორე ტაიმში „მერანი" გაცილებით უკეთესი იყო.



ჯანელიძემ ამჯერადაც მოიგერია სტუმარ კაპანაძისა და მესხის შეტევა

გუშინ ავჭალელები „სინათლის" სტადიონიდან აიყარნენ და ვეტერინართა სამასპინძლოდ ვაკელებს სთხოვეს მინდორი. ამათაც არ დაუჭერიათ, მერანელებს დახმარების ხელი გაუწოდეს. „სინათლეზე" კი მიწა სულ ახალი შეტანილია და როდის დაიტკეპნება, ღმერთმა უწყის.

ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში თამაშის გადმოტანამ ორივე გუნდი თანაბარ პირობებში ჩააყენა. ფაქტობრივად, ნეიტრალურ მინდორზე მოუწიათ ბურთაობამ და ბრძოლაში „მერანმა" იმარჯვა.

დიახ, ბრძოლაში, თორემ მატჩი სხვა მხრივ ყველანაირ სილამაზეს მოკლებული გახლდათ. რა შეიძლება მასპინძელზე ვთქვათ? ბევრიც არაფერი, უბრალოდ, „მერანი" შედარებით უფრო გამოცდილი, ტექნიკური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, თამაშითაც უფრო აზრიანად ირჯება და ამ ჩემპიონატში საფრთხე არსაიდან ემუქრება. გათამაშების ცხრილში ზევით თუ ვერ აიწევს, არც მაინცდამაინც დაქვეითება ემუქრება. იბურთავებენ გულდამშვიდებულნი და თავიანთ ჭიას გაახარებენ.

რაც შეეხება „ვიტ ჯორჯიას", ძლიერ გაუჭირდება. გუნდი იმის აჩრდილიღა დარჩენილა, პირველ წრეში რომ იყო. სამი ფეხბურთელიღა შერჩენიათ ისეთი, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა, დანარჩენებს ოსტატობა და გამოცდილება აკლიათ. ჯანელიძის, მაისურაძის და ჭუმბურიძის მონდომება კი საქმეს ვერ შველის. მაისურაძეს ნახევარდაცვაშიც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, [illegible] და დაცემაც თავსატეხი პრობლემაა.

არ ვიცი, რას ფიქრობდა ელგუჯა გუგუშვილი, როცა აბაზაძემ ანგარიში გაქვითა. დიმა ხომ მის ხელში გაიზარდა და დაეუფლა ფეხბურთის ანბანს. იქნებ მწვრთნელს იმ აზრმაც გაუელვა, უბეში მტერი გამიზრდიაო... აბაზაძემაც თავით გაიტანა — როცა ინიაშვილმა კუთხური ჩააწოდა, იგი ბურთს საჭირო ადგილზე დახვდა.

სტუმრებს ერთი გოლი ვერ მოენელებიათ, როცა მეორეც გაუშვეს — მაზანაშვილმა კარგად ისარგებლა ვეტერინართა დაცვაში შექმნილი არეულობით და ჯანელიძეს ახლოდან გაუტანა. ისე, სტუმრებს მეკარეზე აუგი არ უნდა დასცდეთ. დათომ გუშინ გუნდი არაერთხელ იხსნა.

ერთიც უნდა ითქვას. ადრინდელ „მორკინალს", დღეს კი „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონატში დედაქალაქური დერბი ჯერაც ვერ მოუგია. ესეც, კარგი თუ ცუდი, კიდევ ერთი ტრადიცია გახლავთ, რომელიც გუგუშვილის გუნდს აკვიატებია.

ფოთი
„ფაზისი"
18 მარტი

**კოლხეთი 3:1 სიონი**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ჩხენკელი (ჯლამაძე 81), ტორჩინავა, გიორგაძე, გიორგობიანი, ლალანიძე, ნოზაძე (ბაჩილავა 77), დ. მახარაძე, სუხიაშვილი, ნიჟნიაძე (კრასოვსკი 69), პაპავა
**სიონი:** დალაქიშვილი (ბინაძე 46), გ. ჩომახიძე, ყიფშიძე, შაკიაშვილი, კ. ნიკლაური, მ. სამხარაძე, ტატარაშვილი (ხ. ლოგბაძე 46), [illegible] ჯ. ნიკლაური
1:0 ლალანიძე (12), 2:0 ნოზაძე (75), 3:0 [illegible], 3:1 ჯ. ნიკლაური (89)
**გაფრთხილება:** ბინაძე
**მსაჯი:** გ. ასვარლიძე (ქარელი)

---

17 ტური

# მეკარეებმა ტრადიცია დაარღვიეს

**წინა ტურის გოლნაკლულობა გუნდებმა ოთხშაბათ-ხუთშაბათს აინაზღაურეს. ამჯერად 23 გოლი გავიდა. ორმა, „ბათუმმა" და „ტორპედომ" დიდი ანგარიშით მოიგეს. ოთხი გუნდი, „ოდიში" „რუსთავი", „მაღაროელი" და „გურია" კი მშრალად დამარცხდნენ.**

### მოვლენა — დილა 1:2 დინამო

ამ ტურში ბევრი რამ მოხდა საინტერესო. „კოლხეთმა" და „ტორპედომ" ტრიუმფალური სვლა განაგრძეს. „ბათუმი" და თსუ გამოერკვნენ, „ლოკომოტივმა" ზუგდიდში „ოდიშს" მოუგო. „მარგვეთი" შინ „სამგურალთან" დამარცხდა და სასტიკი განაჩენი — მეორე ჯგუფში გავარდნა — მოიახლოვა. მეტიც რაღა უნდა მომხდარიყო, მაგრამ სასიამოვნო მოულოდნელობა „დინამოსთან" გაწეული გორელთა წინააღმდეგობა გახლდათ.

„დილა" ის გუნდია, შინ ტოლს რომ არავის დაუდებს, მაგრამ სხვაა, ჩემპიონს რომ თანაბრად ეთამაშები და დაჩაგრავ კიდეც. გორელები ასე ახლოს წარმატებასთან მხოლოდ ერთხელ იყვნენ, 1994 წელს თბილისელებს 0:0 რომ ეთამაშნენ. „დილას" ამჯერად მოგებაც შეეძლო, მაგრამ წაგებული კი დარჩა. და მაინც, რაკი ჩვენში საჯილდაო ქვა „დინამოა", მასთან გამოჩენილი სიჩაუქე სასიამოვნო მოვლენაა.

### ოდიში 0:2 ლოკომოტივი — სკანდალი და მოულოდნელობა

ზოგს რომ ჰკითხოთ, „ოდიშის" საშინაო მარცხი მოულოდნელობა სულაც არ გახლდათ. მოარული ხმები ამბობენ, ზუგდიდელებს ევროტურნირებზე გასვლა გულით არ სწადიათ და დარჩენილ თამაშებში თავს აღარ მოიკლავენო. ასეთი ვერსიის რეალურობაში ეჭვი „ოდიშის" ჭიათურაში მოგებამ შეიტანა. განა უფრო იოლი არაა, სტუმრად წაგება მსაჯს დააბრალო და შინ გავეშებულ გულშემატკივართა გულისწყრომა არ დაიტეხო? პასუხი აქაც მზადაა — „ოდიში" გასავარდნად გახაზირებული „მაღაროელის" ჯალათად გამოიყენეს, შინ „ლოკომოტივთან" მოგება კი ზუგდიდელთ ქულებს მოუჭარბებდათ, რაც ევროთასებზე ვერგასვლის შანსს შეუმცირებდათო.

საოცარი სიტუაციაა. ეს ვერსიები გუშინ ზუგდიდიდან შემოხმიანებულმა „ოდიშის" პრეზიდენტმა ვახტანგ ნანავამაც ვერ უარყო ხელაღებით. არადა, გუიშდელი სატელეფონო ზარის მიზეზი თამაზ ლაცაბიძით თითქოსდა არაობიექტური მსაჯობით აღშფოთება იყო.

ცხელ გულზე ლაცაბიძე „ოდიშის" თავკაცმა ბადრი თუთბერიძემაც გამოლანძღა. მოკლედ, ამ გამოცხადებული წაგების ქრონიკა მაინც მოულოდნელი და აღმაშფოთებელი გამოდგა.

### გმირი — ზურაბ ბათიაშვილი

ბოლო კვირათა პრესაში ხშირად ნახავდით ამგვარ სათაურებს — „ნუ დაუნიშნავთ პენალტს", „პენალტი გოლი არ არის"... დიახ, „დინამომ" ამ გაზაფხულზე ორი პენალტი ვერ გაიტანა. ამ ტურში კი თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმულით „რუსთავმა" ვერ იხეირა. სამივე პენალტი მეკარეებმა აიღეს. ბოლოჯერ თსუ-ს მეკარემ ზურაბ ბათიაშვილმა ივარგა. ეს ამ ახალგაზრდა გოლკიპერისთვის პირველი ხეირი როდი იყო. შარშან ზურამ ორი პენალტის მოგერიებით საქართველოს 17 წლამდე ნაკრებს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები მოაგებინა.

### ბადრი თუთბერიძე — ანტიგმირი

ბადრი თუთბერიძე ტურის ანტიგმირი პირველად როდია. მსაჯის ლანძღვაგინებისთვის იგი მიმოხილვის ფსკერზე ადრეც მოხვედრილა. ლაცაბიძის მსაჯობით გაჯავრებულმა თუთბერიძემ ფედერაციას ორას ლარიანი ჯარიმაც დასტყუა ორთამაშიანი დისკვალიფიკაციაც.

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| ჯუმბერ კალანდაძე | ოდიში | 10 |
| პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 10 |
| დავით მუჯირი | დინამო | 10 |
| ლევან ხომერიკი | დინამო | 10 |
| გიორგი მეგრელაძე | ტორპედო | 9 |
| ელდარ გვასალია | კოლხეთი | 8 |
| შალვა ისიანი | ოდიში | 8 |
| ჰამლეტ წივწივაძე | კოლხეთი | 8 |
| გრიგოლ გვაზავა | თსუ | 7 |
| სულიკო დავითაშვილი | მერანი | 7 |
| მამუკა რუსია | თსუ | 7 |
| ლევან ქებაძე | ტორპედო | 7 |

# ძმობილები ძმის წინააღმდეგ

მაისის ბოლომდე ჯერ ორ თვეზე მეტია, მაგრამ რუსებთან დაგეგმილი ამხანაგური მატჩის მსაჯთა ვინაობა უკვე ცნობილია. ისინი მეზობელი აზერბაიჯანიდან არიან: მთავარი არბიტრ ტაჰირ სულეიმანოვს საბირ გაჯიევი და როვშან ახმედოვი დაეხმარებიან. შევიტყვეთ სხვა დეტალებიც. რუსები მატჩის წინა დღეს — 29 მაისს გვესტუმრებიან და თბილისს თამაშის დამთავრებისთანავე დატოვებენ. იგნატიევს თურმე საქართველოში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოსვლა ჩაუფიქრებია და კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დააბინავებს შეგირდებს. ჩვენებიც იქვე იცხოვრებენ, ისინი თამაშამდე ხუთი დღით ადრე შეიკრიბებიან.

ამასობაში კი [illegible] გაირკვა. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის [illegible] საქართველოს ახალგაზრდულ გუნდის მოსკოვში [illegible] ჩატარების თარიღი არ დაზუსტებულა, [illegible]

# ლოცვა-გინება მინუს ხუთის მომგონს

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა. ამჯერად ცდომილი მწვრთნელ-ფეხბურთელების საქმე გაირჩა და ფედერაციის გამოცარიელებულ სალაროს ოთხასამდე ლარი შეუვიდა.

სამტრედიასთან სათასო მატჩში დინამოელმა დათო პეტრიაშვილმა გურამ ასკაროვლის წითელი ბარათი რომ გამოსტყუა, ადრეც გაუწყეთ. პეტრიაშვილს მსაჯის გინებამ ჯიბე ასი ლარით შეუთხელა და ორმატჩიან დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. ფეხბურთელს მხოლოდ ფული აქვს გადასახდელი, თორემ ორი მატჩი, რუსთავსა და გორში, ისედაც გამოტოვა.

წითელბარათიანები — ჭირთურელი ბიწაძე და ფოთელი ქობულაძე 50 ლარს გადაიხდიან. კოლხმა უკვე დაისვენა „სიონთან", მალაროელი მეთვრამეტე ტურს ტრიბუნებიდან ადევნებს თვალს. სადისციპლინო კომისია მათ შედარებით ლმობიერად მოექცა, რადგან მსაჯთა გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ მაინცდამაინც დიდი პროტესტი არ გამოუთქვამთ. ამათ ცოდვაში ფეხი მსაჯებმა — შილაკაძემ და სილაგავამ ჩადგეს.

ყველაზე მეტად კი ზუგდიდის „ოდიშის" მთავარი მწვრთნელი ბადრი თუთბერიძე დაზარალდა — ოდიშელს მსაჯ ლაცაბიძის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის და მწვრთნელის უღირსი საქციელისთვის 200 ლარი ჯარიმა დაეკისრა, ორი მატჩის განმავლობაში კი მაყურებლებში მოუწევს გადანაცვლება — სათადარიგო სკამიდან ქვეშევრდომთა დარიგება მეთვრამეტე და მეცხრამეტე ტურებში ეკრძალება. ისე, ბადრი თუთბერიძე მსგავს საქციელში არაერთხელ ყოფილა შემჩნეული. ამბობენ, ზუგდიდშიც იწევდა ლაცაბიძის გასალახადო. ოდიშელებს ნერვების მოთოკვა მართებთ, თორემ მინუს ხუთის წესი ფეხბურთის ფედერაციას ჯერაც არ გაუუქმებია.

ისე სასაცილოა, აბა, რა. მწვრთნელები და ფეხბურთელები თუ გულშემატკივრები ზემოთ აღნიშნული წესის დამფუძნებლებს აგინებენ, მსაჯები კი პირიქით, ლოცვა-კურთხევას უგზავნიან, რას ამბობთ, იმის ოჯახი აშენდა, ვინც ეს წესი მოიგონა, ის რომ არა, ახლა ცოცხლები არ ვიქნებოდითო. რომელი მხარეა მართალი?

ვფიქრობთ, ორივე მხარე ცოტ-ცოტას სცოდავს, მაგრამ ერთიც სათქმელია — მსაჯი მინდვრის მეფეა და თუ შეცდომა დაუშვა, მუშტით მისი გასწორება ორმაგი შეცდომა გახლავთ.

# ბარქაია ოდიშს უბრუნდება

ირაკლი ბარქაიამ ჩემპიონატის დაწყებამდე პოლონეთს მიაშურა და იქაურ შეცინის „პოგონშიც" მოეწყო. ოდიშარმა ტრავმის დროულად მოშუშება ვერ შეძლო და ფორმადაკარგული ახლა ისევ ძველ კლუბს უბრუნდება. ამბობენ, ბარქაია ხვალვე ლანჩხუთში „გურიასთან" გასვლით ითამაშებსო.

# მარგვეთს ქემჩუქინა უშველის?

დღეს თბილისის „დინამო" სოჭში „ჟემჩუჟინას" გაეჯიბრება. მატჩისგან მიღებული შემოსავალი მთლიანად სლავა მეტრეველის ოჯახს გადაერიცხება. „დინამო" გუშინ შუადღისას გაფრინდა, ხოლო თბილისში ხვალვე მატჩის დამთავრებისთანავე დაბრუნდება.

ამ საქველმოქმედო მატჩთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციამ მეთვრამეტე ტურის შეხვედრა — „დინამო" — „მარგვეთი" ერთი დღით გადადო. თამაში 24 მარტს ჩატარდება.

მართალია, „დინამომ" ამ კვირის კალენდარი გაირთულა, მაგრამ, ვეჭვობთ, „მარგვეთმა" თუნდაც გადატვირთულ ჩემპიონთან რამე გააწყოს.



# ამირეჯიბი სიტყვას ასრულებს

**მეორე ჯგუფი**

XVII ტური

— სამტრედიის გუნდი პირველ ჯგუფში უნდა დაბრუნდეს, სხვა გზა არა გვაქვს. მჯერა, ამას აუცილებლად მოვახერხებთ. ეს სიტყვები „იბერიის" მთავარმა მწვრთნელმა ნიკა ამირეჯიბმა მეორე წრის დაწყებამდე თქვა. ჰოდა, საქმეები ისე მიდის, მისი წინასწარმეტყველება მართლდება.

სამტრედიელებმა პირველი სერიოზული გამოცდა გუშინ ჩააბარეს ხაშურში. უშუალო კონკურენტთა მატჩში „იბერიამ" იმარჯვა, თანაც დამაჯერებლად. ხაშურში სამი უპასუხო გოლის გატანა იოლი სულაც არ იყო. თან პირველი ნახევარი 0:0 დასრულდა.

ამირეჯიბი ფრთხილობდა, საწყისი წუთები მასპინძელთა დასაზვერად გამოიყენა. ნახა, ივერიელებს რა შეეძლოთ და მერე წინ ეულად გამწესებულ ვასო გიგიაძეს ბიძინა ივეჩიანი შეუწყვილა. შეტევის გაძლიერებამ ხაშურელები წელში გატეხა. უფრო სწორად, ვასო გიგიაძის გოლმა, რომელსაც ტყუპისცალმაც აუბა მხარი და ანგარიში გააორა. ბოლოს ისევ ვასომ მოუთავა ხელი მასპინძლებს.

სამტრედიამ ამ მოგებით ყველაფერი გაარკვია და ჩათვალეთ, გუნდი პირველ ჯგუფში დაბრუნდაო, ამბობენ სპეციალისტები. „ივერიამ" კი თავი მეტად რთულ სიტუაციაში ჩაიგდო და ახლა მდევრებსაც დიდად უნდა უფრთხოდეს. —ცხინვალი" და „კოლხეთი" ისეთი გუნდებია, ნებისმიერი სიურპრიზი მოსალოდნელია.

არმიელებზე არაფერს ვამბობთ. ესენი დასახული მიზნისკენ გამართულად მიაბიჯებენ და კორღალიძის ბიჭებს ჩემპიონობა გარანტირებული აქვთ.

ცოტაც ბორჯომის „თორზე" და ქარელის „იბერიაზე" ვთქვათ. პირველი წალენჯიხაში არ ჩავიდა სათამაშოდ, მეორე — ოზურგეთში. სადისციპლინო კომისიამ ამათი საქმე ფედერაციის აღმასკომს გადასცა. გამოუცხადებლობისთვის ორივეს წაგება ჩაეთვალა, ხოლო მსგავსი საქციელის გამეორებისთვის გათამაშებიდან მოიხსნებიან.

**მამუკა ქვანტალიანი**

ასკ — ფაზისი 2:0
ივერია — იბერია (ს) 0:3
კოლხეთი — სამეგრელო 4:2
აკადემია — საპოვნელა 7:1
სქური — თორი 3:0
(თორი არ გამოცხადდა)
მერცხალი — იბერია (ქ) 3:0
(იბერია არ გამოცხადდა)
ცხინვალი — იმერეთი 7:1
მეშახტე — კოდაკო 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 17 | 15 | 2 | 0 | 59:10 | 47 |
| იბერია (ს) | 17 | 12 | 3 | 2 | 40:15 | 39 |
| ივერია | 17 | 12 | 2 | 3 | 47:18 | 38 |
| კოლხეთი | 17 | 11 | 2 | 4 | 36:25 | 35 |
| ცხინვალი | 17 | 11 | 0 | 6 | 48:24 | 33 |
| მერცხალი | 17 | 9 | 1 | 7 | 32:29 | 28 |
| სქური | 17 | 9 | 1 | 7 | 30:36 | 28 |
| თორი | 17 | 8 | 3 | 6 | 36:27 | 27 |
| აკადემია | 17 | 9 | 4 | 4 | 45:20 | 26 |
| ფაზისი | 17 | 7 | 1 | 9 | 29:34 | 22 |
| მეშახტე | 17 | 6 | 2 | 9 | 30:27 | 20 |
| სამეგრელო | 17 | 4 | 2 | 11 | 21:45 | 14 |
| კოდაკო | 17 | 3 | 1 | 13 | 15:42 | 10 |
| იმერეთი | 17 | 2 | 1 | 14 | 21:69 | 7 |
| საპოვნელა | 17 | 2 | 0 | 15 | 17:59 | 6 |
| იბერია (ქ) | 17 | 3 | 1 | 13 | 19:45 | 5 |

# საქართველოს IX ჩემპიონატი მესამე ჯგუფი მეორე წრის კალენდარი

## დასავლეთი

დინამო 2 ბათუმი
დინამო გაგრა
ეგრისი სენაკი
ენგური განმუხური
ოდიში 2 ზუგდიდი
ოქროს საწმისი ქუთაისი
სალხინო მარტვილი
სამგურალი 2 წყალტუბო
სულორი ვანი
ტორპედო 2 ქუთაისი
შუქურა ქობულეთი

XII ტური
*28 მარტი, შაბათი*
ოქროს საწმისი - ეგრისი
ენგური - ბათუმი 2
გაგრა - სამგურალი 2
სულორი - ოდიში 2
შუქურა - ტორპედო 2

XIII ტური
*5 აპრილი, კვირა*
ტორპედო 2 - სულორი
ოდიში 2 - გაგრა
სამგურალი 2 - ენგური
ეგრისი - სალხინო
ბათუმი 2 - ოქროს საწმისი

XIV ტური
*13 აპრილი, ორშაბათი*
სალხინო - ბათუმი 2
ოქროს საწმისი - სამგურალი 2
ენგური - ოდიში 2
გაგრა - ტორპედო 2
სულორი - შუქურა

XV ტური
*21 აპრილი, სამშაბათი*
შუქურა - გაგრა
ტორპედო 2 - ენგური
ოდიში 2 - ოქროს საწმისი
სამგურალი 2 - სალხინო
ბათუმი 2 - ეგრისი

XVI ტური
*28 აპრილი, სამშაბათი*
ეგრისი - სამგურალი 2
სალხინო - ოდიში 2
ოქროს საწმისი - ტორპედო 2
ენგური - შუქურა
გაგრა - სულორი

XVII ტური
*4 მაისი, ორშაბათი*
სულორი - ენგური
შუქურა - ოქროს საწმისი
ტორპედო 2 - სალხინო
ოდიში 2 - ეგრისი
სამგურალი 2 - ბათუმი 2

XVIII ტური
*11 მაისი, ორშაბათი*
ბათუმი 2 - ოდიში 2
ეგრისი - ტორპედო 2
სალხინო - შუქურა
ოქროს საწმისი - სულორი
ენგური - გაგრა

XIX ტური
*15 მაისი, პარასკევი*
გაგრა - ოქროს საწმისი
სულორი - სალხინო
შუქურა - ეგრისი
ტორპედო 2 - ბათუმი 2
ოდიში 2 - სამგურალი 2

XX ტური
*19 მაისი, სამშაბათი*
სამგურალი 2 - ტორპედო 2
ბათუმი 2 - შუქურა
ეგრისი - სულორი
სალხინო - გაგრა
ოქროს საწმისი - ენგური

XXI ტური
*24 მაისი, კვირა*
სულორი - ბათუმი 2
ენგური - სალხინო
გაგრა - ეგრისი
ტორპედო 2 - ოდიში 2
შუქურა - სამგურალი 2

XXII ტური
*31 მაისი, კვირა*
ოდიში 2 - შუქურა
სამგურალი 2 - სულორი
ბათუმი 2 - გაგრა
ეგრისი - ენგური
სალხინო - ოქროს საწმისი

## აღმოსავლეთი

ალაზანი გურჯაანი
ალგეთი მარნეული
იბერია თბილისი
სამგორი გარდაბანი
ყვარელი ყვარელი
შირაქი დედოფლის წყარო
შავნაბადა თელეთი
ჭაბუკიანი ჭაბუკიანი
ხალიბი 97 რუსთავი

X ტური
*28 მარტი, შაბათი*
ალგეთი - ყვარელი
ჭაბუკიანი - ალაზანი
იბერია - სამგორი
ხალიბი 97 - შირაქი

XI ტური
*5 აპრილი, კვირა*
შირაქი - იბერია
სამგორი - ჭაბუკიანი
ალაზანი - ალგეთი
ყვარელი - თელეთი

XII ტური
*13 აპრილი, ორშაბათი*
თელეთი - ალაზანი
ალგეთი - სამგორი
ჭაბუკიანი - შირაქი
იბერია - ხალიბი 97

XIII ტური
*21 აპრილი, სამშაბათი*
ხალიბი 97 - ჭაბუკიანი
შირაქი - ალგეთი
სამგორი - თელეთი
ალაზანი - ყვარელი

XIV ტური
*28 აპრილი, სამშაბათი*
ყვარელი - სამგორი
თელეთი - შირაქი
ჭაბუკიანი - იბერია
*29 აპრილი, ოთხშაბათი*
ალგეთი - ხალიბი 97

XV ტური
*3 მაისი, კვირა*
იბერია - ალგეთი
*4 მაისი, ორშაბათი*
ხალიბი 97 - თელეთი
შირაქი - ყვარელი
სამგორი - ალაზანი

XVI ტური
*11 მაისი, ორშაბათი*
ალაზანი - შირაქი
ყვარელი - ხალიბი 97
თელეთი - იბერია
ალგეთი - ჭაბუკიანი

XVII ტური
*19 მაისი, სამშაბათი*
ჭაბუკიანი - თელეთი
ხალიბი 97 - ალაზანი
შირაქი - სამგორი
*20 მაისი, ოთხშაბათი*
იბერია - ყვარელი

XVIII ტური
*24 მაისი, კვირა*
სამგორი - ხალიბი 97
ჭაბუკიანი - ყვარელი
თელეთი - ალგეთი
ალაზანი - იბერია

## ცენტრალური

ბაია-ქასქი ჯიქები ბიჭვინთა
დილა 2 გორი
დინამო 2 თბილისი
ვარძია ასპინძა
თსუ 2 თბილისი
ლოკომოტივი 2 თბილისი
მესხეთი ახალციხე
მრეტები თბილისი
35 სტუ თბილისი
ჟინერი ჟინვალი

X ტური
*28 მარტი, შაბათი*
35 სტუ - დინამო 2
დილა 2 - მესხეთი
*29 მარტი, კვირა*
მრეტები - ბაია-ქასქი
ვარძია - თსუ 2
*30 მარტი, ორშაბათი*
ლოკომოტივი 2 - ჟინერი

XI ტური
*5 აპრილი, კვირა*
მრეტები - ვარძია
ბაია-ქასქი - ლოკომოტივი 2
ჟინერი - დილა 2
მესხეთი - 35 სტუ
დინამო 2 - თსუ 2

XII ტური
*13 აპრილი, ორშაბათი*
ვარძია - დინამო 2
თსუ 2 - მესხეთი
35 სტუ - ჟინერი
დილა 2 - ბაია-ქასქი
ლოკომოტივი 2 - მრეტები

XIII ტური
*21 აპრილი, სამშაბათი*
ლოკომოტივი 2 - ვარძია
მრეტები - დილა 2
ბაია-ქასქი - 35 სტუ
ჟინერი - თსუ 2
მესხეთი - დინამო 2

XIV ტური
*27 აპრილი, ორშაბათი*
დილა 2 - ლოკომოტივი 2
*28 აპრილი, სამშაბათი*
ვარძია - მესხეთი
დინამო 2 - ჟინერი
35 სტუ - მრეტები
ბაია-ქასქი - თსუ 2

XV ტური
*4 მაისი, ორშაბათი*
დილა 2 - ვარძია
მრეტები - თსუ 2
ბაია-ქასქი - დინამო 2
ჟინერი - მესხეთი
ლოკომოტივი 2 - 35 სტუ

XVI ტური
*10 მაისი, კვირა*
35 სტუ - დილა 2
*11 მაისი, ორშაბათი*
ვარძია - ჟინერი
მრეტები - დინამო 2
თსუ 2 - ლოკომოტივი 2
მესხეთი - ბაია-ქასქი

XVII ტური
*19 მაისი, სამშაბათი*
დილა 2 - თსუ 2
ლოკომოტივი 2 - დინამო 2
ბაია-ქასქი - ჟინერი
მრეტები - მესხეთი
*20 მაისი, ოთხშაბათი*
35 სტუ - ვარძია

XVIII ტური
*24 მაისი, კვირა*
ჟინერი - მრეტები
დინამო 2 - დილა 2
ვარძია - ბაია-ქასქი
მესხეთი - ლოკომოტივი 2
თსუ 2 - 35 სტუ

# თქვენ შეცდით, ბატონო!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

### დორტმუნდი 1:0 ბაიერნი

პირველი მატჩი 0:0

**დორტმუნდი:** კლოსი, კოლერი, ფაიერზინგერი, ჟულიო სეზარი, როიტერი (ცორკი 105), ფრეინდი (რიკენი 79), მიოლერი, ბუტი, ჰაინრიხი, დეშეივერი (შნაიდერი 120), შაპუიზა
**ბაიერნი:** კანი, მათეუსი (ლიზარაზუ 111), ბაბელი, კუფური, ფინკი, ჰამანი, შოლი, ნერლინგერი (შტრუნცი 110), ტარნატი, იანკერი, ელბერი (ციკლერი 101)
1:0 შაპუიზა (109)

ნევიო სკალასა და ჯოვანი ტრაპატონის, ორი იტალიელი სტრატეგოსის გერმანულ-ევროპული დუელი დამატებითი დროის მე-19 წუთზე შტეფან შაპუიზას დარტყმამ დაასრულა. შვეიცარიელმა გამარჯვება მოუტანა შავ-ყვითელ გუნდს, რომელიც მართალია ბუნდესლიგაში გვარიანად ჩამორჩება ბავარიელ მეტოქეს, მაგრამ კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდოს მოსაპოვებლად ჯიუტად მიიწევს წინ.

არსით ტრაპატონი უფრო გლეხია, სკალა — ოპერის მოყვარული, კომუნისტების დამკვიდრებული სიტყვა რომ ვიხმაროთ, ინტელიგენტი. ტრაპატონიმ გერმანული ძლივს ისწავლა და რაც ისწავლა, ამბობენ, იმას გერმანული არც ჰქვიაო, სკალას კი მეუღლე ჰყავს შილერის თანამემამულე და მის ენაზე გამართულად მეტყველებს. ტრაპატონი დიდი მწვრთნელია, ჩინებული მწვრთნელია სკალაც. ტრაპატონი მეოთხედფინალში გამოეთიშა გათამაშებას. სკალამ გამოთიშა.

არადა, შაპუიზამ 53-ე წუთზე თავი ხელებში ჩარგო. ანდი მიოლერმა საუცხოო პასი მიაწოდა, მან კი საოცრად ხელსაყრელი მდგომარეობიდან გოლი ვერ გაიტანა. ბურთი ორიოდ სანტიმეტრით აცდა მიზანს.

მიუხედავად ამისა დორტმუნდელ გულშემატკივრებს რწმენა არ შერყევიათ. ცივ და ქარიან საღამოს მათ ერთგულად გაამხნევეს გუნდი, რომელმაც ერთგულებას გამარჯვებით უპასუხა.

პირველი ნახევარი საგოლე მომენტთა სიჭარბით არ გამოირჩეოდა. მასპინძელთა ჰოლანდიელი თავდამსხმელის ჰარი დეშეივერის მაკრატელას თუ ჩავთვლით, ოლივერ კანმა რომ მოიგერია, აქეთ ბევრი არაფერი ყოფილა.

იქით დაშავებული თომას ჰელმერის გარეშე მოთამაშე „ბაიერნმა" შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე უჩხვლიტა მოწინააღმდეგეს. შტეფან როიტერმა მიხაელ ტარნატს გადააწოდა ბურთი, მაგრამ ტარნატმა მიზანს ააცილა.

მეორე ტაიმში „ბაიერნს" დიდი ფანტაზიით არ გამოუჩენია თავი. იგი არ ჰგავდა გუნდს, რომელიც 1976 წელს მოპოვებულ ჯილდოს კვლავ შეეთამაშებოდა. ყველაზე კარგად მისმა მეკარემ, კანმა ითამაშა.

— თამაშამდე დიდი ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიცდიდით, მაგრამ მე ჩემს ფეხბურთელებს გეგმა დავუსახე და მათაც ამოცანას თავი გაართვეს. შესაძლოა ცოტათი იღბალმაც შეგვიწყო ხელი — თქვა პრესკონფერენციაზე ნევიო სკალამ.

ჯოვანი ტრაპატონიმ, ერთი კვირის წინ მძვინვარე პრესკონფერენციებს რომ ატარებდა (მისმა სამმა ფეხბურთელმა ბასლერმა, შტრუნცმა და შოლმა მწვრთნელის კრიტიკისთვის ჯარიმა და რისხვა მოიმკეს) ახლა უდრტვინველად გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს პასუხი.

— დუელი ორი კვირის წინ, პირველ შეხვედრაშივე წავაგეთ. იქ სულ მცირე 1:0 მაინც უნდა მოგვეგო და მაშინ დორტმუნდში უფრო რიხიანად ჩავიდოდით. ჩემმა მოთამაშეებმა დღევანდელ შეხვედრაში გული ჩადეს, მაგრამ მეტოქემ გვაჯობა — აღიარა ტრაპატონიმ.

რა ქნას ტრაპატონიმ? აგერ, ბუნდესლიგაშია და ბოლო ოთხი სტუმრული თამაშიდან სამი წააგო, ერთი კი ფრედ ითამაშა. ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაც უჭირს — „კაიზერსლაუტერნი" ძლიერ დაწინაურდა.

იქნებ ხვალინდელმა სამხრეთგერმანულმა დერბიმ უშველოს — „შტუტგარტს" ხვდება, მაგრამ ეს ჩემპიონთა ლიგას აღარ ეხება. იქ „დორტმუნდი" აგრძელებს ბრძოლას.

### დინამო 1:4 იუვენტუსი

პირველი მატჩი 1:1

**დინამო:** შოვკოვსკი, ბეჟენარი, გოლოვკო, დმიტრულინი, კოსოვსკი, კალიტვინცევი (კარდაში 37), გუსინი, ხაცკევიჩი (რადჩენკო 63), გერასიმენკო, შევჩენკო, რებროვი
**იუვენტუსი:** პერუცი, იულიანო, მონტერო, კონტე, ბირინდელი (დიმაში 7), დეშამპი, პესოტო, ზიდანი, დევიდსი, დელ პიერო, ინძაგი (ტაკინარდი 83)
0:1 ინძაგი (29), 1:1 რებროვი (54), 1:2, 1:3 ინძაგი (65, 73), 1:4 დელ პიერო (89)

რატომ ქომაგობდა კიევის „დინამოს" „იუვენტუსის" წინააღმდეგ ამდენი ქართველი? ერთ-ერთი ახსნა ასეთი მოვისმინეთ: კიევის უგნდი ჩვენს „დინამოსთან" ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ლიდერთაგანი იყო. ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. საბჭოთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს აღარ ვეჯიბრებით, მაგრამ ერთად გატარებულმა წლებმა ერთმანეთს ისე მიგვაჩვია, რომ კიევი ქვეცნობიერად დღესაც „ჩვენი ლიგის", „ჩვენ" გუნდად მიგვაჩნია.

საბჭოეთის ჩემპიონატის გაუქმების შემდეგ „ჩვენ" ევროპულ სარბიელზე აღარ ვჩანდით და აი, ახლა გამოვჩნდით. უკრაინის „დინამო" თვით ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გავიდა, გზად „ბარსელონას", დიახ „ბარსელონას" გადაუქროლა და ქვეცნობიერმაც თავი წამოჰყო: იგებს კიევი, ესე იგი მოიგებს თბილისიც. ჩვენ ხომ ერთი ლიგის ორი მოწინავე გუნდი ვართ.

თუ ამგვარი ლოგიკა მართალია, მაშინ ბატონ ქვეცნობიერს გვსურს მოვახსენოთ, რომ იგი ძლიერ შემცდარი ბრძანებულა. „ჩვენ", ჩვენ არა ვართ. კარგა ხანია აღარ ვართ. უკრაინა სხვა ქვეყანაა, იქ სხვა ჭკუის, ტემპერამენტის და კულტურის ხალხი ცხოვრობს, საქართველოში კი სულ სხვა. მაგალითი გნებავთ? საფეხბურთო მაგალითი იყოს. საქართველოს მთავარი სტადიონი ეროვნული გუნდის თამაშებზე ხალხით ივსება, კლუბის, „დინამოს" თამაშებზე კი არა. უკრაინის მთავარი სტადიონი კლუბის, „დინამოს" თამაშებზე ივსება, ეროვნული ნაკრებისაზე კი არა — თუნდ მეტოქედ არც მეტი, არც ნაკლები „სკუადრა აძურა" ჰყავდეთ.

მოკლედ, ქართველები რომ უკრაინელებისგან განვსხვავდებით, სხვანაირი ცუდი და კარგი თვისებები გვაქვს, ვგონებთ დიდი ახსნა არ სჭირდება. ამას აუცილებლად უნდა დავამატოთ ისიც, რომ აგერ, ათი წელიწადია სხვადასხვა სახელმწიფოში ვცხოვრობთ.

მოკლედ, ქვეცნობიერი შეცდა. ისე კი, ჩვენს ქვეცნობიერს არც ეკითხებოდა ვინმე, ვინ გავიდოდა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში. როგორც ჩანს, კიევის „რესპუბლიკურ სტადიონზე" მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. საბოლოოდ გაირკვა უკრაინის უთუოდ ყოჩაღი ჩემპიონის ადგილი ევროპის საკლუბო კიბეზე. ტაბლომ ზუსტად ასახა სხვაობა კონტინენტის ელიტასა და გულად პოსტსაბჭოურ გუნდს შორის.

— ჩვენ გოლის გატანა გვინდოდა და თამაშიც შესაბამისად ავაწყვეთ. მოწინააღმდეგეს ცოტა შანსი დავუტოვეთ და დამსახურებულად მივაღწიეთ იმ შედეგს, რომელიც პირველი თამაშისთვისაც ერთობ ლოგიკური იქნებოდა — თქვა შეხვედრის შემდეგ „იუვეს" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ, რომლის გუნდიც ევროპელ მენიძლავეებს ახლა შეჯიბრების მთავარ ფავორიტად მიაჩნიათ.

— შესაძლოა დიდი ფართობზე თამაშის დროს ინძაგი ყოველთვის ეფექტური და აქტიური არაა, მაგრამ უშუალოდ კარის წინ იგი ძლიერ სახიფათოა — დასძინა „ბებერი ქალბატონის" ინტელექტუალურმა ცენტრმა.

— ხანდახან თამაშის შინაარსი და შედეგი სხვადასხვაა — არ გამოაცხადა კაპიტულაცია ლიპის კოლეგამ, კიეველთა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ — ისეც ხდება, რომ უარესი თამაშით უკეთეს შედეგს აღწევ.

ზემოთ ლიპიმ ინძაგი ახსენა. 24 წლის ფილიპო ინძაგი გასულ სეზონში ბერგამოს „ატალანტას" მოთამაშე იყო და სერია A-ს ბომბარდირიც გახდა. ახალ სეზონში იგი ტურინელი გახდა და კიევის „დინამოსთან" მეოთხედფინალურ დუელში ხუთიდან ოთხი გოლი შეაგდო. თავი დავანებოთ ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" გატანილს და კიევისა ვთქვათ.

ინძაგიმ ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა, მას მერე, რაც საუცხოო ფრანგმა გამთამაშებელმა ზინედინ ზიდანმა დიდებული თამაშით დიდებული მომენტი შეუქმნა. მეორე ნახევარში კიეველებმა გაათანაბრეს ანგარიში, ვასილი კარდიაშის დარტყმული ანჯელო პერუციმ ცუდად მოიგერია, ბურთს სერგეი რებროვი დაეუფლა და ტაბლოზე 1:1 აანთო.

მერე კი „იუვემ" ორჯერ ჩააწოდა მარცხენა კუთხური. ზიდანი აწოდებდა, ინძაგი კი გამოხტებოდა და თაური გოლები გაჰქონდა.

და ბოლოს ისევ ზიდანის ორიგინალური პასი და დელ პიეროს ოსტატური დარტყმა. „იუვენტუსმა" ზედიზედ მესამე ფინალისკენ განაგრძო სვლა.

კიევის „დინამოს" კი სენსაციისთვის მადლობა მოვახსენოთ და დროებით დავემშვიდობოთ.

### მანჩესტერი 1:1 მონაკო

პირველი მატჩი 0:0

**მანჩესტერი:** ვან დერ გოუ, გ. ნევილი (ბერგი 33), ფ. ნევილი, იონსენი, ირვინი, ბექემი, ბათი (კლეგი 52), სქოულზი, სოლსკიაერი, შერინგემი, კოული
**მონაკო:** ბარტეზი, ლეონარდი, დუმა, სანიოლი, დიავარა, ჟეტუ, კოლინზი, კონჯიჩი (და კოსტა 74), ბენარბია (კარნო 67), ტრეზეგე, იკპება (ანრი 59)
0:1 ტრეზეგე (5), 1:1 სოლსკიაერი (53)

საფრანგეთის ჩემპიონმა „ოლდ ტრეფორდზე" 1:1 ითამაშა და სტუმრული გოლის წესით ნახევარფინალში გავიდა. ორი კვირის წინ „ლუი მეორეზე" 0:0 იყო.

დავიდ ტრეზეგე — აი, ვინ გადაწყვიტა თამაშის ბედი. ეს მეხუთე წუთზე მოხდა. კომპიუტერმა დაადგინა, რომ მონაკოელთა გამარჯვების მომტანი დარტყმის დროს ბურთი 150 კილომეტრ-საათით მიფრინავდა.

მართალია, ნორვეგიელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა მეორე ნახევარში ანგარიში გაქვითა, მაგრამ მანჩესტერელებს ეს არ ეყოთ.

„მონაკოს" მწვრთნელი ჟან ტიგანა:
— ფეხბურთელობისას უმაღლესი მწვერვალი 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მქონდა, მექსიკაში, როდესაც საფრანგეთის ნაკრებმა ბრაზილია დავამარცხეთ. დღეს ჩემი სამწვრთნელო კარიერის უბედნიერესი დღე იყო. ჩვენ პირველ ტაიმში ჩინებულად ვითამაშეთ, მეორეში კი „იუნაიტედი" გონს რომ მოეგო, ბრძოლა მოგვეხდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ გოლი შევაგდეთ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი თამაშის დასაწყისშივე გავიდა, ტაქტიკაში არაფერი შემიცვლია. „ოლდ ტრეფორდზე" ძალიან რთული მატჩი გადაგვხვდა და ჩვენც თავი არ შეგვირცხვენია.

„მონაკოს" ნახევარდაცვაში შოტლანდიელი ჯონ კოლინზი და ალი ბენარბია ბრწყინავდნენ. თამაშის დაახლოებით 60 წუთის განმავლობაში სწორედ ისინი აკონტროლებდნენ შუა მოედანს. აღსანიშნავია, რომ შესვენების შემდეგ კოლინზმა კინაღამ გოლიც გაიტანა, ასე 20 მეტრიდან მისი ძლიერად დარტყმული „იუნაიტედის" სათადარიგო მეკარემ რაიმონდ ვან დერ გაუმ ხარიხას მიღმა გადააგდო. დაშავებული პიტერ შმაიხელის ნაცვლად კარში გამაგრებულმა ამ ჰოლანდიელმა მოედანზე მეორე ტაიმში შესული ტიერი ანრის, თამაშის მიწურულს, ორმაგი რეაქციით კიდევ ერთი გოლი არ გაატანინა.

გეხსომებათ, „იუნაიტედს" თასის მოპოვების უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევდნენ. ჯგუფური ტურნირის დროს მანჩესტერის გუნდმა ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოიგო. რას უნდა მივაწეროთ ინგლისის ჩემპიონის დასუსტება? ალბათ გაწყვეტილ კუნთებს და გაბზარულ ძვლებს. პიტერ შმაიხელი, გარი პალისტერი, რაიან გიგზი — ეს დაშავებულთა სიაა. ახლა მათ დაემატნენ გარი ნევილი, პოლ სქოულზი და ფილ ნევილი, რომლებიც, როგორც ჩანს, იმ კვირაში შვეიცარიელებთან ნაკრების ამხანაგურ შეხვედრას გამოსტოვებენ, მაგრამ არაა გამორიცხული, ეს „იუნაიტედის" მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის მორიგი შოტლანდიური ეშმაკობა იყოს. თუ მიგიქცევიათ ყურადღება ინგლისის ეროვნული გუნდის ყოველი მატჩის წინ „ოლდ ტრეფორდის" ბანაკში წუწუნი და ჩივილი ტყდება ხოლმე — ვაი, ეს მტკივა, ის მტკივა. ფერგიუსონმა ასე იცის ფეხბურთელთა დასვენება.

— იმედგაცრუებული ვარ — თქვა „მონაკოსთან" მატჩის შემდეგ ეშმაკმა შოტლანდიელმა — ხელი შეგვიშალეს ტრავმებმაც, მათ გუნდის გადახალისების საშუალება მოგვისპეს. დღეისთვის ჩვენს მდგომარეობას კარგს ვერ ვუწოდებ, მაგრამ მონაკოელებს ღვაწლი არ უნდა დავუკარგოთ. მათ საუცხოო დარტყმით გაგვიტანეს გოლი.

### რეალი 3:0 ლევერკუზენი

პირველი მატჩი 1:1

**რეალი:** ილგნერი, რობერტო კარლოსი (ამავისკა 88), სანჩისი, იერო, პანუჩი, სავიო (მორიენტესი 36), რედონდო, ზეედორფი, კარემბუ, რაული, მიატოვიჩი (ხაიმე 80)
**ლევერკუზენი:** ჰაინენი, ჰაპე, ზვიკოვიჩი, ნოვოტნი, ვიორნსი, ჰაინცე, ბაინლიხი (მეიერი 80), ემერსონი, რამელო, ლენჰოფი, კირსტენი
1:0 კარემბუ (49), 2:0 მორიენტესი (57), 3:0 იერო (89პ)

— ათი წელი გავიდა მას მერე, რაც მადრიდის „რეალი" ბოლოს იყო ნახევარფინალში, მაგრამ ზეიმს ნუ ვიჩქარებთ. ვგონებ, ჩვენ თასის მოპოვებაც შეგვიძლია — იზეიმა „ლევერკუზენთან" 3:0 გამარჯვება ესპანეთის „სამეფო გუნდის" გერმანელმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა.

ესპანეთის ჩემპიონს მართალია 1966 წლის შემდეგ აღარ მოუგია ჩემპიონთა თასი, მაგრამ თუ მაისში, „ამსტერდამ არენაზე" ჩასვლის უფლებას მოიპოვებს და იქაც ივარგებს, მაშინ იგი ამ უდიდესი ჯილდოს შვიდგზის მფლობელი გახდება.

ჰაინკესს „რეალში" მისვლის დღიდან მრავალჯერ უთქვამს, ჩემი მისია ისეთივე ლეგენდარული გუნდის შექმნაა, 50-60-იან წლებში რომ იყოო.

მოგვიანებით ლევერკუზენელთა თავკაცმა კრისტოფ დაუმმა თქვა, 2:0 რომ გახდა, იმედი გადამეწურა და ერთადერთ მიზნად მეტი გოლის არგაშვება დამრჩაო.

მაინც გახდა 3:0. ქრისტიან კარემბესა და ფერნანდო მორიენტესის თავურ გოლებს ფერნანდო იერომ თამაშის მიწურულს პენალტით მესამე დაამატა.

ჰაინკესს ესპანეთის ჩემპიონატში უფერულ თამაშებსა და ლიგაში გაბრწყინების ახსნა სთხოვეს.

— ლიგაში სხვანაირად კი არ ვთამაშობთ, ეს უბრალოდ სხვა შეჯიბრებაა. ჩემს ფეხბურთელებს ესპანეთის პირველობაზე უამრავი მატჩი ჩაუტარებიათ, ლიგაში კი სხვა სტიმულია. დღეს მთელი 90 წუთის განმავლობაში უკეთ ვთამაშობდით, განსაკუთრებით კი დაცვაში ვმოქმედებდით ორგანიზებულად. „რეალის" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო.

— „რეალი" დღეს მსოფლიოში ალბათ უძლიერესი გუნდია. ჩვენ 30 წუთის განმავლობაში კარგად ვუტევდით, მაგრამ თამაშის მიწურულს მეტოქის ტექნიკური უპირატესობა აშკარა შეიქნა. პირველი თამაშის ანგარიშის მიხედვით ვხვდებოდით, რომ აქ უძნელესი მატჩი გველოდა. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ესაა: ჩვენ რაც შეგვეძლო, ვილონეთ — ხელები ასწია დაუმმა.

**ბაჰუნა ძიდია**



მანჩესტერი — მონაკო. სოლსკიაერმა კი გაიტანა, მაგრამ რად გინდა

REUTERS მანჩესტერიდან



დორტმუნდი — ბაიერნი. დეშეივერმა ბედი მაკრატელათი სცადა

REUTERS დორტმუნდიდან



დინამო — იუვენტუსი. დელ პიერო მეტოქეებს ცეკვას ასწავლის

REUTERS კიევიდან

# რა უნდა ისწავლოს კიევმა იუვესგან?



ლობანოვსკის „იუვენტუსთან“ წაგებამ ვარსკვლავები შეაყვარა

კიევის „დინამოს“ ვაჟკაცური ბრძოლა ჩემპიონთა თასისთვის დასრულდა. „იუვენტუსთან“ წაგებამ კიეველები დედამიწაზე დააბრუნა. ახლა უკრაინის ჩემპიონს 1:4 ჭკუას ასწავლის და გუნდი უთუოდ გაძლიერდება.

ვეტერანი საბჭოთა მწვრთნელი, ვალერი ლობანოვსკი, ევროთასულ ჰეთ-თრიკზე რომ ნადირობს (1975 და 1986 წლებში ლობანოვსკიმ „დინამოს“ ორჯერ მოაპოვებინა თასების თასი), ახლა ამბობს, რომ იტალიელებმა მისი ახალგაზრდული გუნდის მოთამაშეთა ინდივიდუალური სისუსტე გამოამჟღავნეს.

— ვინმეს ინდივიდუალურ ოსტატობას შეუძლია მეტოქის გუნდურ ძალისხმევას ხაზი გადაუსვას — თქვა მან „იუვენტუსთან“ ორი შეხვედრის ჯამში 2:5 დამარცხების შემდეგ. ამ გამარჯვებამ ტურინის გუნდი ჩემპიონთა თასის ფავორიტად აქცია.

— სწორედ ეს იყო, რაც გვაკლდა — დასძინა მან და მიუთითა თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება გუნდმა, რომელიც იმავდროულად ქვეყნის ნაკრების საფუძველსაც წარმოადგენს. ლობანოვსკი, მოგეხსენებათ, უკრაინის ეროვნული გუნდის მწვრთნელიც გახდა და ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში საფრანგეთსა და რუსეთთან ექნება საქმე.

გამოცდილი ტაქტიკოსი, ლობანოვსკი ყოფილ საბჭოთა კავშირში დისციპლინირებული, ბურთის ნატიფი გათამაშებით გამორჩეული გუნდების შექმნით იყო ცნობილი. ხანდახან მისი „დინამო“ უპერსპექტივო მოთამაშეებისგანაც კი იყო აშენებული. როგორც წესი მის გამარჯვებებს საფუძვლად 90 პროცენტი მუშაობა და მხოლოდ 10 პროცენტი ნიჭი ედო საფუძვლად.

ახლა, ლობანოვსკის ფორმულა, იმედისმომცემი შევჩენკოთი გაძლიერებული საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში „ბარსელონა“ ორი თამაშის ჯამში 7:0 დაემარცხებინა. ეს გასულ შემოდგომაზე მოხდა, ლობანოვსკის კიევში დაბრუნების პირველსავე წელიწადს.

მაგრამ შევჩენკო, რომელსაც კიევის მძლავრი გუნდი დასავლური ფულის მისაღებ სტრატეგიულ მარაგად ინახავს, „იუვენტუსის“ გამოცდილმა დაცვამ გვარიანად გაანეიტრალა.

კიეველთა უკანა ხაზიც შედრკა და გაუფერულდა ჰეთ-თრიკის გმირის, ფილიპო ინძაგის წინაშე და ამის გამო შემკრთალთ ლობანოვსკისგან მწარე სიტყვების მოსმენა მოუხდათ.

— როცა „იუვენტუსის“ სამი მოთამაშის ალყაში მოქცეული ნახევარმცველი დრიბლინგს იწყებს, თანაგუნდელს კი დროულ და სწორ პასს არ აწვდის, ძალიან ცუდია — თქვა მან.

„იუვენტუსის“ თავკაცი მარჩელო ლიპი, რომელმაც განაცხადა, რომ მეტოქის 100 ათასი გულშემატკივრით შევსებულ კიევის სტადიონზე მისმა გუნდმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვა, მეტოქეს დაეთანხმა.

— „დინამო“ თამაშის დამთავრებამდე დაახლოებით 20 წუთით ადრე დაილალა — თქვა მან.

„იუვენტუსმა“ ბოლო 25 წუთში სამი გოლი გაიტანა. ეს მას მერე მოხდა, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში სერგეი რებროვმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

ასეა თუ ისე, ლობანოვსკი, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ წლეულს უკრაინის ჩემპიონატს მოიგებს, გულგატეხილი არ ჩანდა.

— რაც მოხდა, იმისგან ტრაგედიას არ შევქმნით. მე ვთვლი, რომ ჩვენ ევროპის საუკეთესო გუნდთან წავაგეთ — ბრძანა ლობანოვსკიმ.

მისმა გუნდმა კი კარგად ითამაშა და მომავალშიც კარგად ითამაშებს.

გაუცინარმა მწვრთნელმა, „ბარსელონასთან“ 4:0 მოგების შემდეგ რაც მოხდა ცუდი არ იყოო, რომ თქვა, დაასკვნა:

— ხანდახან შედეგი და თამაშის ხასიათი ერთმანეთს არ ემთხვევა. ხანდახან გაცილებით უარესი თამაშით შეუდარებლად კარგ შედეგს აღწევ.

**როსტისლავ ხოტინი როიტერი**

# მიოლერი: დორტმუნდი ყველას სჯობს

დორტმუნდის „ბორუსია“ ათწლეულის უდიდესი გუნდია — თქვა ამაყად ანდრეას მიოლერმა მას მერე რაც ჩემპიონთა თასის მფლობელმა ახალი გათამაშების მეოთხედფინალში მიუნხენის „ბაიერნს“ მოუგო და ნახევარფინალში გავიდა.

— დორტმუნდი დაბრუნდა — განაცხადა მიოლერმა რურის ოლქის გულშემატკივრების თვალწინ ბავარიელთა 1:0 დამარცხების შემდეგ — ჩვენ 90-იანი წლების საუკეთესო გუნდი ვართ. ამაზე მეტი წარმატებების მიღწევა შეუძლებელია. ახლა ნახევარფინალში მადრიდის „რეალთან“ შეხვედრას ვოცნებობ.

გუნდს, რომელიც ბუნდესლიგის ცხრილში მეშვიდე ადგილზეა და სეზონის უმეტესი ნაწილი ერთობ საშუალოდ ჩაატარა, ჩემპიონთა თასის ოთხეულში გასვლა ჰაერივით ჭირდებოდა.

მიოლერმა განაცხადა, რომ თამაშის დაწყებამდეც დარწმუნებული იყო გამარჯვებაში.

— არ მშორდებოდა გრძნობა, რომ მოედანს გამარჯვებულნი დავტოვებდით. საქმე პენალტებამდეც რომ მისულიყო, ნახევარფინალში მაინც ჩვენ გავიდოდით.

კლუბის პრეზიდენტი გერდ ნიებაუმი კი დარწმუნებულია, რომ „დორტმუნდი“ ბუნდესლიგაში ისე ვერ ითამაშებს, რომ გაისად ევროთასზე გამსვლელი ადგილი მოიპოვოს და არც მიოლერის ზოგად ოპტიმიზმს იზიარებს:

— ეიფორია საჭირო არ არის. საამისო არაფერი მომხდარა. უბრალოდ შანსი გვეძლევა, სეზონი მაჟორულად დავამთავროთ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გასულ სეზონში ჩემპიონთა თასის მოპოვებას ვიმსახურებდით და ეს საამაყოა. ციკლი დასრულდა, ახლა მორიგი ციკლის დაწყებაა საჭირო. ჩვენ მშიერი გუნდი გვჭირდება. წარსულში არ უნდა დავრჩეთ, იგი უნდა ჩავკეტოთ და მომავალზე ვიფიქროთ.

„დორტმუნდმა“ უკვე დაიწყო ახალი გუნდის მშენებლობა. მან გაუშვა ნახევარმცველები პოლ ლამბერტი და პაულუ სოუზა, რომლებიც გლაზგოს „სელტიკში“ და მილანის „ინტერში“ გადავიდნენ, ახალ სეზონში კი შეიძენს როსტოკის „ჰანზას“ ბოსნიელ ფორვარდს სერგეი ბარბარესს და „ბაიერნის“ უკანდახეულ ნახევარმცველს კრისტიან ნერლინგერს.

თუ გერმანულ პრესას დავეყრდნობით, „დორტმუნდს“ სხვა მრავალი ანკესიც აქვს ჩაშვებული. „მილანისგან“ კრისტიან ციგე სურს, „მონაკოსგან“ ნიგერიელი თავდამსხმელი ვიქტორ იკპება.

**პატრიკ ვიგნალი როიტერი**

# ბებერმა ქალბატონმა აზრები შეაჯერა

იტალიური ფეხბურთის „ბებერმა ქალბატონმა“ კიევის „დინამოსთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ურთიერთგამომრიცხავი აზრები შეაჯერა და ერთ კალაპოტში მოაქცია.

„იუვენტუსმა“ კიევში 4:1 გაიმარჯვა, ორი შეხვედრის ჯამში 5:2 მოიგო, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა და ზედიზედ მეოთხე ევროფინალისკენ აქვს გეზი აღებული.

„იუვენტუსმა“ 1995 წელს უეფას თასის ფინალში „პარმასთან“ წააგო, 1996-ში ჩემპიონთა თასზე ამსტერდამის „აიაქსი“ დაამარცხა, გასულ სეზონში კი იმავე თასისთვის ბრძოლაში დორტმუნდის „ბორუსიასთან“ დამარცხდა.

კიევში ჩასვლის წინ იტალიის ჩემპიონატის ლიდერის თავზე ღრუბელი მოყრილიყო. გუნდს პირველობისა და თასის ბოლო შვიდ თამაშში ერთადერთი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

ახლა, ბევრი მიმომხილველის შეფასებით „იუვემ“ საუცხოო პასუხი გასცა მათ, ვინც ბოლო ხანს კრიტიკას არ იშურებდა, ფილიპო ინძაგის პასუხი კი ჰეთ-თრიკი იყო.

ტურინული გაზეთი „ტუტოსპორტი“ წერს: „ეს მიძღვნათა საღამო გახლდათ. იგი ეძღვნებოდა ყველას, ვინც წერდა, რომ „იუვენტუსი“ დაღლილი, ინტერესგამომშრალი და გადამწვარი გუნდია. ეძღვნებოდა მათაც ინძაგის სუსტ, ჩამოუყალიბებელ და გაცრეცილ ფეხბურთელად რომ მიიჩნევდნენ.

მიმომხილველები ხაზს უსვამენ ტურინელთა საოცარ ფსიქოლოგიურ მომზადებას. იმას, თუ როგორ ჩააგდო არაფრად გუნდმა კიევის სტადიონზე შეკრებილი 100 ათასი ადამიანის წინააღმდეგობა, ყინვა და თოვლი.

„ბურთთან პირველი ოთხი შეხება საკმარისი გამოდგა ნამდვილი „იუვენტუსის“ შესამჩნევად. თუნდაც ტრიბუნაზე მილიონი უკრაინელი მაყურებელი ყოფილიყო, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. „იუვენტუსმა“ თამაში ფართოდ გახელილი თვალებით დაიწყო, არც უსაგნო სიფრთხილე გამოუჩენია, ფეხბურთელებს თავი მაღლა ეჭირათ. ისინი ან მოიგებდნენ ან გავარდებოდნენ“ — ეწერა მილანში გამომავალ „გაძეტა დელლო სპორტში“.

მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, კიევში მიღწეული შედეგი კლუბს წააქეზებს როგორც ჩემპიონთა თასზე, ასევე იტალიის პირველობაზეო.

ოთხშაბათს მიღწეული გამარჯვება ალბათ ჭორებსაც ბოლოს მოუღებს. აღარ იტყვიან ლიპი სეზონის დამთავრების შემდეგ მადრიდის „რეალში“ გადადისო.

„იუვენტუსის“ დირექტორი ანტონიო გირაუდო ამბობს: „გულშემატკივრებს შეუძლიათ დამშვიდდნენ. ლიპის ხელს ვერავინ ახლებს, ის ჩვენთან რჩება.

**პედი ეგნიუ როიტერი**

# ბიჭია ქვემეხივით!

**დავიდ ტრეზეგე**

კლუბი: „მონაკო“
ქვეყანა: საფრანგეთი
დაიბადა 1977 წლის 5 ოქტომბერს რუენში
წინა კლუბი: „პლატენსე“ (არგენტინა)
ტიტული: 1997 წლის საფრანგეთის ჩემპიონი
დებიუტი ლიგაში: 1996 წლის 2 ივლისი. „პარი სენ ჟერმენის“ წინააღმდეგ

ოთხშაბათს, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ „იუნაიტედისა“ და „მონაკოს“ თამაში სულ ხუთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც დავიდ ტრეზეგემ ბურთი 150 კილომეტრ-საათის სისწრაფით გაისროლა და მასპინძელთა ქედმაღალი გუნდის პერსპექტივა მოკლა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგიდან 150 კილომეტრ-საათით გამოვარდა, არადა ერთი ხნის წინ ფავორიტი იყო.

ნეტავ ვინ არის ეს ტრეზეგე, რომელზეც ბოლო დროს ამდენს ლაპარაკობენ?

„მონაკოს“ მწვრთნელმა ჟან ტიგანამ ახალგაზრდათა დაჟინებული ძიებისას მიაგნო 20 წლის ბიჭს, მამით არგენტინელს, რომელმაც უმალ დაიგდო სახელი და საფრანგეთის ჩემპიონატის ბომბარდირობისთვის ბრძოლაში უტიფრად გამოიწვია თანაგუნდელი ვიქტორ იკპება თუ „ოსერის“ ფორვარდი სტეფან გივარში.

ნოემბერი ტრეზეგეს ერთობ იღბლიანი ჰქონდა. ზედიზედ სამ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. შედეგად „ნანტიც“, „ტულუზიცა“ და „პარი სენ ჟერმენიც“ მონაკოს ფერხთ აღმოჩნდნენ. მერე ბიჭმა ჩემპიონთა ლიგაშიც იყოჩაღა, ლისაბონის „სპორტინგს“ შეუგდო.

არგენტინაში რომ წაიყვანეს დავიდი ორი წლისა იყო. საფრანგეთში 17 წლისა თითქოს „პარი სენ ჟერმენში“ სათამაშოდ დაბრუნდა, მაგრამ საქმე ჩაიშალა. ეტყობა, დედაქალაქში მზა უცხოელების ყიდვით უფრო იყვნენ გატაცებულნი, ვიდრე ახალგაზრდათა აღზრდით.

ტრეზეგეს ერთადერთ შანსად „მონაკო“ რჩებოდა და ჟან ტიგანამაც იმედი არ გაუცრუა. მწვრთნელი ამბობს: — პირველად ვარჯიშზე რომ ვნახე, მივხვდი ის ძალიან კარგი მოთამაშე დადგებოდა და მისი ხელიდან გაშვება უხეში შეცდომა იქნებოდა. ზაფხულზე სონი ანდერსონი „ბარსელონაში“ რომ წავიდა, ვამბობდი მისი შემცვლელი უკვე გვყავს-მეთქი, მაგრამ არავინ მიჯერებდა.

ეჭვი მაშინ გაიფანტა ტრეზეგე ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატიდან ხუთი გოლით მეორე ბომბარდირად რომ დაუბრუნდა მონტე-კარლოს.

— მწვრთნელისთვის ტრეზეგეს ყოლა საუცხოოა. ის ჭკვიანია, ქედს არ იხრის და როცა ბრაზდება, ამ გაბრაზებას გონებით სწორ კალაპოტში აგდებს, იცის ემოცია როგორ გამოიყენოს. ალბათ, ვერ გაუგია, სეზონის დასაწყისში სასტარტო შემადგენლობაში რად არ მყავდა, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ მას მალაიზიის (ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის) შემდეგ დასვენება სჭირდებოდა — განაგრძობს ტიგანა.

ტიგანას აზრს ეტყობა, სამფეროვანთა ნაკრების ხელმძღვანელი ემე ჟაკეც იზიარებს. ფაქტია, ჟაკემ ტრეზეგე საშობაო შეკრებაზე წაიყვანა, 30 უძლიერესი ფრანგი მოთამაშის ბანაკში ჰყავდა.

— ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. ნაკრებში თამაშს ისევე მივუდგები, როგორც საფრანგეთის პირველობის მატჩებს. სასიამოვნოა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩემს კანდიდატურასაც იხილავენ, მაგრამ ვგონებ, დამატებითი სტიმული არც მჭირდება. თუ შანსი მომეცა, გამოვიყენებ — ამბობს ტრეზეგე, რომელიც თავის საკლუბო „მოძღვარზე“ ჟან ტიგანაზე ასე მსჯელობს: — მასთან არასოდეს იცი, იქნები თუ არა ძირითად შემადგენლობაში. შესაძლოა, ერთ დღეს ისეთი მოთამაშე, იკპება რომაა, სკამზე აღმოჩნდეს და შენ მოგეცეს თავის გამოჩენის საშუალება. იქნებ ასეთი წესი კარგიცაა. ეს მოსვენებას არ გაძლევს და შენც იძულებული ხარ, მაქსიმალურად მონდომო.

დავიდ ტრეზეგე დაარტყამს და ბურთი 150 კილომეტრ-სათის სისწრაფით გაფრინდება






## ზინედინ არაბი (ათასერთღამურად)

და თქვა გოგია მესვეტემ:

ქალაქ ბორდოსა ერთი ახალგაზრდა კაცი იყო და ბურთაობდა. კარგი მობურთავე იყო და პატივიც ფრიადი ჰქონდა. მთელი ბორდოს ქალაქის ბავშვები იმას დასდევდნენ. ამ ახალგაზრდა კაცს ზინედინ ზიჰდანი ერქვა და ქონებაც ფრიადი მოეგროვებინა.

ერთხელ ზინედინი მეჯლიშში იყო და ქეიფობდა, თან იქ მოსული ხალხის ლაპარაკს უგდებდა ყურს. ერთი ვაჭარი კაცი ჰყვებოდა მილეთის ამბავს, უცხო ქალაქებისას და უცხო ხილებისას, ცხრა ზღვის ფათერაკებს.

იმ დღეს კარგად მოილხინა ზინედინ არაბმა და შინ რომ მოვიდა, ფიქრი ეწვია მოგზაურობისა. რა არის კაცი მობურთალი, თუ არ გასცდა თავის ქალაქს, არ მოიხილა ქვეყანა და შორეულ მხარეშიც არ ააგდო ბურთი? და გადაწყვიტა შორს წასვლა ზინედინმა და დილითვე შეკრა ბარგი და იყიდა ხომალდი სანავთსადგომო ქალაქ მარსილსა და შესცურა ზღვაში.

მრავალ დღეს იცურა და ათასი ფათერაკი გადაიტანა და ბოლოს გადაწყვიტა გაჩერებულიყო რომელიმე ალაგას. მიაყენა გემი, გადმოვიდა იქედან, იყიდა აქლემი და ხმელეთით ვლო ზინედინ ზღვათმოარულმა.

და არ დაისვენა მანამ, სანამ არ მიადგა ტორინ-ქალაქად წოდებულ მიწას, სადაც ნახა მინდორი სახელითა „დელე ალპ“ და ამოიღო ხურჯინიდან ბურთი, ააგდო და მოჰყვა ბურთაობას იმ მინდორზე. მთელი დღე და ღამე იბურთავა და რომ მოიქანცა, დაინახა ზინედინ არაბმა, კაცი დგას და უმზერს.

ეს კაცი კი იყო, ამ მინდვრის მელიქი მარსაჰალ იბნ-ლიპ, კაცი შუენიერი იერისა და ბრძენი და უთხრა შემდეგი ბეითი მარსაჰალმა მხლებელს:

— არ მინახავს მობურთალი ასეთი. განა ყოველთვის წინ გასჭრის ბურთს? იქეთ სჭრის, საითაც საჭიროა და ჭოგრიტის თვალი აქვს. ან როგორ ბლანდავს ბურთს ფეხთა შუა, რომ მონახოს სიბრძნე ფინტის სიცრუისა?

ესმა ეს ლაპარაკი ზინედინ არაბს და მიუგო:

— ბურთაობა სიბრძნეც არის, თვალიც და გულიც. ასეთი რამ მსმენია და ასე ვბურთაობ. სიხარული შემოდის ჩემს გულში, როცა იმგვარად გავჭრი ბურთს, სხვას რომ ალალებინებს კარს...

ეს სიტყვები იყო და მარსაჰალმა გულში ჩაიკრა ზინედინ არაბი. იშვილა მარსაჰალმა და ერთად ვლეს ათასი მინდორი. მრავალი იმარჯვეს და ცოტა წაგება ნახეს. ბევრი სახელი და ოქრო მოიხვეჭეს, იპყრეს ადგილები და ზინედინ ზიჰდან არაბი დაბრძენდა, ჯანი ემატა და ფიქრი. იმგვარად ბურთაობდა, რომ ტაშისცემით უხვდებოდნენ და ისიც მინდორს რომ გახედავდა, უკეთესის ძებნაში იყო. და პოულობდა, რადგან თქმულია, თუკი მობურთალის ტაქტიკა ტექნიკაა, ხოლო ტექნიკა ტაქტიკა, იმას ვერ გააჩერებ.

და ვლო ზინედინ მინდორთმოარულმა მარსაჰალთან ერთად ცოდნით მრავალგან და ბოლოს მივიდა ძველ ქალაქ კრეშატიკ-ალაგსა, სადაც ლეტმანვეზირად იყო კაცი ბებერი, გულზვიადი და ვერაგი. ამ კაცს ერქვა ლობან-მეუფე და ორი ათასი მინდორი ევლო. უყვარდა რბენა, ღრჭენა და მისნაირნი და ქალაქის მოედანზე გამოსულს ეთქვა:

— მე დავცემ მარსაჰალსა და ზინედინ არაბსა.

არ იყო ავი კაცი მარსაჰალი, მაგრამ უთხრა ზინედინს:

— ჩვენი შერცხვენა გადაუწყვეტია ამ კაცს. უთქმელებს ამბობს. წყალში ჰყრის ჩვენს პატივს.

და მიუგო ზინედინ არაბმა:

— გავალ მინდორზე და იმას გავაკეთებ, რაც აქამდე გამიკეთებია. დავბლანდავ და გავჭრი ბურთს და იქეთ გადავაგდებ, მისი ჯარი რომ აინურშიაც ვერ მოვა და ვერც თვითონ მოვა აინურში, ლობან-მეუფე, იმიტომ რომ დაავიწყდა, ბურთაობა სილამაზეა.

და გავიდა მოედანზე ზინედინ არაბი და ჰქმნა სამართალი. აილო კრეშატიკ-ქალაქი სიბრძნით და სილამაზით...

და გოგია მესვეტეს შემოათენდა ნებადართულ შუქზე, რომელიც მიუბოძა მას თელას, რათა ეხილა ბურთაობა ზინედინ არაბისა.

# მე ვიქნები ევრომწვრთნელი

UEFA Cup Winners' Cup

## თასების თასის 1/4 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

### ჩელსი 3:1 ბეტისი

**ჩელსი: დე გუი, დაბერი, ლებეფი, კლარკი, სინკლერი, უაიზი, პეტრესკუ (ლემბორდი 88), ნიუტონი, დი მატეო, ძოლა, ვიალი**
**ბეტისი: პრაქსი, მერინო, მარკესი, ტრულიო, კანასი (ოლი 63), ფერნანდესი (კუელარი 73), იარნი, ფინიდი, ალფონსო, ოლიასი, ხოსეტე**
**0:1 ფინიდი (21), 1:1 სინკლერი (30), 2:1 დი მატეო (50), 3:1 ძოლა (90)**

1970 წელს „ჩელსიმ" ინგლისის ასოციაციის თასი მოიგო. მომდევნო სეზონში კი ევროპაშიც თქვა თავისი სიტყვა — ლონდონელებმა თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრეს. ბებერ კონტინენტზე თითქმის ოცდაათი წლის წინ მოპოვებული ევროთასი ჯერჯერობით „ჩელსის" ერთადერთი ევროპული გამარჯვებაა, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით — არაა გამორიცხული, ევროტურნირებს შემორჩენილმა ერთადერთმა ინგლისურმა გუნდმა (უეფას თასზე „ასტონ ვილა" მადრიდის „ატლეტიკომ" დაამარცხა, ჩემპიონთა ლიგაში კი „მანჩესტერ იუნაიტედს" „მონაკომ" სძლია) თასი მოიგოს — „ჩელსის" ძალუძს თასების თასის მოგება. ინგლისელები კარგ ფეხბურთს თამაშობენ, ისეთს, ევროთასის მოსაგებად რომ კმარა. მართალია, მთლად უნაკლონი არ არიან, გუნდურ ფეხბურთში მოიკოჭლებენ, მაგრამ, ვგონებ, თასის მოპოვება ძალუძთ.

— ეს სიტყვები „ბეტისის" მწვრთნელ ლუის არაგონესს ეკუთვნის, პიროვნებას, რომელიც შეხვედრის გერმანელმა არბიტრმა ბერდ ჰაინემანმა პირველი ტაიმის მიწურულს გააძევა. საერთოდ, მწვრთნელის კი არა, ფეხბურთელის გაძევებაა იშვიათი შემთხვევა, მაგრამ ხუთშაბათს „სტემფორდ ბრიჯზე" არაგონესმა მსაჯს უკადრებელი აკადრა და მიაბრძანეს კიდეც ტრიბუნაზე.

მეორე ნახევარი თითქმის აღარ მინახავსო, დაიჩივლებს სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე ანაცვლებული არაგონესი მატჩის შემდეგ. მსაჯის საქციელს აბრალებს იგი გარკვეულწილად „ბეტისის" მარცხსაც — ბიჭებთან მისვლის, მათი დარიგების საშუალება მომესპო, შეხვედრის წაგების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლავთო.

ცხადია, უთავკაცოდ დარჩენილი გუნდის ძლევა უფრო ადვილია, მაგრამ ხუთშაბათს საღამოს „სტემფორდ ბრიჯზე" არაგონესი თავის ადგილას რომც მდგარიყო, „ბეტისს" არაფერი ეშველებოდა. იმიტომ კი არა, რომ სევილიელებს შინ 1:2 მარცხის შემდეგ ძალიან გაუჭირდებოდათ, არა, უბრალოდ, მათი გუშინწინდელი თამაში სულაც არ იყო საკმარისი თასების თასის ნახევარფინალში გასასვლელად — „ჩელსი" ესპანელ მოწინააღმდეგეზე ერთი თავით მაღლა იდგა.

— პირველი გოლი ჩვენთვის მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ანგარიში მეტოქემ გახსნა. კიდევ კარგი, მალევე გავაყაიმეთ. სტუმრად კი მოვიგეთ, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს არ კმაროდა. ერთობ გვჭირდებოდა ფრე პირველ ტაიმში. მეორე ნახევარში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — განაცხადა ფრენკ სინკლერმა, რომელმაც


REUTERS

ჩელსი — ბეტისი: დი მატეოს (16) გოლმა საბოლოოდ დაასამარა ესპანელთა იმედები

30-ე წუთზე, ძოლას კუთხურიდან ჩაწოდებული თავურით კარში გადაგზავნა. სხვათა შორის, მას ამ გათამაშებაში ორი ბურთი აქვს შეგდებული და ორივე ზუსტად დარტყმული თავურის შედეგად.

გაყაიმება კი მასპინძლებს ისე სჭირდებოდათ, როგორც თევზს წყალი — ნიგერიელი ფინიდი ჯორჯის გოლმა თამაშის ტემპი ერთიორად გაზარდა, მეტოქეები ერთმანეთს თავქუდმოგლეჯილნი ეკვეთნენ, ამას კი დაცვაში უყურადღებობა და შესაბამისად საგოლე მომენტების გახშირება მოჰყვა. მასპინძელთაგან ვიალიმ და ძოლამ შეაზანზარეს ძელები, სტუმართა ხორვატ ნახევარმცველ რობერტ იარნის კი ლონდონელთა ნიდერლანდელმა მეკარე ედ დე გუიმ აული შესანიშნავი ნახტომით.

— ვიცოდით, მეტოქის სიძლიერის ამბავი და ამიტომ მათი გამოჭერა კონტრშეტევებზე ვცადეთ. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. „ჩელსი" აშკარად ძლიერი აღმოჩნდა — თქვა სევილიელთა უპირველესმა თავდამსხმელმა ალფონსო პერესმა, რომელიც იმ დღეს ვერ იყო ჯანზე. ლონდონელებს მასთან გამკლავება არ გასჭირვებიათ.

...რობერტო დი მატეოს გოლმა შეხვედრის დასასრულამდე 40 წუთით ადრე გაარკვია ნახევარფინალისტი — „ჩელსის" შემდეგ წრეში გასვლას „ბეტისი" ხელს ველარ შეუშლიდა.

რამდენიმე წამიც და „ჩელსი" ზუსტად ისეთივე ანგარიშით დაამარცხებდა „ბეტისს", როგორც ორი კვირის წინ პირინეის ნახევარკუნძულზე, მაგრამ ჯანფრანკო ძოლამ ასე არ ინება — გასულ სეზონში ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელის სოლო გარღვევამ ტონი პრატსის კარის ბადე მესამედ შეარხია.

### შტუტგარტი 2:0 სლავია

**შტუტგარტი: ვოლფარტი, შნაიდერი, ვერლაატი, ბერტოლდი, ჟორჟევიჩი, სოლდო, იაკინი, პოშნერი, ბობიჩი (ლისშტესი 74), ბალაკოვი, რისტიჩი (სპანრიჩი 89)**
**სლავია: ჩერნი, კოზელი, კოლერი (ვაშა 77), ვლაჩეკი, ლასოტა, კუხარი, ხორვატი, ულიხი, ლაბანტი, კრაიჩიკი (ლერში 80), ვაგნერი**
**1:0, 2:0 ბალაკოვი (10, 90)**

— იმედია, ნახევარფინალში „ჩელსი" არ შეგვხვდება. ჩვენთვის ამ ეტაპზე ლონდონელები ყველაზე არასასურველი მეტოქენი იქნებიან — განაცხადა „შტუტგარტის" თავდამსხმელმა ფრედი ბობიჩმა, რომელმაც შესაძლოა ხვალ ბუნდესლიგის მორიგი ტურის ერთობ პრინციპულ მატჩში ვერ ითამაშოს მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ. ბობიჩი მეორე ტაიმში, ერთი შეხედვით მხრის მძიმე ტრავმის გამო შეცვალეს.

...66-ე წუთზე ჩეხებს ცოტალა დააკლდათ მორიგი თავდასხმა გოლით რომ დაესრულებინათ — ვლადიმირ ლაბანტის დარტყმული „შტუტგარტის" კარის ძელს მოხვდა.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ წუ-ვილის ფავორიტი „შტუტგარტი" საპასუხო მატჩში „სლავიას" მარწუხებში მოექცა. პრაღელები შესანიშნავად თამაშობდნენ, თითქმის მთელი შეხვედრა დომინირებდნენ, მასპინძელთა მეკარე ვოლფარტსაც გვარიანად აწრიალებდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ „შტუტგარტის" ნახევარმცველმა კრასიმირ ბალაკოვმა ორჯერ გაისროლა და ნახევარფინალსაც გერმანელებმა უწიეს.

— „სლავიამ" შესანიშნავად ითამაშა. მეტოქე აშკარად გვჯობდა, მაგრამ ბალაკოვის წყალობით ვიმარჯვეთ. კრასიმირი დღეს უდავოდ საუკეთესო მოთამაშე იყო. სამწუხაროა, გულშემატკივრები უნიათო თამაშით რომ გავაწბილეთ, ვგონებ, ჩვენი ნახევარფინალში გასვლა მაინც ეამებოდათ — თქვა „შტუტგარტის" მწვრთნელმა იოახიმ ლოუმ.

მასპინძელთა თავკაცი მართალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირის წინ შინ, პრაღაში 1:1-ის შემდეგ „სლავიას" ნახევარფინალში გასვლის ნაკლები შანსი ჰქონდა, სტუმრები გულიანად თამაშობდნენ და გვარიანადაც სჯობდნენ, მაგრამ...

მე-10 წუთი: სტუმართა კარის დარაჯი რადეკ ჩერნი მასპინძელთა იუგოსლაველ თავდამსხმელ სრეტო რისტიჩს ეუხეშა და დაჯარიმდა. „შტუტგარტის" ბულგარელი ნახევარმცველის კრასიმირ ბალაკოვის დარტყმას ანგარიშის გახსნა მოჰყვა.

90-ე წუთი: თითქმის იგივე სიტუაცია. „სლავია" გერჰარდ პოშნერის წინააღმდეგ კვლავ საჯარიმოს მისადგომებიდან უხეშობს. მორიგი ჯარიმა და იმავე ბალაკოვის საგოლე დარტყმა — 2:0. „შტუტგარტი" ნახევარფინალშია.

...მიუხედავად გერმანიის თასის მფლობელთა ნახევარფინალში გასვლისა, მათი მეოთხედფინალური თამაშები სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ „შტუტგარტი" ძლიერი გუნდია. გერმანელებს აშკარად აკლიათ რაღაც, სწორედ ის, რამაც შესაძლოა ნახევარფინალში გადამწყვეტი როლი ითამაშოს.

### ლოკომოტივი 2:1 აეკ

**ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ჩუგაინოვი, არიფულინი, გურიენკო, ჩერევჩენკო, ხარლაჩოვი, კოსოლაპოვი, სოლომატინი, ლოსკოვი (ჯანაშია 28), მამინოვი, გარასი**
**აეკ: ატმაძიდისი, მანოლასი, კალაციდისი, კასტენოლლუ, კაპიცისი, კასაპისი, მახერიდისი, გრეტარსონი, ნიკოლაიდისი, მალადენისი (კეფალასი 88), საველკი (სებევე 64)**
**1:0 ხარლაჩოვი (55), 1:1 კაპიცისი (673), 2:1 ჩუგაინოვი (90)**

1997-98 წლების სეზონი სამუდამოდ შევა რუსეთის ფეხბურთის ისტორიაში — აქამდე არასდროს მომხდარა, რუსეთის ორ გუნდს ერთდროულად მიეღწიოს ევროტურნირების ნახევარფინალისთვის — წელს „სპარტაკმა" უეფას თასის ნახევარფინალს (არც საბჭოეთის და არც ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების გუნდებს არ ღირსებიათ აქამდე უეფას თასის ნახევარფინალში თამაში), „ლოკომოტივმა" კი თასთა თასის ბოლოსწინა ეტაპს უწია.

— კარგად ვერც ვიხსენებ, ბოლოს როდის გავიმარჯვეთ მატჩის მიწურულს. რაც გუნდს ვთავკაცობ, ასეთი შემთხვევები იშვიათია. დღეს ბედმა გაგვიღიმა და ვიმარჯვეთ. კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა მომხდარიყო — თქვა იური სიომინმა, რკინიგზელთა თავკაცმა.

რუსთა მწვრთნელი მართალი იყო — მოსკოველებმა ძლიერად ითამაშეს, თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს აეკი და დამსახურებულადაც მოიგეს. მასპინძელთა ძლიერების ფონზე კი, ჩვენთვის სასიხარულო შეცვლაზე შესული ზაზა ჯანაშიას კარგი თამაში იყო — ქართველი თავდამსხმელი ბერძენთა თავსატეხად იქცა, მისი მუხლჩაუხრელი შრომით კი, ცხადია, „ლოკომოტივიც" ხეირობდა.

მასპინძელთა გამძაფრებულ შეტევებს ადრე თუ გვიან შედეგი უნდა მოეტანა, თუმცა გოლი შესვენებამდე არ გასულა. მეორე ტაიმის მე-10 წუთზე კი ევგენი ხარლაჩოვი მასპინძლებს აწინაურებს — ელინთა მეკარე ელიას ატმაძიდისი უძლურია, წინ აღუდგეს რუსთა ნაკრების ფეხბურთელის დარტყმას. 1:0 იმის საშუალებას იძლევა, „ლოკომოტივმა" თასისთვის ბრძოლა განაგრძოს, მაგრამ წინ კიდევ საკმაო ხანია და იმის შანსიც დიდია, ნახევარფინალში აეკი გავიდეს.

განგაშის ზარმა პირველად 68-ე წუთზე ჩამოჰკრა — ხრისტოს მალადენისი საჯარიმოში დაეცა, სენია კოპიცისის პენალტი კი ზუსტი გამოდგა.

დაძაბულობამ პიკს საფინალო სასტვენამდე რვა წუთით ადრე უწია — მეტად კარგ პოზიციაში მყოფმა დემის ნიკოლაიდისმა ვერ გაიტანა. ბერძენის მოქმედებისას კაცს ეგონებოდა, ნიკოლაიდისი ვინმეს გოლს ამადლისო.

მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე მცველ იგორ ჩუგაინოვის თავურს ნახევარფინალის საგზური მოაქვს. „ლოკომოტივი" ნახევარფინალშია.

...ისე, რუსებს ორი ბურთი არ ჩაუთვალეს.

### ვიჩენცა 5:0 როდა

**ვიჩენცა: ბრივიო, ფირმანი, დი კარლო, ბარონიო, მენდესი, ბელოტი (სკენარდი 71), ვივიანი, ლუიზო, ამბროზეტი, ოტერო, სტოვინი**
**როდა: კესმენი, ვან აარენი, ველგერენი (ფრედი 46), მორესი, კუკიელკა, ვან დერ ლუერი (ვან უდტი 46), ლავალი, მაფარინი, ტჩუტენგი, პეტერსი, ჰანსი**
**1:0 ლუიზო (5), 2:0 ფირმანი (24), 3:0 მენდესი (33), 4:0 ამბროზეტი (42), 5:0 ზაული (47)**

— ექსპერიმენტების ჩატარება ვცადე, მაგრამ კინაღამ თავი დავიღუპეთ — თქვა ჰოლანდიელთა თავკაცმა ტეო ვონკმა, რომელმაც პირველ მეოთხედფინალში შინ 1:4 განადგურების შემდეგ, განთავისუფლებული მარტინ იოლი შეცვალა.

ნეტავ, რას გულისხმობდა ვონკი, როცა ამბობდა, კინაღამ გავნადგურდითო? ნუთუ 0:5 არაა საკმარისი, გუნდი განადგურებული, მიწასთან გასწორებული, ანაც სხვა, კიდევ უფრო შემზარავი ეპითეტით „შევამკოთ"? მწვრთნელი ამბობს, 0:5 წავაგეთ და განადგურებას გადავრჩითო. წარმოგიდგენიათ, ვონკისთვის განადგურება რა იქნებოდა?!

„როდას" იქნებ ორნიშნა რიცხვითაც წაეგო, რადგან 47-ე წუთისთვის სტუმრები უკვე ხუთი ბურთით ჩამორჩებოდნენ მასპინძლებს, მაგრამ იტალიელებმა მეტად აღარ დასაჯეს ჰოლანდიელები და ორი მატჩის ჯამში 9:1 მოგებით ნახევარფინალს უწიეს.

ხუთი გოლიდან საუკეთესო უდავოდ ამბროზეტის შესვენებამდე სამი წუთით ადრე გატანილი იყო — თავდამსხმელის დაახლოებით 20 მეტრიდან დარტყმული ჯერ ძელს მოხვდა და ისე შევარდა კესმენის კარში.

...რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ევროტურნირის ნახევარფინალში გასული „ვიჩენცა" დღესდღეობით სერია A-დან გავარდნის უპირველეს კანდიდატად ითვლება — კლუბმა ჩემპიონატის ბოლო 14 მატჩიდან 9 წააგო. ევროპაში შედეგიან და შინაურ ასპარეზზე უშედეგო თამაშზე რომ დაეკითხნენ „ვიჩენცას" თავკაც ფრანჩესკო გუიდოლინს, რესპონდენტმა იხუმრა, ევროტურნირებზე მე ვიქნები „ვიჩენცას" მწვრთნელი, სერია A-ში კი გუნდი სხვამ გაწვრთნასო.

...აქამდე მასპინძლებს ევროთასებზე ერთადერთხელ უასპარეზია 1978-79 წლების სეზონში. მაშინ გუნდი უეფას თასისთვის ბრძოლას პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა.

**ლაშა გოდუაძე**

---

**ირლანდიის** ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკართიმ ჩეხებთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში კიდევ ერთი მოთამაშე გამოიძახა — ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „კრუს" წევრი გარეტ უილი მწვრთნელს ბოლო რჩეულია. 24 წლის ნახევარმცველს ნაკრებში ჯერ არ უთამაშია და ოლომოუცში ჩეხებს წინააღმდეგ დაპირისპირებულ ირლანდიელთა გუნდის მეცხრე დებიუტანტი ფეხბურთელია. დედით ირლანდიელი უილის ნაკრებში მიწვევა მაკართის „კრუს" მწვრთნელმა დარიო გარდიმ ურჩია. უილი ამას რამდენიმე დღის წინ თითის ტრავმის გამო გუნდიდან ამოვარდნილ „ლივერპულის" მარკ კენდის უნდა უმადლოდეს.

**საფრანგეთის უდიდესი სატელევიზიო არხის „კანალ +"-ის პრეზიდენტმა პიერ ლესკურმა განაცხადა, რომ პსჟ მშობლიურ „პარკ დე პრენსის" სტადიონს ახლადაგებულ, ულტრათანამედროვე „სტად დე ფრანსზე" არ გაცვლის. „კანალ +" 1991 წლიდან პსჟ-ს მფლობელია და მეტად საპასუხისმგებლო საკითხებში პრიორიტეტული უფლება ენიჭება. ლესკურის თქმით, პსჟ „სტად დე ფრანსზე" რომ გადავიდეს, ეს დამატებით 11,7 მილიონი დოლარი დაჯდება, რაც „კანალ +"-ს სულაც არ აწყობს. ლესკურმა ისიც დასძინა, 14 ივლისს პსჟ-ს პრეზიდენტის მოვალეობას მიშელ დენიზოს ნაცვლად ჩარლზ ბიეტრი იტვირთავს, დენიზო კი ბიეტრის თანამდებობას — „კანალ +"-ის სპორტული არხის უფროსის პოსტს დაიკავებსო.**

**რუსეთის** ნაკრების მწვრთნელმა ბორის იგნატიევმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა, გუნდისა, რომელიც 25 მარტს მოსკოვში ფრანგებს გუნდს დაუპირისპირდება: მეკარეები — სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი), სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა), ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი); მცველები — იური კოვტუნი (დინამო), იგორ ჩუგაინოვი, ალექსეი არიფულინი (ლოკომოტივი), იური ნიკიფოროვი (სპორტინგი ხიხონი), იგორ იანოვსკი (ალანია), დმიტრი ხლისტოვი (სპარტაკი), მაქსიმ ბოკოვი (ცსკა); ნახევარმცველები — ანდრეი კანჩელსკი (ფიორენტინა), ვალერი კუჩინოვი, დმიტრი ალენიჩევი, ანდრეი ტიხონოვი (სპარტაკი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო), დმიტრი ხოხლოვი (ეინდჰოვენი), ვლადისლავ რადიმოვი (სარაგოსა), სერგეი სემაკი (ცსკა); თავდამსხმელები — სერგეი იურანი (ბოხუმი), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი), იგორ კოლივანოვი (ბოლონია), ალექსეი გერასიმენკო (დინამო კიევი).

**ინგლისის პირველი დივიზიონის ლიდერმა, „მიდლსბრომ" ოფიციალურად განაცხადა, რომ მზადაა, 5 მილიონი დოლარი გადაიხადოს „გლაზგო რეინჯერსის" ნახევარმცველ პოლ გესკოინში. მიდლსბროელთა მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა განაცხადა, „რეინჯერსის" ხელმძღვანელობას შესაძლო ტრანსფერის თაობაზე უკვე ვესაუბრე, ვგონებ, გაზას ჩვენთან გადმოსვლას ხელს ვერაფერი შეუშლისო. 30 წლის ფეხბურთელის წარმომადგენელმა მელ შტაინმა თავის მხრივ განაცხადა, გესკოინი „კრისტალ პალასში" გადასვლის შანსებს აწონ-დაწონისო.**

## ფეხბურთის რუკასთან



**უნგრეთის** ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებულმა ბუდაპეშტის მტკ-მ მწვრთნელი იოზეფ გარამი გაათავისუფლა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ფერენც ფალოპმა ისიც თქვა, მწვრთნელი ამიერიდან BVSL-ს ყოფილი თავკაცი შანდორ ეგერვანი იქნება, რომელიც მტკ-ს სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებსო. რაც შეეხება გარამის განთავისუფლების მიზეზს, ეს „ზალაეგერშეგთან" შინ მარცხი ყოფილა.

**სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ამ დღეებში ლიბერტადორესის თასის გათამაშების მორიგი მატჩები გაიმართა. A ჯგუფში: დეპორტივო კიტო (ეკვადორი) — ბარსელონა (ეკვადორი) 1:1, ბუკამარანგა (კოლუმბია) — ამერიკა (კოლუმბია) 0:1. C ჯგუფი — სერო პორტენო (პარაგვაი) — ოლიმპია (პარაგვაი) 1:2, კოლო კოლო (ჩილე) — უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) 2:0. D ჯგუფში: ნასიონალი (ურუგვაი) — პენიაროლი (ურუგვაი) 1:4, ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) — ბოლივარი (ბოლივია) 1:1. E ჯგუფი: კოლონი (არგენტინა) — ალიანსა (პერუ) 1:0, სპორტინგ კრისტალი (პერუ) — რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:3.**

**ესპანეთის** გაზეთ „ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, „ბარსელონას" ყოფილ მწვრთნელს, ახლა კი უმუშევარ იოჰან კრუიფს მილანის „ინტერმა" თავკაცობა შესთავაზა და სანაცვლოდ სეზონში 4,2 მილიონ დოლარს დაჰპირდა.

**უნგრეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ბარტალან ბიცკეიმ 25 მარტს, ვენაში ავსტრიელებთან სათამაშოდ იერშეცვლილი ნაკრების წაყვანა გადაწყვიტა. უნგრელთა გუნდში 10 დებიუტანტია, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იუგოსლავიასთან ორი მატჩის ჯამში 1:12 დამარცხებული გუნდიდან კი მხოლოდ ხუთი ფეხბურთელია. მწვრთნელმა გუნდის გაახალგაზრდავება შემდეგნაირად ახსნა — დროა, ყმაწვილკაცებმა უნგრელებმა შელახული პრესტიჟი აღიდგინონ. გუნდი: მეკარეები — გაბორ ბაბოში (მტკ), გაბორ კირალი (ჰესტა), ლაიოშ შუცი (კაიზერსლაუტერნი); მცველები — ატილა დრაგიონერი, მიხალი შუცი (ფერენცვაროში), ვილმოშ სებოკი, ჩაბა ფეჰერი (უიპეშტი), ზოლტან მოლონარი (მტკ), იანოშ ჰრუტკა (კაიზერსლაუტერნი), იანოშ მატეუში (კიშპეშტი); ნახევარმცველები — ბელა ოლეში, გაბორ ჰალმაი (მტკ), ნორბერტ ტოტი (უპეშტი), ოტო ვინჩე, ნორბერტ ნადი (ფერენცვაროში), კრიშტან ლიშტეში (შტუტგარტი), იშტვან სალუი (ბეითარი); თავდამსხმელები — მიკლოშ ერჩეგი, ატილა კორშოში (უპეშტი), ზოლტან კოვაჩი (პაოკი), ფერენც ხორვატი (ფერენცვაროში), იოზეფ სებოვი (ზალაეგერშეგი), იშტვან ჰამარი (ბეითარი).**

## ინგლისი

### გამოტოვებული მატჩი

**ნიუკასლი 1:2 კრ. პალასი**

ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, პაუი (პიკოკი 38), დაბიზასი, ბეტი, სპიდი, გილესპი, ქეცბაია (ტომასონი 74), ანდერსონი (ბარნსი 52), შირერი

კრ. პალასი: მილერი, ედვორსი, გორდონი, ლომბარდო (პრიდარსონი 72), როჯერი (ბოლი 68), ჯინტი (პადოვანო 66), სმიტი, ისმაელი, ბროლინი, ფალერტონი, იანსენი

0:1 ლომბარდო (14), 0:2 იანსენი (23), 1:2 შირერი (77)

ზედიზედ რვა მატჩში მარცხდებოდა პატარა „კრისტალ პალასი", მაგრამ შეწყდა პრემიერლიგის ექვსწლიან ისტორიაში ყველაზე მოუსავლიან შეხვედრათა სერია — ლონდონელებმა მათსავით გაჭირვებულ „ნიუკასლს" სძლიეს. სტუმრებთან შედარებით, რომელთაც პირველ დივიზიონში დაქვეითების საფრთხე რეალურად ემუქრებათ, ჩრდილოინგლისელთა საქმე კარგადაა, მაგრამ დარჩენილი შეხვედრების გათვალისწინებით „ნიუკასლის" უკუსვლაც არაა გამორიცხული. გუნდი ამჟამად მე-15 ადგილზე კი იმყოფება, მაგრამ შარშანდელ სეზონში, ზუსტად ამ დროს „სანდერლენდსაც" იგივე პოზიცია ეკავა, საბოლოოდ კი პირველ დივიზიონში დაქვეითებას ვერ გადაურჩა.

... მასპინძელთა მწვრთნელმა კენი დალგლიშმა არ ათამაშა ნახევარმცველი რობ ლი. მიზეზი — ფეხბურთელს გაფრთხილება რომ მიეღო, ასოციაციის თასის ნახევარფინალში, „შეფილდ იუნაიტედის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებდა. ნიუკასლელებს ხომ ევროტურნირებზე სასპარეზოდ ერთადერთ გზად თასის მოგება ესახებათ, გადამწყვეტ თამაშებში კი ისედაც გაჭირვებულ გუნდს კიდევ დასუსტება ეჭვვარეშეა, არად არგებდა.

ისე, ლიც რომ ყოფილიყო, მასპინძლები იმდენად არეულად თამაშობდნენ, აუტსაიდერ მეტოქესთან ვერაფერს გააწყობდნენ. მე-14 წუთზე „კრისტალ პალასის" მორიგი შეტევა თითქოს უშედეგოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ პრემიერლიგაში სულ რაღაც მეორედ მოთამაშე ბერძენ ნიკოლაოს დაბიზასს ეგონა ბურთი პირით ხაზს იქით გადავაო, მაგრამ ლონდონელი მეტ იანსენი ასე არ ფიქრობდა. შედეგად დაბიზასმა ბურთი დაკარგა, ლომბარდომ კი წამოწყებული შეტევა გივენის კარის აღებით დაასრულა. მალე თავად იანსენმა გაზარდა სხვაობა.

— პრემიერლიგაში რომ დავრჩებით, ამაში ეჭვიც არ მეპარება. დროებითი კრიზისი გვაქვს, რასაც მალე დავძლევთ — თქვა მასპინძელთა თავკაცმა კენი დალგლიშმა.

...მატჩის მიწურულს შირერმა თითქმის შვიდთვიანი შესვენების შემდეგ პრემიერლიგაში პირველი გოლი შეაგდო. მე-80 წუთზე ბეტის შეეძლო გაყაიმება, მაგრამ სტუმართა კარის დარაჯმა, მილერმა, თანაგუნდელთ საათნახევრიანი ჯაფა წყალში არ გადაუყარა.

# ერთ თვეში აავაშენებთო

ინგლისელთა სიამაყეს, ეროვნულ სტადიონს, „უემბლის" „არსენალი" უპირებს ყიდვას, ჩვენი „ჰაიბრი" დაძველდაო. ამისათვის მეთოფეებს 100 მილიონი გირვანქა აქვთ გამოყოფილი, რაც 166,6 მილიონი დოლარია.

მაგრამ...

ეს ინგლისს ეროვნული სარბიელის გარეშე დასტოვებს, არადა ქვეყანა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას ეშურება. ამიტომაც ფეხბურთის ასოციაციაში იმედოვნებენ, რომ ხალხთა მასები „არსენალის" გეგმას ჩაფუშავენ. აიძულებენ რომ ჩაიფუშოს.

„უემბლის" დირექტორებს 31 მარტამდე აქვთ დრო გადაწყვეტილების მისაღებად. ასოციაცია კი სპორტის სამინისტროსა და კლუბებთან ერთად ახალ ეროვნულ სტადიონზეც ფიქრობს.

ახალი სტადიონის აგებას 2006 წლის კამპანიის დირექტორი ალექ მაკგივენი 1,25 მილიონი გირვანქით უჭერს მხარს და თან ამბობს ჩვენ ახალი სარბიელის აგება ერთ თვეში შეგვიძლია, გერმანია და სამხრეთ აფრიკა ვინ მიგდიანო.

დარჩა

FRANCE 98

84 დღე

## ფუტიქსის დროშით

# მოწამე ტრუსიე

— სამხრეთ აფრიკას შესწევს უნარი, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე სენსაცია მოახდინოს. თუ ჩვენ შევძლებთ ძალების მობილიზებას და შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, მაშინ გარწმუნებთ, ტურნირს ჩვენი სახით ერთი „კერკეტი კაკალი" მაინც ეყოლება — განაცხადა სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელმა, ფრანგმა ფილიპ ტრუსიემ, რომელიც „ბაფანა ბაფანას" თავკაცად ოფიციალურად სამშაბათს დაინიშნა.

მანამდე სამხრეთაფრიკელებს გამოცდილი იომო სონო ხელმძღვანელობდა, რომლის თავკაცობითაც გუნდმა ზედიზედ მეორედ უწია აფრიკის თასის გათამაშების ფინალს. მაშინ, ეგვიპტესთან 0:2 დამარცხების შემდეგ, სონომ თქვა, ჩემი გუნდისგან ამჟამად ბევრს არაფერს მოველოდიო. ეს მაშინ იყო, როცა სამხრეთ აფრიკის ნაკრები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში გახლდათ, მაგრამ ახლა გუნდი სამსოფლიოსჩემპიონატოდ სერიოზულად ემზადება.

— აქ (სამხრეთ აფრიკაში) ბევრი ტალანტია. უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდაა, მე კი ვეცდები, მათი შესაძლებლობები სათანადოდ გამოვიყენო. ტურნირამდე ამხანაგური მატჩების ჩატარებას ვაპირებთ, რაც უკეთ მომზადებასა და ურთიერთშეთამაშებაში შეგვიწყობს ხელს — დასძინა ტრუსიემ.

ჯერჯერობით მხოლოდ ისაა გადაწყვეტილი, რომ სამხრეთ აფრიკა ბუენოს აირესს ესტუმრება და არგენტინას ამხანაგურად შეერკინება. ისე კი, აფრიკის თასის 1996 წლის მფლობელებს სხვებთანაც სდომებიათ დაპირისპირება. ამხანაგური მატჩებისთვის შავი კონტინენტის შვილები გერმანიაში დაგეგმილ შეკრებასაც გამოიყენებენ — 26 მაისიდან 6 ივნისამდე „ბაფანა ბაფანა" ან მექსიკას, ანაც სლოვაკეთს შეეჭიდება.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძლებთან, დანიასთან და საუდეთთან ერთ ქვეჯგუფში მოხვდა.

## საფრანგეთი

...1997 წლის იანვარში ფრანგებმა, ქართველთათვის ავად მოსაგონებელ ბრაგაში 2:0 სძლიეს პორტუგალიის ნაკრები. მას შემდეგ წელიწადზე მეტი გამოხდა, ემე ჟაკემ და მისმა გუნდმა 10 ამხანაგური შეხვედრის გამართვა მოასწრო, თუმცა ყველა მათგანში ფრანგები მასპინძლები იყვნენ. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელთ სტუმრად არ უთამაშიათ.

25 მარტს, ევროპის 1984 წლის ჩემპიონთა მემკვიდრენი მოსკოვში რუსებს შეხვდებიან. წელს ეს ფრანგთათვის მესამე ამხანაგური თამაში იქნება (ესპანეთთან 1:0, ნორვეგიასთან 3:3), ემე ჟაკე კი მოსკოვურ მატჩს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ამ შეხვედრისთვის მწვრთნელმა მხოლოდ 18 მოთამაშე ირჩია, მაგრამ მიუხედავად გუნდის მკაცრად განსაზღვრული შემადგენლობისა, კრისტიან კარემბუსთვის ნაკრებში ადგილი მაინც გამოინახა. ბოლოს მადრიდის „რეალის" ნახევარმცველმა გუნდში შარშან, საფრანგეთის ოთხთა ტურნირის უკანასკნელ შეხვედრაში, იტალიელებთან ფრედ 2:2 დასრულებულ მატჩში ითამაშა. გუნდშია საბრი ლამუშიც, ვისაც ქვეყნის ღირსების დაცვა ბოლოს თითქმის ორი წლის წინ თურქებთან 4:0 მოგებულ შეხვედრაში მოუწია.

გუნდი: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ ლეტიზი (მეცი); მცველები — ვინსენ კანდელა (რომა), მარსელ დესაი (მილანი), ფრენკ ლებეფი (ჩელსი), ლილიამ ტურამი (პარმა); ნახევარმცველები — ალენ ბოგოსიანი (სამპდორია), დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი), კრისტიან კარემბუ (რეალი), საბრი ლამუში (ოსერი), ემანუელ პეტი (არსენალი); თავდამსხმელები — იური ჯორკაეფი (ინტერი), ბერნარ დიომედი, სტეფან გივარში (ოსერი), მარკ კელერი (კარლსრუე), რობერ პირესი (მეცი), დევიდ ტრეზეგი (მონაკო).

## იუგოსლავია

— დეიან სტანკოვიჩი და ზორან რანკოვიჩი იმიტომ არ გამოვიძახე, რომ როცა ჩვენ კოლუმბიიდან დავბრუნდებით, მათ რამდენიმე საათში ბელგრადულ დერბიში უწევდათ თამაში. ნაკრების თამაშის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი გუნდში არყოფნა ამიტომაც ჩავთვალე მისაღებად — თქვა იუგოსლავიელთა მწვრთნელმა სლობოდან ზანტრაჩმა, რომელმაც არც ამჯერად უღალატა ჩვეულ პრინციპს და გუნდი თითქმის მთლიანად საზღვარგარეთ მოთამაშე ფეხბურთელებით დააკომპლექტა. ერთადერთი „შინაური" ბელგრადის „პარტიზანის" მეკარე ივიცა კრალია. გუნდშია „ლაციოს" ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩიც, მაგრამ მწვრთნელის თქმით, შესაძლოა მან მხრის ტრავმის გამო ვერ ითამაშოს.

ზანტრაჩის რჩეულნი: მეკარეები — ივიცა კრალი (პარტიზანი), დრაგოე ლეკოვიჩი (რასინგი); მცველები — ზორან მირკოვიჩი (ატალანტა), გორან ჯოროვიჩი (სელტა), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია), სინიშა მიხაილოვიჩი (სამპდორია), ბრანკო ბრნოვიჩი (ესპანიოლი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), ნიშა საველიჩი (ბორდო), ალბერტ ნადი (ბეტისი); ნახევარმცველები — სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ვლადიმირ იუგოვიჩი (ლაციო), მიროსლავ სტევიჩი (მიუნხენ 1860), დეიან გოვედარიჩა (ლეჩე); თავდამსხმელები — პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი), სავო მილოშევიჩი (ასტონ ვილა), ანტონ დრობნიაკი (ლანსი), ვლადან ლუკიჩი (მეცი), ლუბინკო დრულოვიჩი (პორტუ).

## გერმანია

გერმანია და ბრაზილია ის ქვეყნები არიან, ყოველჟამს მსოფლიოს საფეხბურთო გულისცემას რომ განაპირობებენ და სპორტის ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობაში ამინდს ქმნიან. ესენი ტიტულოვანი გუნდები არიან, მსოფლიოს ჩემპიონატში გამუდმებით მონაწილეობენ და მუდამ ფავორიტებადაც ითვლებიან, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გერმანია და ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან.

საფეხბურთო ისტორიას ამათი შეხვედრები მხოლოდ ამხანაგური მატჩების ეგიდით ახსოვს. 25 მარტს შტუტგარტი სწორედ ასეთ მატჩს უმასპინძლებს — მსოფლიოს და ევროპის სამ-სამ გზის ჩემპიონი გერმანია მსოფლიოს ოთხგზის და სამხრეთ ამერიკის ექვსგზის ჩემპიონ ბრაზილიას დაუპირისპირდება.

გუშინ მასპინძელთა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. ბუნდეს ნაკრებში ერთადერთი ახალწვეულია — „შალკეს" მცველი ივ აიგენრაუხი. სხვა მხრივ ნაკრებში ისინი მოხვდნენ, ვისი ყოფნაც მოსალოდნელი იყო. ერთი ეგაა, ფოგტსის რჩეულთა შორის არ არიან „ბაიერნის" ტრავმირებული ნახევარმცველი მარიო ბასლერი და „დორტმუნდის" ფორმიდან ამოვარდნილი მცველი შტეფან როიტერი.

ფოგტსის რჩეულნი: მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), ანდრეას კეპკე (მარსელი), იენს ლემანი (შალკე 04); მცველები — მარკუს ბაბელი, ტომას ჰელმერი (ბაიერნი), იურგენ კოლერი (დორტმუნდი), ივ აიგენრაუხი, ოლაფ ტონი (შალკე 04), იენს ნოვოტნი, კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი); ნახევარმცველები — ტომას ჰესლერი (კარლსრუე), დიტმარ ჰამანი, მიჰაელ ტარნატი (ბაიერნი), იორგ ჰაინრიხი, ლარს რიკენი, ანდრეას მიოლერი (დორტმუნდი), იენს იერემაისი (მიუნხენ 1880), კრისტიან ციგე (მილანი); თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), იურგენ კლინსმანი (ტოტენჰემი).

## ავსტრია

— სავარაუდოდ, ორივე მათგანი უნგრელებთან ითამაშებს — განაცხადა ავსტრიელთა მწვრთნელმა ჰერბერტ პროხაზკამ. ამას რომ ამბობდა, იგი ნაკრებში პირველად მიწვეულთ — „ზალცბურგის" ნახევარმცველ მარტინ ემერჰაუზერსა და „ლიდსის" მცველ მარტინ ჰიდენს გულისხმობდა.

პროხაზკამ ნაკრებში ისინი გამოიძახა, ვინც კიდეც წარმოადგენს ავსტრიელთა ძირითად ბირთვს, ერთი ეგაა, გუნდში არ არის უდავოდ ნიჭიერი ნახევარმცველი, ამჟამად „მიუნხენ 1860"-ში მოთამაშე ჰარალდ ჩერნი. სხვათა შორის, მას, ჯერ კიდევ „ტიროლში" ყოფნისას, უეფას თასზე თბილისის დინამოელთა 5:1 დამარცხებაშიც შეიტანა წვლილი.

გუნდი: მეკარეები — მიჰაელ კონსელი (რომა), ფრენც ვოლფარტი (შტუტგარტი); მცველები — ვოლფგანგ ფაიერზინგერი (დორტმუნდი), მარტინ ჰიდენი (ლიდსი), ანტონ პფეფერი (აუსტრია), პეტერ შოეტელი (რაპიდი); ნახევარმცველები — მარტინ ემერჰაუზერი (ზალცბურგი), ანდრეას ჰერცოგი, ჰაიმო პფაიფენბერგერი (ვერდერი), დიტმარ კუხბაუერი (სოსიედადი), რომან მაელიხი, ჰანს რეინმაიერი, მარკუს შოპი (შტურმი), პეტერ შტოიგერი (ლასკი); თავდამსხმელები — დიტერ რამუში, ჰერფრიდ საბიტცერი (გრაცი), ტონი ჰოლსტერი (კიოლნი), ივიცა ვასტიჩი (შტურმი).

# ნინდაუხედავი



პოლ სქოულზი

„ლივერპულის" თავდამსხმელი რობი ფაულერი თითქმის ერთი თვეა, მძიმედ დაშავდა და მისი თამაში საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე იმთავითვე გამოირიცხა. „ნიუკასლის" უპირველესი ფორვარდი ალან შირერი კი ერთი თვის წინ ფეხბურთს დაუბრუნდა, მაგრამ ის ძველი შირერი აღარაა. ვერ არიან სათანადო ფორმაში ტოტენჰემელი ლეს ფერდინანდი, არსენალელი იან რაიტი, ასტონვილელი სტენ კოლიმორი.

რა ითქმის ზემოხსენებულ ფეხბურთელებზე? — ისინი ინგლისის ნაკრების თავდამსხმელები არიან, ყოველ შემთხვევაში, პოტენციური მაინც. გლენ ჰოდლს თითქოს ეს არ ეყოფოდა და აგერ, ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა პოლ სქოულზმა მუხლის ტრავმა მიიღო. ერთი შეხედვით არ იყო სერიოზული შემთხვევა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სქოულზმა ტკივილგამაყუჩებელი მოითხოვა, რამაც ექიმები დააეჭვა. გუშინ კი:

— სქოულზის ტრავმის შესახებ ადრეც ვიცოდი. ვფიქრობდით, მუხლს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ ვაი, რომ ვცდებოდით. ახლა სქოულზს ოპერაცია სჭირდება, სარეაბილიტაციო პერიოდმა კი, შესაძლოა, რამდენიმე თვეს გასტანოს. აქედან გამომდინარე, ფეხბურთელის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა შეიძლება საეჭვო გახდეს — განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა.

ეს ფაქტი ძალიან სამწუხაროა. ინგლისელებს კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშის მოსაკლისება ემქურებათ — სქოულზის არყოფნა გლენ ჰოდლის ნაკრებისთვის მართლაც დიდი დანაკლისი იქნება.

და არა მარტო მათთვის.

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— *ეჰ, ნახე რა ამბები დატრიალდა?*

— დიდი არაფერი.

— *როგორ თუ არაფერი? ეს ჩვენი ნაქები კიევის „დინამო" რომ...*

— იცი რას გეტყვი? ეგ სულაც არ არის მთავარი. მთავარი ის ტენდენციაა, ბოლო დროს რომ გამოისახა.

— *რომელი?*

— ეჰ, ჩანს პასარელა მართალი იყო, თმების გამო რომ ჩხუბობდა.

— *ეგ საქმე ხომ გავარჩიეთ?*

— კი გავარჩიეთ, მაგრამ ახლა სხვა მიმართულება მიიღო. უბრალოდ, მე ჩვენი თემური მეცოდება.

— *აბა, თემური?*

— ჩვენი თემური, ქეცბაია.

— *ააა, ცოტას რომ ათამაშებდა?*

— არა, კაცო. ეგ საქმე მოგვარდა. ეგ არ არის მთავარი. შენ თუ იცი, ბაჯომ რატომ მოიჭრა კიკინა?

— *აბა, რავი, ბაჯოს ხომ რამსები ჰქონდა არეული?*

— არა, არა. შენ ვერ გამოიცან. ბაჯოს მწვრთნელობა უნდა და თანდათან ემზადება. ჯერ კისერი აიპარსა, მერე თავსაც გადაიპარსავს.

— *ეგ რა შუაშია? უბრალოდ იმიჯი შეიცვალა.*

— იმიჯი არა მეფე ერეკლე... უკვე დადასტურებულია, რომ თუ მწვრთნელობა მოუნდება ფეხბურთელს, მელოტი უნდა იყოს ან თავი გადაიპარსოს.

— *ვა?*

— რა ვა? ვიალი და ლომბარდო ხომ ნახე? ბაჯოც ამისთვის ემზადება.

— *ევენი კარგი ფეხბურთელები არიან. რას ერჩი?*

— რას უნდა ვერჩოდე, ნამუსის ამბავია. ეხლა მე რომ იტალიელი ვიყო, თავი გადავიპარსო და ლონდონში მწვრთნელობა მოვითხოვო, ლამაზი გამოვა?

— *არც ვიალია ლამაზი და არც ლომბარდო.*

— მე თუ მკითხავ, ლამაზი ვიალის ცოლია. აი, ძოლა კი კაცია, დალაქთან არ მისულა.

— *დი მატეოც ჯაგრიანია...*

— ჰაი, ეგ ცრუ ეგა. ნახე თავი როგორ გადაიპარსა? მწვრთნელობისთვის ემზადება.

— *ეხლა კი ახურებ. „ჩელსის" მწვრთნელი ხომ ვიალია?*

— „ტოტენჰემში გადავა.

— *იქაც ხომ ქაჩალია მწვრთნელად. გროსი ხომ ქაჩალია?*

— „ტოტენჰემი" გავარდება და გროსიც ზედ მიჰყვება. მერე დი მატეოს დანიშნავენ.

— *ვაა. მარტო იტალიელების საქმეა ეგა?*

— გამარჯობა შენი. ახლა მიხვდი თემური რატომ მეცოდება ამ უნამუსო იტალიელების ხელში?

— *ჰოო. ქეცბაიასაც გადაპარსული აქვს და...*

— მა არამი არ არის, დალგლიში მწვრთნელი იყოს და ასეთი კაცი მხოლოდ ფეხბურთელი? არა უშავს. მოვა მაგის დროც. ნიუკასლი ხომ ლონდონიდან შორსაა. ჯერ ამბავი არ ჩასულა, რომ ხოტორებს მწვრთნელებად ნიშნავენ.

— *და გაზა?*

— რა, გაზა?

— *გაზამ რომ გადაიპარსოს თავი?*

— მაგვიანდება. წასასვლელი ვარ.

— *და დე ლა პენია, ივანე?*

— ეგ ჯერ ბავშვია.

— *და თვითონ ისა?*

— ვინ?

— *დამავიწყდა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# უჩა ტორჩინავა
## ყველაზე კარგი ბიჭია არკანზასში



უჩა და მისი ამერიკელი მასწავლებელი ჩარლზი

1994 წელს უჩა თავის ასაკში თბილისის პირველობის და ღია რინგის ჩემპიონი გახდა, საქართველოს პირველობაზე კი მეორე ადგილი მოიპოვა. შემდეგ ახალციხის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო. 1995 წელს ტორჩინავამ ახალ წარმატებებს მიაღწია: გაიმარჯვა 9 აპრილისადმი მიძღვნილ და დავით კვაჭაძის სახელობის ტურნირში, 1996 წელს კი თელავის საერთაშორისო ტურნირიც მოიგო.

1997 წელს ფირმა „რიკო ინტერნეშენალის" დახმარებით უჩა ამერიკაში აღმოჩნდა, სადაც არკანზასის შტატ ლითლროკის საშუალო სკოლაში სწავლობს და, რა თქმა უნდა, კრივში ვარჯიშსაც აგრძელებს. იქ მისი მწვრთნელი ბილ მორსენია.

ამ გაჭირვებაში ქართული კრივის წარმატებები მართლაც საოცარია. იმ პერიოდში, როდესაც ჩვენთან თითქმის ყველა სახეობამ იწყო უკუსვლა, ჩვენს კრივში მსოფლიოს ჩემპიონიც გამოჩნდა და დიდი ტურნირების პრიზიორებიც.

ახლახან ჩვენი კრივის კიდევ ერთ ალზრდილზე მოგვივიდა სასიამოვნო ინფორმაცია.

უჩა ტორჩინავა თბილისის 163-ე სკოლაში სწავლობდა. კრივს კი 7 წლიდან ეუფლებოდა სპორტულ კლუბ „შევარდენში" (დირექტორი დავით ქავთარაძე) მწვრთნელ ნოდარ ქიქავასთან.

უჩა სკოლაში, სადაც 5000-მდე მოსწავლეა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, დიდი პოპულარობით სარგებლობს. მიილო წლის საუკეთესო ჭაბუკის ტიტული, რითაც გარეგნულ მიმზიდველობასთან ერთად პიროვნული თვისებებით გამორჩეულნი ჯილდოვდებიან.

წარმატებით გამოდის კრივის სარბიელზეც. უჩამ ამერიკაში ჩატარებული ათი ორთაბრძოლიდან ათივე მოიგო. დაამარცხა არკანზასის 1997 წლის ჩემპიონი და არკანზასის შტატის პირველობის ფინალში — „ოქროს ხელთათმანები" — მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს ტურნირი 11-14 მარტს გაიმართა. უჩამ აქაც შესანიშნავად იასპარეზა, ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. უჩაზე დიდ იმედებს ამყარებს მისი მწვრთნელი ბილ მორსენი.

...რაკი უჩა ტორჩინავას წარმატებებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ვთქვათ მის პირველ მწვრთნელზე რომელმაც კლუბ „შევარდენის" დირექტორის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის დავით ქავთარაძის აზრით, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჭაბუკის მომავლის განსაზღვრაში:

„ტორჩინავას წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელ ნოდარ ქიქავას. იგი ძალიან ძლიერი მოკრივე იყო და წარმატებით გამოდიოდა საკავშირო ასპარეზზე. ნოდარი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, გამოგონილი აქვს თამბაქოსა და ჩაის საკრეფი მანქანები, მაგრამ მთელი თავისი არსებით მაინც კრივის სამყაროში ტრიალებს. მასთან დაოსტატდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ამირან ხიზანიშვილი და საკავშირო პირველობის პრიზიორი მურმან თაქთაქიშვილი. მისი მოწაფეები ბრძოლის ტექნიკური მანერითა და ინტელექტუალური ხელწერით გამოირჩევიან. უჩა ტორჩინავამ სწორედ ამით დაიმსახურა მოწონება შორეულ ამერიკაში. ჩემი აზრით, ნოდარ ქიქავა ღირსია დაუფასდეს ამაგი კრივში და მიენიჭოს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება".

**გია აგლაძე**

ბალახის ჰოკეი

# ეს ხომ ის მეგია!

ახალ სეზონში პირველი საშინაო შეჯიბრება გამართეს ჩვენმა ბალახის ჰოკეისტმა ქალებმა. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტდარბაზში ჩატარდა საქართველოს პირველობა ინდორ-ჰოკეიში, რომელშიც ხუთმა გუნდმა იასპარეზა. შარშან ანალოგიური ტურნირი ჩოხატაურელებმა მოიგეს, მანამდე კი ქუთაისელებს ვერავინ ეცილებოდა ჩემპიონობას. როგორც ჩანს, ქუთათურები თანდათან თმობენ პოზიციებს. მათ ამჯერადაც მოეცარათ ხელი, გასამარჯვებლად ოსტატობა არ ეყოთ, ეს კი არა, პრიზიორთა შორისაც არ აღმოჩნდა მათთვის ადგილი.

საქართველოს ჩემპიონის წოდებას დაეუფლა აჭარის გუნდი (მწვრთნელი ნიკო ბარამიძე), რომელმაც ყველა მეტოქეს სძლია. ჩოხატაურელები მეორე ადგილს დასჯერდნენ, მესამე პრიზიორად კი წყალტუბოს ახალგაზრდული გუნდი მოგვევლინა. მასპინძლებს მეოთხე-მეხუთე ადგილები დარჩათ. აჭარელთა აღზევება შემთხვევითი არ ყოფილა: ისინი სხვებზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი, მათ გუნდში უნივერსალები თამაშობენ, თანაც ზამთარ-ზაფხულ ვარჯიშობენ — ისინი ხომ ჰოკეისტებიც არიან და ფეხბურთელებიც. დიახ, აჭარის ჰოკეისტ ქალთა ნაკრები მეტწილად საქართველოს შარშანდელი საფეხბურთო პირველობის ბრინჯაოს მედალოსან და თასის ფინალისტ ბათუმის „თოლიას" გოგონებით არის დაკომპლექტებული. საგულისხმოა, რომ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა მეგი ურუშაძემ 13-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი. ეს ის მეგია, საფეხბურთო მოედანზეც რომ არ ინდობს მეკარეებს.

**იუზა კაციტაძე**

მძლეოსნობა

# გამახსენდა, მე ხომ მარათონელი ვარ!

სულ რვა თვეა გასული იმ დროიდან, რაც განთქმული კენიელი მორბენალი ლამეკ აგუტა ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. აგუტა იმით არის ცნობილი, რომ დღევანდელ მარათონულ შეჯიბრთაგან უძველესი, 101 წლის ბოსტონური მარათონის ჩემპიონია.

სხვას ეგებ არც გამოედო თავი და ეთქვა, ნაავარიალი კაცი ვარ, თავი დამანებეთო, მაგრამ, რახან ბოსტონური მარათონი კარსაა მომდგარი, აგუტამ გამოაცხადა, ამერიკას მივემგზავრები ტიტულის დასაცავადო. აგუტას ხელახალი გამარჯვების იმედი არავისა აქვს, თვითონაც ხვდება, რომ ძალიან გაუჭირდება, მაგრამ ამბობს, რბენისთვის ვარ გაჩენილი და რა ვქნა, ესეც არ იყოს, განა ლამაზია, შეჯიბრი ჩემპიონის გარეშე ჩატარდესო?

შარშან ზაფხულზე ლამეკ აგუტა ნაირობიდან შორიახლოს გადაიჩეხა ხევში და მორბენალი ღრმა კომაში თითქმის მთელ თვეს იყო. ფეხზე წამოდგომას კი რამდენიმე თვე დასჭირდა.

„ახლა ჯანზე ვარ. სრულიად გამოვჯანმრთელდი" — უთხრა აგუტამ ჟურნალისტებს — „მაგრამ წლევანდელი ბოსტონის მოგებას ვერ დაგპირდებით. გაისად სხვა საქმეა..."

აგუტა არათუ მარათონის, არამედ ბრიტანეთის თანამეგობრობის ჩემპიონიცაა ათ კილომეტრზე რბენაში, მაგრამ კომიდან გამოსულს სულაც არ ახსოვდა, რომ მორბენალია. მას მეხსიერება ნაირობის გზაზე დარჩა. ბოლო შვიდ წელიწადში აგუტა მეხუთე კენიელია, ბოსტონის მარათონი რომ მოუგია. იბრაჰიმ ჰუსეინის, კოსმას ნდეტისა და მოსე ტანუის მხარდამხარ აგუტაც დიდი ვინმეა კენიურ სპორტში.

**ირაკლი ბუზუშვილი**

რაგბი

# მანდელა სასამართლოში გამოიძახეს

იყო დრო, როცა სამხრეთ აფრიკაში შავები ბობოქრობდნენ. ახლა კი დადგა ჟამი თეთრთაგან თავიანთი უფლებების დაცვისა.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა სასამართლოში უჩივლა ქვეყნის მთავრობას.

რა დასამალია და, რაგბი აფრიკაში თეთრთა საქმეა როგორც მოედანზე, ასევე ოფისშიც და შავებს ეს ძალიან წყინთ. შავი კაცი აქაურ რაგბში სანთლით საძებარია. ესეც არ იყოს და, შავები ძალიან ბრაზობენ, როცა სარაგბო გრაუნდთა ტრიბუნებზე ძირძველი აფრიკანული მხედრულის ხმა მოისმის და ბრბოს თავზე აპარტჰეიდის დროინდელი დროშა წამოყელყელავდება ხოლმე. დახეთ, ამ რასისტებს, ამათო! ამბობენ შავი პოლიტიკოსები და 79 წლის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ ამიტომაც შექმნა რაგბის ამბავში რასიზმისა და შავთა შევიწროების გამომძიებელი სამთავრობო კომისია.

რაგბის კავშირმა ეს თავისი უფლებების შელახვად, ან კი, უბრალოდ, შეურაცხყოფად მიიღო და სარჩელი შეიტანა უმაღლეს სასამართლოში. საქმეს თეთრი მოსამართლე ვილიამ დე ვილერსი არჩევს.

ამ პატიოსან და ღირსეულ ვილერსს რა უნდა ექნა? ვინც კომისია შექმნა, ახსნა-განმარტებაც იმისგან უნდა მოვისმინოთო და მოხუცი პრეზიდენტიც სასამართლოში მივიდა.

ეს პირველად მოხდა, რომ სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს მოსამართლეებთან და ადვოკატებთან გაუხდა სალაპარაკო. თანაც, უმაღლესი სასამართლო იუსტიციის სასახლის პირდაპირ მდებარეობს და სწორედ ამ სასახლეში მიუსაჯეს ნელსონ მანდელას სამუდამო პატიმრობა 1963 წელს. და რა ხასიათზე უნდა ყოფილიყო მოხუცი, როდესაც სასამართლოს კართან იდგა?

„მე ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ და პატივს ვცემ ჩვენს სასამართლოს". — განმარტავდა იგი. მანდელას ქომაგთა და მინისტრთა მთელი გუნდი კი ტაშს უკრავდა — „რაგბი ჩვენთვის მხოლოდ თამაში არ არის, ის ჩვენი ყოფაა და არ გამოვა, ერის უმეტესი ნაწილი მის გარეთ დატოვონ. რაგბის კავშირის თავმჯდომარე ლუის ლუიტი ჩემი მეგობარია. ჩვენ ერთად გავაკეთეთ ბევრი რამ, მაგრამ ახლობლობა ამ საქმეში არ გამოვა. კომისია ყველაფერს გაარკვევს".

სასამართლოს დარბაზში შესულ მანდელას იქ მჯდარი შავი ხალხი ტაშით შეეგება, მაგრამ რაგბის კავშირის ადვოკატებს და მოსამართლეს თავიანთი საქმე ჰქონდათ და მხცოვანი პრეზიდენტის გამოკითხვამ მთელ ხუთ საათს გასტანა. როგორც აღინიშნა, მოხუცი კაცი დატანჯეს.

„რაც პრეზიდენტი ვარ, 26 კომისია შევქმენი და ყველა მათგანის გამო რომ სასამართლოში მივსულიყავი, რა გამოვიდოდა? მთელს აფრიკაში ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება, თუ კომისიის ძიება არაფერს მოიტანს და სიგნალი რასობრივი ჩაგვრის შესახებ ტყუილი იქნება" — უთხრა მანდელამ ჟურნალისტებს — „კავშირის ადვოკატები კი, როგორც უნდათ, ისე პრიან და კერავენ, ასე რომ, საქმე გართულდა".

არადა, იყო უკეთესი დროც: როცა 1995 წელს აფრიკელებმა მსოფლიო თასი მოიგეს, გუნდის სამოსში გამოწყობილი მანდელა ამ ქურციკ ჯეელებთან ერთად ზეიმობდა. მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა — სპორტის მინისტრ სტივ შვეტესა და მპუმალანგას პროვინციის პრემიერ მათეუს ფოზას ხელში ჩავარდნილმა მანდელამ მაინც რასიზმი დალანდა.

ავტორბოლა

# საშუალო ფენა იმედს არ ჰკარგავს

ფორმულა I-ში კარგა ხანია ზეობს დიდი ოთხეული: „უილიამსი", „ფერარი", „მაკლარენი" და „ბენეტონი". სწორედ ამ გუნდების წარმომადგენლები არიან, პირველობისთვის რომ იბრძვიან, მათი მომდევნონი — „პროსტი", „ზაუბერი" და „ჯორდანი" კი მეხუთე ადგილისთვის ეპაექრებიან ერთმანეთს.

ამ სამეულიდან უფრო ამბიციური ფრანგი პროფესორის გუნდია — პროსტს და მის ბიჭებს სურთ, დიდი ოთხეულის ჰეგემონია დაარღვიონ. სურვილი და რეალობა კი, მოგეხსენებათ, სხვადასხვაა და პირველი რბოლა გუნდისთვის საკმაოდ წარუმატებელიც აღმოჩნდა. პარასკევის ვარჯიშზე ჭირვეულ ამინდში პილოტებმა ვერ მოახერხეს ბოლიდის დარეგულირებისთვის საჭირო წრეების გავლა მშრალ ტრასაზე. თუმცა ტრული მანქანით მაინც კმაყოფილი დარჩა, პანის კი იმედი ჰქონდა, რომ კვალიფიკაციისთვის მოახერხებდა ბოლიდის უკეთ გამართვას.

„პროსტის" პილოტებმა ვერც მეორე დღეს გამოიჩინეს თავი: პანიმ მე-16 დრო აჩვენა (თუმცა სტარტი ბოლო რიგიდან აიღო), ტრულიმ — მე-14. პირველმა ტექნიკურ პრობლემებზე დაიწუწუნა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი ბოლიდის გასამართადო, მეორე კი გადაცემათა კოლოფს უჩიოდა.

გუნდის შეფმა ალენ პროსტმა განაცხადა, ზოგიერთ ხარვეზს კი ველოდი, მაგრამ ნაკლი თუ იმდენი იქნებოდა, ვარჯიშმა და კვალიფიკაციამ რომ გამოაჩინა, არ მეგონაო.

რბოლა პანიმ მე-9 ადგილზე დაასრულა, ტრულიმ კი ნაადრევად შეწყვიტა ასპარეზობა.

ფრანგი პილოტის აზრით, რბოლის დასრულებაც საქმე იყო, რადგან ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. ამასთან, სავსე ავზებიანი ბოლიდი მძიმე სამართავია, მცირე საწვავით კი „ჯირითი" ადვილდებაო.

ტრულის თქმით, ძრავი შესანიშნავად მუშაობს და ბოლიდს დიდი პოტენციალი აქვს, მშვენივრადაც დავქროდი, ვიდრე გადაცემათა კოლოფმა არ აურიაო.

პროსტმა პირველი ეტაპის შედეგები საბოლოოდ ასე შეაჯამა: „რბოლის შედეგებით ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ, თუმცა გულდასაწყვეტია, რომ ტრულიმ ასპარეზობა ვერ დაასრულა, მას 2-3 ქულის მოპოვება შეეძლო. იარნომ მშვენივრად ჩაატარა რბოლა და ერთი პიტ-სტოპის ტაქტიკის წყალობით ჩვენი ბოლიდი სულ უფრო სწრაფი ხდებოდა. ორივე ავტომობილზე საკმაო ინფორმაცია დაგვიგროვდა. მეტად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ოლივიემ რბოლა დაასრულა. ესე იგი, ბოლიდებს გამძლეობა აქვთ.

ერთი სიტყვით, პროსტი პირველი რბოლით მთლად უკმაყოფილო არ არის, რაც მთავარია, მან დაინახა, რა ტექნიკური პრობლემები აწუხებს გუნდს და რბოლებს შორის შესვენებას სწორედ მათ მოსაგვარებლად ამუშავებს ხელქვეითებს.



პროსტს ხასიათი არ წახდენია

მეორე გუნდი, რომელიც ასევე მოწინავეთა მარაქაში გარევაზე ფიქრობს, შვეიცარიული „ზაუბერი" გახლავთ, რომელმაც პირველ ეტაპზე ქულის მოპოვებაც შეძლო, თუმცა არც მისთვის ყოფილა ეს რბოლა გასეირნება.

ალეზიმ აღნიშნა, რომ თავიდან პირველმა სიჩქარემ დაალალატა, შემდეგ კი ძრავმა სიმძლავრეც დაკარგა, ყველაზე დიდი პრობლემა კი ნაკლები მანევრირების უნარია.

ჯონი ჰერბერტმა დანანებით თქვა, ცოტა იღბალი რომ მქონოდა, რბოლის პოდიუმზე დასრულებაც შემეძლო. ბოქსებში შესვლისას საწვავის მიმწოდებლის დაბდურობამ დამალალატა და პიტ სტოპის შემდეგ ჩემზე უფრო ნელმა ფრენცენმა და ისვინმა გამისწრესო.

საბოლოოდ პილოტებმა მანევრირებისას თავჩენილი პრობლემების მიუხედავად შედეგი და ბოლიდის გამართულობა დადებითად შეაფასეს. გუნდის შეფმა პეტერ ზაუბერმაც არ დამალა კმაყოფილება შედეგითა და ბოლიდით.

„ჯორდანში" კი კვლავ იჩინა თავი რალფ შუმახერის ძველმა ხუშტურმა: მიუხედავად დანაპირებისა, რბოლისას უფრო ფრთხილი და ყურადღებიანი ვიქნებიო, კვლავ არ დაუთმო ადგილი მეტოქეს და ორი წრის გავლის შემდეგ ტრასის მიღმა აღმოჩნდა. რაც შეეხება ჰილს, ამან რბოლა კი დაასრულა, მაგრამ მისთვის პრობლემაა „მუგენ ჰონდას" შედარებით მცირე სიმძლავრე და ბოლიდის შესაბამისივე სიჩქარე.

მოკლედ, „საშუალოთა ფენა" პირველი რბოლის შემდეგ საგონებელში არ ჩავარდნილა და სამომავლოდ მდგომარეობის გამოსწორების იმედიც აქვს. არადა, ფინიშზე ჩათვლა პირველ ექვს პილოტს ერგება, „დიდ ოთხეულს" კი რვა პილოტი ჰყავს.

**ალეკო ჭაბუკიანი**

# ვეღარ ჩააწყობენ

18 მარტს პარიზში ფიამ განიხილა გუნდების მიერ პილოტთა პოზიციების წინასწარ განსაზღვრის აწ ყბადაღებული საკითხი. როგორც იცით, ეს ავსტრალიაში კულჰარდის მიერ ჰაკინენისთვის პირველობის დათმობამ და ამით უკმაყოფილო შეჯიბრების ორგანიზატორთა საჩივარმა გამოიწვია. მსგავსი შემთხვევები ანუ გუნდური ტაქტიკის წინასწარი დაგეგმვა ხშირია რალის მსოფლიოს ჩემპიონატში, სადაც ზოგჯერ მრბოლი „კუს ნაბიჯით" მიიწევს წინ, რათა გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე თანაგუნდელი გაატაროს.

სწორედ ამის გამო ფიამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:

„მსოფლიოს მოტოსპორტის საბჭო აცნობებს შეჯიბრებების ორგანიზატორებსა და სტიუარდებს, რომ ასპარეზობისას ჩადენილი ყოველი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება შეჯიბრების ინტერესებს, მკაცრად უნდა დაისაჯოს საერთაშორისო სპორტული კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად".

ამ გადაწყვეტილებით ფიამ რთულ მდგომარეობაში ჩააგდო ის გუნდები, რომლებიც მეორე ნომრებს ძირითადად პირველი პილოტის დასახმარებლად იყენებენ, ესენი უპრობლემოდ ატარებენ თავისიანს და აფერხებენ მეტოქეს. შეგახსენებთ, რომ შარშან სწორედ მსგავსი ტაქტიკით მოახერხა ედი ირვინმა, დახმარებოდა შუმის იაპონიის დიდი პრიზის გათამაშებისას. ასე რომ, გუნდებს ახალი ტაქტიკის შემუშავება მოუწევთ.

# საფრანგეთი გადარჩა

ავტოსპორტის ისტორიაში უძველესი „საფრანგეთის დიდი პრიზი", რომელიც პირველად 1906 წელს ჩატარდა, ფიას გადაწყვეტილებით კვლავ შეიტანეს წლევანდელი ჩემპიონატის კალენდარში.

ამ ეტაპის ჩატარება სათუო გახადა ფიას უთანხმოებამ ფრანგულ კანონთან: ფიას სურს, რომ ასპარეზობის ტელეტრანსლაცია მასთან კონტრაქტით დაკავშირებულმა ტელეკომპანიამ მოაწყოს, ფრანგული კანონის მიხედვით კი ამის უფლება ყველა კომპანიას აქვს.

საკითხის მოგვარებას ხელი შეუწყო საფრანგეთში მიღებულმა ახალმა კანონმა, რომლის თანახმადაც სპორტული ასპარეზობის ორგანიზატორებს შეუძლიათ ტელეგადაცემის უფლება მისცენ მათთვის სასურველ კომპანიებს, მაგრამ ამავე დროს სხვა კომპანიებსაც ეძლევათ უფლება, მათაც მოაწყონ მოკლე რეპორტაჟები ამ შეჯიბრების შესახებ.

ამ კანონმა ფიას ბოსებს გული მოულბო, რახან ეგრეა, 28 ივნისს მანი-კურის ტრასაზე „საფრანგეთის დიდი პრიზი" გაიმართოსო. თუმც ეს თარიღი შეიძლება შეიცვალოს კიდეც.

საფრანგეთმა და ფიამ კომპრომისული ვარიანტი კი გამონახეს, მაგრამ მსოფლიო ავტოსპორტის შეფებს მაინც უჩნდებათ პრობლემები ტელეგადაცემების გამო. ამჯერად უკმაყოფილოა ევროგაერთიანება, რომლის ექსპერტთა აზრით, ფიას მონოპოლია ფორმულა I-ის ტელერეპორტაჟებზე ევროგაერთიანების კანონებს ეწინააღმდეგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზამთარში ახალი ჩემპიონები გვყავს

საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნისას გადამწყვეტი იერიში ახალგაზრდებმა მიიტანეს და მათ ცდას მთლად უშედეგოდ არ ჩაუვლია. თუმცა, როდესაც ვამბობთ ახალგაზრდებიო, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ცნება შეფარდებითია მათთვის, ვისზეც ეს შეტევა განხორციელდა.

ქალთა ნახევარფინალებმა სამ-სამი ხელი მოითხოვა. ნინო ესებუამ პირველი ხელი დიდი ანგარიშით დათმო ეკა ყვანიასთან 1:6, შემდეგ კი ძალები მოიკრიბა და უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში ორი მომდევნო მოიგო 7:6, 7:5. მეორე ნახევარფინალში ნატო დოლიძემ ია ზოზრაშვილს პირველ ხელში 7:5 აჯობა, მეორე კი 0-ზე წააგო. გადამწყვეტ სეტში ნერვები უფრო მტკიცე ზოზრაშვილს აღმოაჩნდა 6:4.

ძალიან საინტერესო იყო მესამე ადგილისთვის შეხვედრა ნატო დოლიძესა და



ია ზოზრაშვილი

ეკა ყვანიას შორის. ყვანიამ პირველი ხელი 6:2-ზე მოიგო. რაზეც ნატომ 6:3-ით უპასუხა, გადამწყვეტ სეტში ეკა 5:2-ს იგებდა, მაგრამ ნატომ უძნელესი სიტუაციიდან მოახერხა თავის დაღწევა, ზედიზედ 5 გეიმიც მოიგო, სეტიც, მთლიანად მატჩიც და მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

ფინალში ია ზოზრაშვილმა დაამარცხა ნინო ესებუა 6:4, 6:3 და პირველად მოიპოვა პირველობა. საქართველოს ზამთრის ახალ ჩემპიონს სულ ახლახან, 11 მარტს, შეუსრულდა 17 წელი. ზოზრაშვილი შარშან ერთი წლის განმავლობაში საბერძნეთში, ათენში, ცხოვრობდა და იქ ვარჯიშობდა, როგორც იამ გვითხრა, ადგილობრივ ტურნირებში მონაწილეობას ვერ ახერხებდა, რადგან ამისთვის საჭირო იყო საბერძნეთის მოქალაქეობა. ეს ჩემპიონატი ზოზრაშვილმა კარგად წარმართა და რამდენიმე ძნელი მატჩი მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვება ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ერთ-ერთ ლიდერ სოფიკო მანაგაძესთან, რომელიც იამ მეოთხედფინალში დაამარცხა. ზოზრაშვილს დათო კაჭარავა ავარჯიშებს.

ქალებისგან განსხვავებით. ვაჟთა ნახევარფინალებში ისინი გავიდნენ, ვისაც ამას უწინასწარმეტყველებდნენ. გივი სამხარაძე და ირაკლი კუნჭულია, მართალია, თავადაც ახალგაზრდები არიან, მაგრამ მოზრდილთა ტურნირებში შედარებით უფრო გამოცდილნი. ირაკლი უშანგიშვილი და ლადო ჩიხლაძე კი ახლა ცდილობენ მოზრდილთა ელიტაში დამკვიდრებას. სატურნირო ბადემ ნახევარფინალში სამხარაძე კუნჭულიას შეახვედრა, უშანგიშვილი კი — ჩიხლაძეს.

სამხარაძე — კუნჭულიას შორის დაძაბული მატჩი გაიმართა. გივიმ ტაი-ბრეიქზე გადამწყვეტ ხელში შეძლო გამარჯვება. მეორე ნახევარფინალში კი უშანგიშვილმა ადვილად სძლია ჩიხლაძეს.

მესამე ადგილისთვის ირაკლი კუნჭულიამ 6:3, 6:3-ზე დაამარცხა ლადო ჩიხლაძე

ფინალი სამხარაძესა და უშანგიშვილს შორის საინტერესო გამოდგა. მეტოქეებმა სანახაობრივადაც კარგი ჩოგბურთი აჩვენეს. პირველ ხელში ორივე იგებდა თავის მოწოდებებს და სეტის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა სამხარაძემ უშანგიშვილის მოწოდება მოიგო — 7:5.

მეორე ხელი იმავე სცენარით წარიმართა, იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე ვერც ერთმა ვერ მოახერხა მეტოქის მოწოდების მოგება და საქმე ტაი-ბრეიქამდე მივიდა, რაც თავიდან სამხარაძის უპირატესობით წარიმართა, მაგრამ რამდენჯერმე გივიმ არ გარისკა და უშანგიშვილმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ირაკლი რაც უფრო ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, მით უფრო კარგად თამაშობდა და საბოლოოდ შეძლო ამ ხელის მოგება 7:6.

მესამე სეტში მეტოქეები კვლავ იგებდნენ თავიანთ მოწოდებებს, მაგრამ თუ გივი ამას ადვილად ახერხებდა, ირაკლი ძალების უდიდესი დაძაბვით — ზედიზედ თავის სამი მოწოდება უშანგიშვილმა 0:30-იდან ამოქაჩა. მეოთხედ კი ველარ შეძლო, გივიმ დაჯაბნა, შემდეგ თავისი მოწოდებაც მიაყოლა და უფრო ლაღადაც დაიწყო თამაში. შეხვედრის ბოლო მისი უპირატესობით წარიმართა. იგი უფრო ხშირად გადიოდა ბადესთან და რამდენიმე ლამაზი ბურთიც ჩააგდო. საბოლოოდ სამხარაძემ გაიმარჯვა 7:5, 6:7, 6:4 და ჩემპიონიც გახდა. უნდა ითქვას, რომ უშანგიშვილმაც კარგი თამაში აჩვენა.

გივი სამხარაძე 29 იანვარს გახდა 19 წლის. იგი საქართველოს ნაკრების წევრია და ახლა მასთან ერთად ემზადება დევისის თასის მატჩისათვის, რომელიც ჩვენს ნაკრებს მაისში ელის პორტუგალიელებთან. ახლა მას ნაკრებში დათო კაჭარავა ავარჯიშებს. როგორც გივიმ გვითხრა, მან რამდენიმე ძნელი მატჩი მოიგო ამ ტურნირზე, ნახევარფინალშიც და ფინალშიც დაძაბული ორთაბრძოლები გამოდგა. ახლა დევისის თასის მატჩამდე გივის სერიოზული ტურნირი აღარ ელის, ამიტომ ვარჯიშით უნდა შეინარჩუნოს ფორმა და გაიუმჯობესოს ის სათამაშო კონდიციები, რომელიც პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში წაადგება.

**გია აგლაძე**



გივი სამხარაძე


**იყიდება**

ახალი ლაზერული პრინტერი

**HP LaserJet 6L**

ფასი 500 $

ტელეფონი: 34-85-43

(საღამოს საათებში)

**იყიდება**

თეთრი, გამჭვირვალე

**ორგანული მინა**

სისქით 3, 4, 5, 6 მმ.

ზომით: 180x120 სმ და 120x90 სმ

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 95-22-56

38-60-88 (საღამოს საათებში)


## პირველობა არავის უნდა?



გრეგ რუზედსკი



პატრიკ რაფტერი

პიტ სამპრასს ამ ბოლო ხანებში მძიმე დრო უდგას — კაცი, რომელიც სეზონის დასაწყისში ყველა შესაძლო თუ შეუძლებელი რეკორდების მოხსნით იმუქრებოდა, თამაშს თამაშზე აგებს და აქტივში ჯერჯერობით ერთადერთი, ფილადელფიის მეორეხარისხოვანი ტურნირის ტიტული აქვს და ზედიზედ 102 კვირის განმავლობაში პირველობის შემდეგ საცაა კლასიფიკაციაშიც დათმობს პოზიციებს, მაგრამ მისი შემცვლელი მაინც არ ჩანს.

ჯერჯერობით სამპრასის ხუთწლიან ბატონობისთვის ბოლოს მოღების პრეტენზიები მხოლოდ აღმავლობის გზაზე მდგარმა ძველმა მოქიშპემ — ანდრე აგასიმ გამოთქვა. მე მწამს, რომ პირველ ჩოგნობას დავიბრუნებო და სიტყვას საქმეც მოაყოლა: პიტს სან ხოსეს ტურნირის ფინალში შავი დღე აყარა. „მოუთმენლად მოველი მის უფრო დიდ ფინალში დამარცხებას" — დაიქადნა ლასვეგასელმა პლეიბოიმ, თუმცა ინდიან უელსში სერხი ბრუგერასა და პატრიკ რაფტერის მძლეველმა მეოთხედფინალში პირზერძეშეუმშრალ ყანმაიკლ გემბილთან ვერაფერი გააწყო და მეტად მნიშვნელოვანი საკლასიფიკაციო ქულები დაკარგა.

პიტის ტახტიდან ჩამოგდების რეალური შანსები ბოლო კვირების მანძილზე ორ ჩოგბურთელს — ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულ პეტერ კორდასა და ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს ჰქონდათ, მაგრამ მათ დიდი ამბიციების უქონლობამ შეუშალა ხელი.

„თუ პირველი ჩოგანი გავხდები, ეს ფანტასტიკური იქნება, მაგრამ ამას სლემის ტურნირის მოგებაში არასოდეს გავცვლიდი" — ამბობს კორდა — „ყველას ძალიან გთხოვთ, მაცალეთ თამაში. ჩემს გულში პიტი ისევ ნომერი პირველია, თუმცა მე ცდას მაინც არ დავაკლებ".

რაც შეეხება რაფტერს, იგი ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ მიკერებულ სუპერვარსკვლავის სტატუსს ჯერაც ვერ შეეჩვია და იმის შიში აქვს, რომ პირველ ჩოგნად გახდომის მერე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება: „პოპულარობა სულაც არ მსიამოვნებს. ახლა ქუჩაშიც კი ყველა მცნობს, რამაც პირადი ცხოვრება, ფაქტობრივად, დამისამარა. შინ, ავსტრალიაში დასვენება, უბრალოდ, შეუძლებელი გახდა".

ოზი არც ეროვნულ გმირად აღიარებითა და ჟურნალ PEOPLE-ის მიერ მსოფლიოს ათ ყველაზე სექსუალურ მამაკაცთა სიაში შეყვანითაა ბედნიერი. ეს უკმაყოფილება კი თანდათან სატურნირო შედეგებსაც დაეტყო — სექტემბრის შემდეგ მას არც ერთი პირველობის ფინალისთვის აღარ მიუღწევია: ამჟამად დიდ ზეწოლას განვიცდი. მაგალითად, ადრე მატჩის წინ ამბობდნენ: რაფტერი მოიგებს? ალბათ, არა. ახლა კი საქმე ასეა: რაფტერმა? მან ეს მატჩი უნდა მოიგოს. მოგებაზე ყაბულსა ვარ, მაგრამ როდესაც შენგან ბევრს მოითხოვენ, ეს ცოტათი ძნელდება".

ავსტრალიელი არც ბევრი დიდი ჩოგბურთელისთვის დამახასიათებელი თვითდაჯერებით გამოირჩევა. „პირველობა ჯერჯერობით ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. რა თქმა უნდა, ორ-სამ კვირაში იქნებ კიდეც შევძლო, მაგრამ ამისთვის მე ფანტასტიკურად უნდა ვითამაშო, პიტმა კი კოჭლი ძალღივით. იგი ბოლო ხანებში ჩვეულ ფორმაში ვერაა, მაგრამ მაინც დიად ჩოგბურთელად რჩება".

რაც შეეხება სხვა პრეტენდენტებს, 1996 წლის როლან გაროსის ჩემპიონი, რუსი ევგენი კაფელნიკოვი ადრე დიდი თავმდაბლობით არ გამოირჩეოდა, პირველობასთანაც რამდენჯერმე იყო ახლოს, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვერასოდეს მოახერხა, ახლა კი პერსპექტივებზე საუბარს დუმილს ამჯობინებს. შარშანდელი სეზონის აღმოჩენა — შვედი იონას ბიორკმანი წელს მეტად უფერულად ასპარეზობს.

„სანამ პირველობაზე დავიწყებ ფიქრს, ჯერ მეორე ადგილს მაინც უნდა მივაღწიო" — აცხადებს ადამიანი — მოწოდება გრეგ რუზედსკი, მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი. ყველაზე ოპტიმისტურად კი ახლახანს დამთავრებული „ჩემპიონთა თასის" გამარჯვებული, აწ უკვე მსოფლიოს მესამე ჩოგანი კიკინიანი ჩილელი მარსელო რიოსია განწყობილი: „წელს პირველი ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება გახდეს. ახლა ბევრი ჩოგბურთელი თამაშობს კარგად, მათ შორის მეც". მარსელოს გარკვეულწილად ინდიან უელსის ფინალში მის მიერ დამარცხებული რუზედსკიც ეთანხმება: „პიტი უახლოეს ხანებში შეიძლება ჩამოქვეითდეს კლასიფიკაციაში და ამან პრეცედენტი შექმნას".

დაშინებულ თუ შეთამაშებულ კონკურენტთა სიმრავლე თავად სამპრასს სულაც არ აღელვებს, იგი საკუთარ ძალებში ისევ ძველებურადაა დარწმუნებული: „ერთ-ორ თამაშს წააგებ თუ არა, ხალხი კრიზისზე იწყებს საუბარს, მაგრამ მშიშარა არასოდეს ვყოფილვარ, ცუდი დრო ყველას ჰქონია და მე რატომ უნდა ვიყო გამორჩეული?"

ასეა თუ ისე, თუ საქმე პროგნოზებზე მიდგა, წლის ბოლოს კლასიფიკაციის უმაღლესი საფეხურისთვის სამპრასს მაინც ზემოხსენებულ ჩოგბურთელთაგან გაეჯიბრება ვინმე. უნდათ თუ არ უნდათ, უპირველესი პრეტენდენტები, ალბათ, პეტერ კორდა, მარსელო რიოსი, გრეგ რუზედსკი და ანდრე აგასი იქნებიან.

წლეულს მოპოვებული ქულებით კი კლასიფიკაცია ჯერჯერობით ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. პეტერ კორდა (ჩეხეთი) | 1522 |
| 2. მარსელო რიოსი (ჩილე) | 1431 |
| 3. გრეგ რუზედსკი (ინგლისი) | 1004 |
| 4. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 982 |
| 5. ანდრე აგასი (აშშ) | 848 |
| 6. იან სიმერინკი (ჰოლანდია) | 730 |
| 7. ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 722 |
| 8. პიტ სამპრასი (აშშ) | 689 |
| 9. მარკ როსე (შვეიცარია) | 581 |
| 10. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 572 |
| 11. ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) | 543 |
| 12. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 500 |
| 13. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 485 |
| 14. ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 440 |
| 15. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 416 |

**ავთანდილ სვანიძე**

## შტეფი ისევ დაისვენებს

კი ბისკეინი. აშშ. ლიპტონის ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 4,6 მილიონი $

ლიპტონის პირველობა პრესტიჟულობით მხოლოდ დიდი სლემის ტურნირებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებს ჩამოუვარდება და ჩოგბურთელებიც ამ ტიტულის ნამსახურობის სიაში ჩასაწერად თავს არ ზოგავენ. კი ბისკეინს სხვა ტურნირებისგან ის განასხვავებს, რომ აქ ქალები და კაცები ერთად ასპარეზობენ, ჩვეული რვის ან თექვსმეტის ნაცვლად ერთბაშად 32 განთესილია და ისინი თამაშს მეთექვსმეტედფინალში კი არა, ოცდამეთორმეტედფინალში იწყებენ, განთესვის პატივის არმქონენი კი სულაც სამოცდამეოთხედფინალში.

შტეფი გრაფმა 9-თვიანი შესვენების შემდეგ ჩოგბურთში მობრუნებაც კი ვერ მოასწრო, რომ მორიგი ტრავმა მიიღო და 3-4 კვირით ისევ მოისაკლისებს კორტებს. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ინდიან უელსში ორთავა კუნთი დაიზიანა, მაგრამ კი ბისკეინში თამაშის იმედი მაინცა ჰქონდა. როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად: შტეფიმ ხუთშაბათს ვარჯიში რომ დააპირა, თურმე ფეხი ისევ წამოტკივდა და სხვა რა გზა იყო, პირველობას შარშანდელივით უგანა. დიდ გერმანელს ლიპტონი ხუთჯერა აქვს მოგებული და ტურნირის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებლებიც ეკუთვნის — 59 მოგება და მხოლოდ 5 მარცხი. ახლა გრაფი, რომელსაც წლეულს მუხლი და ქუსლი აწუხებდა, ფედერაციის თასის შეხვედრისთვის გამოჯანმრთელებას იმედოვნებს, გერმანელებს ხომ შუა აპრილში უმძიმესი მატჩი ელით ესპანელებთან. თუმცა ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, შტეფი ჭკუას იხმარს და კორტზე სიკვდილს პენსიაზე გასვლას არჩევსო.

გრაფის გარდა კი ბისკენში კიდევ რამდენიმე ბობოლა ვერ იასპარეზებს — როლან გაროსის ჩემპიონს, ხორვატ ივა მაიოლის გრიპი შეეყარა, „ლიპტონის" შარშანდელმა გამარჯვებულმა, ავსტრიელმა ტომას მუსტერმა კი გრაფის მსგავსად ინდიან უელსში მიღებული ტრავმა ვერ მოირჩინა. სამაგიეროდ, სეზონში პირველ მატჩს აქ გამართავს გაამერიკელებული მონიკა სელეში, რომელმაც აქამდე კორტზე სირბილს კიბოთი დაავადებული მამის გვერდით ყოფნა არჩია.

გუშინ პირველი მატჩებიც გაიმართა. ხუთიოდე წლის წინ ჩოგბურთის მომავლად შერაცხულმა, მერე კი განარკომანებულმა და გაქურდბაცაცებულმა ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ ნოემბრის მერე პირველად ითამაშა და პირველ წრეში წაგებათა სერია ექვსამდეც გაზარდა. ჩასუქებულმა ჯენიმ, რომელსაც მუდმივი მწვრთნელი თურმე ვერაფრით შეურჩევია, პოლონელ მაგდალენა გრჟიბოვსკასთან წააგო 0:6, 5:7. ვინუს უილიამსის უმცროსმა დამ — 16 წლის სერენამ ჩეხი დენიზა ხლადკოვა დაჩაგრა 6:4, 6:0, ამის მსგავსად შავტუხა ჩანდა რუბინმა კი, რომელსაც 1996 წელს ლიპტონის ფინალისთვის მიუღწევია, კიდევ ერთი ჩეხი — ლენკა ნემეჩკოვა 6:3, 6:3.



ჯენიფერ კაპრიატი

ქალები. პირველი წრე: კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) — ვილტრუდ პრობსტი (გერმანია) 6:3, 4:6, 6:3; ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:5 (7:4), 2:6, 6:1.

კაცები. პირველი წრე: ტოდ მარტინი (აშშ) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 4:6, 7:6 (7:4), 7:5; ჯეფ ტარანგო (აშშ) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:1, 7:5; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:4; ჯიმ კურიე (აშშ) — რადომირ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:1, 6:0; მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:1, 6:2.

# მაიკლ გერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



[illegible]

## ვინ სად?

ასეა, როცა მოქალაქედ იქცევი:

მოკრივენი საოცრად მორწმუნე ხალხია. ბევრ მათგანს ხელთათმანი ანაფორაზე გაუცვლია. ბევრიც ისეთ საქმეში ჩარფულა, ღმერთთან და კრივთან არანაირი კავშირი რომ არა აქვს. ბევრი კი კვლავ რინგის გარშემო ტრიალებს.

პირდაპირ რომ ჩამოთვალო, ძალიან საინტერესო სურათს ნახავ:

ბენი ბრისკო მუშა გახდა, ჰენრი არმსტრონგი — მინისტრი. მიკი უოკერი გამსახიობდა, კარმენ ბაზილიო ლუდის ბიზნესში ჩაერთო. არჩი მური ლოს ანჯელესის ქუჩის ბიჭების გამომსწორებელი შეიქნა თავად რონალდ რეიგანის ბრძანებით. ჯერსი ჯო უოლკოტი საკრივო კომისიონერად მოეწყო, ფლოიდ პატერსონი — ნიუ იორკის ათლეტთა საქმეების კომისიის უფროსად. მაქსი როზენბლუმი, რომელიც 299-ჯერ გავიდა რინგზე ღამის დუქნ „სლაპსი მაქსის" მეპატრონედ გამოგვეცხადა. ჯორჯ ჩუვალოს ტელეშოუ მიჰყავს კანადაში. ლეო რენდოლფი ტრაილერის მძღოლია, მაქს შმელინგი კი „კოკა-კოლას" გერმანული ფილიალის თავკაცი. მარვინ ჰაგლერი იტალიაში ცხოვრობს და იქ ტელეფილმებში თამაშობს. კარლოს მონსონი ციხეში მოხვდა მკვლელობისთვის. იქვე იყვნენ ტრევორ ბერბიკი და ტონი აიალა. ბობ ფოსტერი პოლიციელი იყო და ახლა შერიფია. ნარკოტიკებით ტანჯული აარონ პრიორი რინგზე დაბრუნებაზე ოცნებობს. ნიკარაგუელ ლეგენდას ალექს არგუელოს კი სასტუმროები აქვს მაიამიში. ჯო ფრეიზერი ჩრდილოეთ ფილადელფიაში საკრივო დარბაზების ქსელს ფლობს და იქ მოვარჯიშეებს უგდებს თვალ-ყურს. ვილი პეპი კაზინოებთან ტრიალებს...

და ჯო ლუისი? ჯო ლუისი, რომელმაც 23-ჯერ დაიცვა ტიტული და პირადად მოიგონა რამდენიმე დარტყმა? ჯო ლუისი ამერიკის „დიდი შავი იმედი".

საბრალო ჯო ლუისი. იმ ბრჭყვიალა ლას-ვეგასში „სეზარ პალასში" იდგა როგორც საკუთარი თავის ცოცხალი ძეგლი და მომსვლელებს უჩვენებდნენ, აგე მძიმე წონის ცოცხალი ლეგენდა, ღირსება და სიამაყე ჯო ლუისიო. იდგა და იდგა. ბოლოს ველარც იდგა და ინვალიდთა სავარძელში ჩასვენებული ედოთ გამოსაჩენ ადგილას, ძირითადად იმისთვის, რომ შემოსულ ტურისტებს მასთან სურათი გადაეღოთ.

მგონი, იმ სავარძელში მოკვდა.

მანამდე კი, სხვების მსგავსად, ისიც დაბრუნდა, დაბერებული და გასუქებული. წაიქცა და წავიდა. ვერაფერი გააკეთა, უფრო სწორად, მისი პროფესია ჩემპიონობა იყო.

ძნელია, მილიონები არაფერს წყვეტს.

## ძმები

ორი მოსული, ჯანიანი, მოცინარი ზანგის ბიჭი. ადლიანი მუშტებით, განიერი მხრებით, სიმღერასავით ლაპარაკით. ორივე ოლიმპიური ჩემპიონია — 1976 წელს მონრეალის რინგის დამპყრობი.

ძმები ლეონ და მაიკლ სფინქსები სამხრეთში, მისურის შტატში დაიბადნენ, ლატაკთა აღმოსავლეთ სენტ ლუისში ეზიარნენ მუშტის ხელოვნებას და იქიდან შეიქნენ სახელოვანნი.

გულლია, უეშმაკო და კეთილი ბიჭები იყვნენ, ორივენი დედამ გაზარდა, რადგან მამამ ვაჟებს წამოზრდა რომ დაატყო, სახლიდან წავიდა. აქაოდა, თავის რჩენა უკვე შეუძლიათო. ლეონი სამი წლით უფროსი იყო მაიკლზე. ვარჯიშისას მაიკლი ცდილობდა, ლეონს მორეოდა, მაგრამ ყოველთვის უფროსი სჯობდა. პროფესიონალ მოკრივეებად გახდომა და მძიმე წონის ჩემპიონობა მათი ბედი იყო.

მოგვიანებით მაიკლი ამბობდა, მამაჩემი რომ სახლიდან არ წასულიყო, ეგებ კრივს არც მივყოლოდითო. ლეონს იმთავითვე ყველა სცნობდა, რახან მოცინარი ბიჭი იყო და კბილები კი არ შერჩენოდა.

ოლიმპიადა მათი იყო, ძმებმა ამერიკას სახელი მოუტანეს. შინ დაბრუნებულებს პროდ გახდომა არც უფიქრიათ. ოქროს მედლები კედელზე ჩამოკიდეს და სამსახურის ძებნა დაიწყეს. ლეონი საზღვაო ქვეითი შეიქნა, მაიკლს კი ვერაფერიშვილი სამსახური გამოუვიდა — საპირფარეშოების მწმენდავად მოეწყო. ნაწყენი იყო, განა თეთრ ჩემპიონს ჯაგრისს მისცემდნენ ხელში? მერე ის პრო და ქვემძიმე წონის გამორჩეული მებრძოლი შეიქნა. ამ წონაშიც გახდა ჩემპიონი და მძიმეშიც, რასაც ლარი ჰოლმსის ცემით მიაღწია. 1988 წელს მაიკ ტაისონმა წააქცია და ამით მოუმთავრა საქმე.

ლეონსაც დიდხანს არ უმსახურია ჯარში. მენეჯერმა ბაჩ ლუისმა პროდ აქცია და მძიმეწონოსანთა ორომტრიალში შეაგდო. და იცით რა მოხდა? ლეონ სფინქსმა, რომელსაც მძიმე წონაში სულ შვიდი ბრძოლა ჩაეტარებინა, მუჰამედ ალის ჩემპიონის ტიტული წაართვა. ალი სხვა იყო, მან ტიტული რვა თვეში დაიბრუნა.

უკბილო ლეონი კი იმადვე დარჩა, რაც იყო, მოცინარ, იუმორით გაჯერებულ, თავმდაბალ გოლიათად. მაიკლიც ასეთი იყო.

მხიარული სამხრეთელი ბიჭები.

მოკრივის ყოფა ხომ ასეთია — ერთ დღეს ყველაფერი მთავრდება.

უფრო სწორად კი, ადამიანი ხვდება, რომ იქ, რინგზე მისთვის ყველაფერი დამთავრდა. ასეთია დროისა და ცხოვრების კანონი. ყველაფერი წყდება და მოკრივე, ერთ დროს ცნობილი და სახელგანთქმული, ყოველდღიურობაში დაინთქმება ხოლმე.

რინგს გარეთ ის მილიონებში ითქვიფება და მხოლოდ ვიღაც თუ იტყვის: „გახსოვთ? ეს ის არის".

რინგის დატოვება, ხელთათმანების უჯრაში შენახვა ყოველთვის დიდი პრობლემა იყო. ასობით სახელოვანი მებრძოლი გაუგიჟებია პენსიაზე ყოფნას და კვლავ აბობღებულა რინგზე. მართალია, იშვიათად მომხდარა, რომ მობრუნებულ კაცს რაიმე წარმატებისთვის მიეღწია, მაგრამ... თავისი გულისთქმა მაინც აუსრულებია. საშუალო წონის ლეგენდა შუგარ ლეონარდი, პატივითა და დიდებით მოსილი კაცი მხოლოდ იმიტომ მიუბრუნდა კრივს, რომ ბავშვებისთვის თავი დაემახსოვრებინა — მე დიდი მოკრივე ვიყავი და ახალთაობას არ ვუნახივარო.

ახალთაობამ კი წარბგახეთქილი და წაქცეული იხილა. და მაინც, შუგარი კმაყოფილი დარჩა.

წასვლა ძნელია, წარმოუდგენლად ძნელი.

შუგარ რეი რობინსონი, ჟურნალ „რინგის" მიერ ბოლო ნახევარი საუკუნის საუკეთესო მოკრივედ შერაცხული საშუალოწონოსანი, დიდი ჩემპიონი, რომლის გამოც ჯერ კიდევ 40-იან წლებში იწერებოდა წიგნები, ამბობს: „კაცი დარწმუნებულია, რომ როგორც კი შეატყობს, აღარ ვარგა, წავა. მაგრამ თენდება, გრძნობ, რომ არ ვარგიხარ და მაინც ვერ ეშვები საქმეს".

ვის, ვის და დიად შუგარ რეის კი ეთქმოდა ეს სიტყვები, ის ხომ 44 წლისა ძლივს გაეტია რინგიდან.

ტეხასური ლუდის საწყობებიდან დაუბრუნდა კრივს ჯორჯ ფორმენი და ბევრი იარა, სანამ დიდ ბრძოლებში ჩაებმებოდა. ახლაც რინგზეა — მეორეხარისხოვან მოკრივეებთან ქულებით აგებს და მხიარულია. ძია ჯორჯი მილიონერია, განა აღარ ეკუთვნის დასვენება ორმოცდაათს მიტანებულს? მაგრამ ვერ გადაწყვიტა.

„ოცდათექვსმეტი წლისა რომ ხარ, ხვდები, რომ უნდა წახვიდე. მაგრამ რაღაც გქაჩავს შიგნიდან. მოიცადე, ერთხელაც გადი, ერთხელაც. და ეს ერთხელაც აღარ მთავრდება" — ეს მუჰამედ ალის სიტყვებია.

ასე რომ, ძნელია, მაგრამ გარდაუვალი. დარბაზს იქით კი სულ სხვა ცხოვრებაა. სხვა ხალხის ისმის იქ ჟრიამული.

# ცხოვრება და ტკივილი ლეონ ქილერისა და მისი უმცროსი ძმისა



ლეონ სფინქსის სიცილი



მაიკლ სფინქსის ჰოგრიტი

## ლეონი

და რა არის კრივიდან წასვლა? ერთი დროება ვის შერჩენია?

საუცხოო მოკრივე ლეონ სფინქსი დღეს ჩიკაგოს ახლო პატარა ქალაქში ცხოვრობს მეორე ცოლ ბეტისთან ერთად. საუცხოო მოკრივე მაიკლ ფსინქსი მერილენდის ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს ქალიშვილ მიშელთან ერთად.

ჩაიარა მშფოთვარე 80-იანმა წლებმა. ძმები ვეტერანებად იქცნენ, თუმცა ეგრეც ვერ მოერგნენ რაიმეს და ფინანსური წარმატებაც ვერ ნახეს. თავიანთ პატარა ქალაქებში, ბისტროებსა და ბარებში მათ ბებიებიც კი იცნობენ.

„თქვენ ლეონ სფინქსი ხართ?"

„ნამდვილად" — იცინის ლეონი.

„უიმე, არა. ლეონ სფინქსი უკბილო იყო".

აი, ასე ცხოვრობენ.

ამბობენ, რომ ცოლებმა ცხოვრება აურიეს ძმებს. ბეტიმაც კი გული გაუწვრილა ლეონს. მაგრამ ძმები ასეთები იყვნენ, ისინი ძალიან მხიარულები და გულალალნი გამოდგნენ იმისთვის, რომ გეგმაზომიერი ცხოვრება შეძლებოდათ.

ლეონი: „ალი რომ დავამარცხე, კლუბში წავედი და მთელი ღამე ვცეკვავდი. ბოლოს ფეხზე ველარ ვიდექი და ძმაბიჭებმა ხელში აყვანილი მიმიყვანეს სასტუმროში".

ლეონი საოცარი ბიჭი იყო. სიტყვა ფულის მფლანგველი ვერ გამოხატავს მის ხასიათს. ლეონი დროსტარების მოყვარე იყო, ალალი დროსტარებისა. განა იმიტომ დადიოდა ბარებსა და კლუბებში, რომ ოქროს სამკაულები გამოემზეურებინა? არა, მას მხიარულება უყვარდა. ალალად მომლხენი ბიჭი იყო, მაგრამ არა მფლანგველი. კარიერას რომ ასრულებდა, ხუთ მილიონამდე ფული ჰქონდა დაბანდებული და თავსაც მშვენივრად გრძნობდა. არ იყო შავი ფიქრების ბიჭი.

კაცი არ მოიძებნებოდა დიდი ქალაქების ბარებში, რომ არ ექთვა: „ლეონ სფინქსი გაგიგიათ? გუშინ ისე ჯიგრიანად ჩავსკდი მაგასთან ერთად, რომ თქვენი მოწონებული. ოქრო ბიჭია, ცხვირს კი არ იბზუებს სხვებივით. თან როგორ იღრიჯება?"

ლეონი: „ცოტა პლანს მოვწევდი, დავიდგამდი სირჩა ლიქიორს და ვკაიფობდი ჩემთვის. მაგრამ ვარჯიშით პატიოსნად ვვარჯიშობდი. ვარჯიშისას არასდროს მომიწევია და დამილევია".

ლუისი ამბობდა, ამ ბიჭს ისეთი გული და ხასიათი აქვს, რომ ძალიან ბევრი ადამიანური სითბო სჭირდება, რადგან ჩვეულებრივ პრაქტიკულ ფიქრს ძნელად ეგუებაო.

ლეონმა მართლაც სასწაული მოახდინა — მან ალი დაჯაბნა. ხალხს აშკარად მოსწონდა ეს ბიჭი, რომელმაც მთელი საკრივო სამყარო ზურგზე წამოიკიდა და რინგზე ცეცხლის დანთების უნარით ყველა განაცვიფრა. მსოფლიო მის ფერხთით იყო. მაგრამ ლეონ სფინქსს არ უნდოდა მსოფლიო. და საერთოდ, ჯერ არ დაბადებულა კაცი, რომელიც ამგვარად იცინოდეს და მსოფლიოს დაპყრობა უნდოდეს.

ლეონ სფინქსი თვითმკვლელი იყო და ამას იმგვარი გულუბრყვილობით სჩადიოდა, რომ გარშემომყოფნი დრამას ლაპარაკობენ.

## ლეონ ქილერი

და მოსახდენი მოხდა. არა რინგზე, სადაც ლეონი აღარავის ახსოვდა, არამედ ჯიბეში. ლეონ სფინქსმა მოკლა საკუთარი თავი. ლეონ სფინქსი გაკოტრდა. სადღაც გაქრნენ მანქანები, ქალები და დუქნის ძმაბიჭები. ბაჩ ლუისმა ხელი ჩაიქნია. ხუთი მილიონი დაიკარგა. ლეონ სფინქსს დარჩა 500 დოლარის ღირებულების ტანსაცმელი და საკრივო პენსია, სულ 1600 დოლარისა, რაც იმის გარანტიაა, რომ შიმშილით არ მოკვდები...

მაგრამ ისინი ხომ ასეთი კარგები იყვნენ, ასეთი თბილი და გემრიელი ბიჭები — ლეონ და მაიკლ სფინქსები და ბაჩ ლუისმა იცოდა ეს და მაიკლს მოკიდა ხელი და უთხრა, შენ ნამდვილ კრივს უნდა მისდიოო.

მაიკლი ყველაფრისთვის მზად იყო: „მე და ლეონი, ჩვენ ერთნი ვართ. მე მასთან ერთად ქუჩაში ვიცხოვრებ. არ მივატოვებ. ჩვენ ძმები ვართ. მთელი ბავშვობა ერთმანეთის ცემაში გავატარეთ. ერთადერთხელ მოვერიე ვიჩხუბებდით და ერთმანეთს ვეხვეოდით".

და მაიკლ სფინქსმა ტვირთი აიკიდა და ორი ქმარი იპყრა.

ლეონს კი ეკითხებოდნენ: „ამბობენ, რომ თქვენი საჩემპიონო ქამარი აუქციონზე გაიყიდა".

„არა, მე მაქვს ჩემი ქამარი. და საერთოდ, ეს ჩემი ცხოვრებაა" — პასუხობდა ლეონი.

ქამარი 1985 წლის დეკემბერში გაიყიდა მისი ვალების დასაფარი ფულის საშოვნად.

და ისინი ერთად იყვნენ, ძმები სფინქსები და მოხდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა. ლეონ სფინქსი დაბრუნდა.

ექვს წელიწადს უქმად იყო და დაბრუნდა.

რატომ? ამბობენ, რომ ფულისთვის.

ერთი ჩიკაგოელი ადვოკატი, გვარად კალუერტი შეუჩნდა. იცოდა მისი ამბავი და ფსიქოლოგიური ტესტებიც კი შეავსებინა. ფსიქიატრებსაც კი გაასინჯა და მათ თქვეს: ეს არის ბიჭი უზარმაზარი გულით, ეს არის გოლიათი ბავშვი, რომელსაც სიკეთისა სჯერა და შინაგანად ბედნიერია თავსდამტყდარი ამბების მიუხედავად.

და ლეონი დაბრუნდა, სულ რვა ბრძოლა ჩაატარა, ექვსი მოიგო და ორი წააგო. 1991 წლიდან 1993 წლამდე თავდაუზოგავად ივარჯიშა, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო. ბეტი რომ ეტყოდა, დღეს დარბაზში ვერ წახვალ, რადგან დღეს მაღაზიებში უნდა წავიდეთო, ლეონი მანქანის დასაქოქად გარბოდა. საჭესთან ბეტი ჯდებოდა, ლეონს ლიცენზია არ ჰქონდა.

თავისი უკანასკნელი ბრძოლა ლეონ სფინქსმა ქულებით წააგო მოკრივესთან, რომელსაც ორადორჯერ მოეგო და 41-ჯერ წაეგო.

## ღმერთისა და ბავშვისა

ლეონ სფინქსი ქუჩისპირა კაფეში ზის და გამვლელებს ათვალიერებს. 41 წლის კაცია და გიმში დაიარება ხოლმე და ბავშვებს ავარჯიშებს. არ არის მდიდარი კაცი და თავსაც არ თვლის დიდ მოკრივედ. ამბობს, ვარჯიში ყოველთვის მეზარებოდაო. თუკი ვინმე ნაცნობი ჩამოუჯდება გვერდით, ლეონი ბავშვობის ამბებს მოიგონებს ხოლმე: დღესასწაული ის იყო, დედაჩვენი რომ ქათამს შეგვიწვავდა, ხორცი ყოველთვის გვაკლდა და მაინც ამოდენები დავიზარდეთო.

ლეონი დღესაც სამზარეულოს ამბებზე ლაპარაკს ამჯობინებს. მისი ერთი ძმაკაცი, ჩიკაგოელი ადვოკატი რობელ მაკმილარი კი ამბობს: „მაიკლმა ივარგა, ლეონმა ვერა. რას იზამ. ბიბლია რომ გადაფურცლო, ნახავ, ღმერთი თავად უვლის ბავშვებსა და სულელებს. მგონია, რომ ლეონიც ამისკენ მიისწრაფვოდა მთელი ცხოვრება. ის ღმერთის საპატრონო კაცია".

ლეონს კი უკვირს: „რა უნდათ ჩემგან? კაცი რომ მეუბნება, შენი მეგობარი ვარო, მე ის მართლაც მეგობარი მგონია. მთელი ჩემი მილიონები ასეთმა მეგობრებმა წაიღეს. მე კი რა ვქნა? აი, ჩემი პერანგი, აი, ჩემი სახლი. რაც მაბადია, ყველაფერს გაჩუქებ. ცხოვრება ასეთი უნდა იყოს".

და ის კვლავ იცინის. მობერებულია, კბილები ჩაუსვამს და იცინის. ჩანს, მაინც უხარია, რომ ოდესღაც ჩემპიონი იყო.

ლეონ სფინქსი, სენტლუისელი კეთილი ბიჭი.

## მონოლოგი

„მაიკლს არა უშავდა. მე კიდევ სულ მსჯიდნენ. მაიკლი დედის რჩეული იყო. ჩვენ სახლის დალაგება გვქონდა დავალებული. თუ რაიმე ისე არ დაუხვდებოდა, დედა ყოველთვის მე მცემდა. დედაჩემს თავისი ხუშტურები ჰქონდა, მაგრამ მთვრალი საჭესთან არ ჯდებოდა. მერე რელიგიაში გადავარდა. მამაჩემი ჯიგარი იყო, მაგრამ დედას არ მოსწონდა მისი ცხოვრების წესი. ბოლოს დედამ გააგდო სახლიდან. წავიდა ის კაცი, გზა ნახა. ჩვენზე კი ჯავრობდა, მაგრამ რას იზამ? მე შვიდი თუ რვა წლისა ვიყავი და ლეონ სფინქს უმცროსი მერქვა. მამა არ უყვარდა და მის მაგივრად მცემდა. დიდი ბოლმა გადმოანთხია ჩემზე.

დიდი ჯოჯოხეთი გამოვიარე. ტაფით დაწყებული, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფრით მცემდა. ეს დიდხანს გრძელდებოდა. თხუთმეტისა რომ გავხდი, სამუშაო ვიშოვნე. პირველი ხელფასი რომ ჩავიკეცე ჯიბეში, დედაჩემი ფოსტის ყუთთან დამხვდა და სასტიკად მცემა. მეტი ვერაფერი გამოიმეტა. სახლიდან გავიქეცი. ქუჩა-ქუჩა ვათევდი და ფულს ოფლით ვშოულობდი. ასე იყო. ბეტიმ მიშველა. მან ძალა შემმატა და კალაპოტში მომაქცია. ხალხს რომ ვუსმენ, მათი დახმარება მწყურია. ზოგიერთი დამცინის ამის გამო.

მე ვფიქრობ, რომ ჩემი ოცნებები ჩემი პირადი საქმეა. კიდევ მაქვს ოცნებები. რაღაც წესიერი უნდა გავაკეთო. ხალხს ჯერ კიდევ ვახსოვარ, ქუჩაში მცნობენ".

რეგულარული ჩემპიონატი

# ᲐᲧᲚᲐᲧᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲛᲘᲐ

**ვაშინგტონი 91:95 ინდიანა**
**(25:27, 21:26, 24:28, 21:14)**

**ვაშინგტონი: სტრიკლენდი (24), ჩინი (3), ჰოვარდი (12), უებერი (24), დევისი, მიურეი (11), გრანტი (8), უოლესი (4), ვითნი (3), იქლზი (2)**
**ინდიანა: ჯექსონი (10), მილერი (20), მულინი (10), დ. დევისი (6), სმიტსი (15), ა. დევისი (7), მაკკი (11), როუზი (6), ბესტი (5), ჰოინბერგი (5)**



უტევს ინდიანელი ტრევის ბესტი (მარჯვნივ)

ამ გუნდების შეხვედრას ვაშინგტონის „MCI center"-ში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, იმდღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს რომელიმე ადვილს არ ეცილებიან, მაგრამ ორივეს ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა მოუწევს სეზონის ბოლომდე. ვაშინგტონი აღმოსავლეთის რვა უძლიერეს გუნდს შორის მოხვედრას ცდილობს, რაც მას პლეი-ოფის საგზურს მოუტანს, ინდიანამ კი, რომელიც ჩიკაგოს ეომება კონფერენციაში პირველობისთვის, ორი დღის წინ სწორედ ამ გუნდთან მარცხით გაიუარესა ფინალში გასვლის შანსი. სტუმრებმა მშვენივრად დაიწყეს მატჩი, თავიდანვე დაწინაურდნენ და თითქმის ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა. მასპინძლები მომხდურთ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, თუმცა მათ მხოლოდ ბოლო მეოთხედში გაუღიმა ბედმა — მეოთხედის შუაში ვაშინგტონი 9 ქულას აგებდა, როცა კრის უებერმა ხელი გამოილო და 10 ქულა გააკეთა. მატჩის დამთავრებამდე 2,07 წუთით ადრე მისმა ორქულიანმა ვაშინგტონი პირველად დააწინაურა 91:90, მაგრამ აქ ინდიანა ამოქმედდა და წუთნახევრის განმავლობაში რიკ სმიტსის საჯარიმოებით ქულები მიითვალა 92:91. 1,42 წუთით ადრე უებერი სამქულიანს აცილებს, რასაც მილერზე დაჯარიმება მოჰყვება, ინდიანელი 13,4 წამით ადრე ორივე საჯარიმოს აგდებს. კვლავ უებერის უშედეგო მცდელობა და 1,4 წამით ადრე ჯექსონი ერთ ჯარიმას ათავსებს კალათში. ამგვარად, ბოლო ორ წუთში ჩაგდებულ 5 საჯარიმოთი სტუმრებმა იმარჯვეს. ინდიანას მწვრთნელმა ლარი ბერდმა შეაქო თავისი შეგირდები და თქვა, მართალია, თვალსასეიროდ არ ვითამაშეთ, მაგრამ ჩიკაგოსთან მარცხის შემდეგ დიდი მატჩი მოვიგეთო.

18 მარტი

**ლეიკერსი 99:93 ფინიქსი**
**ლეიკერსი: ონილი (33+22 მოხსნა), ჰორი (18+10 მოხსნა)**
**ფინიქსი: მაკდაიესი (20), რობინსონი (18)**

სტუმარიც და მასპინძელიც გასულია არიან პლეი ოფში და ამ მხრივ სადარდებელი არაფერი აქვთ, მაგრამ ეს ორი გუნდი წყნარი ოკეანის დივიზიონის მეორე ადგილისთვის იბრძვის, რამაც ამ მატჩს დაძაბულობა შემატა. შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს და გამარჯვებაშიც ლომის წილი სუპერცენტრმა ონილმა დაიდო, ვინაც 22 მოხსნით სეზონის რეკორდი გაიუმჯობესა. ონილი მეორე წელია, ლეიკერსის ფორმით თამაშობს და აქამდე ამ გუნდში ყველაზე მეტი 21 მოხსნა გაუკეთებია, ხოლო ექვსწლიანი კარიერის პერსონალური რეკორდი 28 მოხსნა გახლავთ. სტუმრებს შეეძლოთ, ზედიზედ ხუთი მოგებისთვის ერთიც მიემატებინათ, მაგრამ მიზანმა უმტყუნათ და სულ სროლების 38,2 პროცენტი ჩააგდეს. ყველას წინა კვირის გმირმა ჯეისონ კიდმა აჯობა, რომელმაც 11 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. ლეიკერსელთა ახალგაზრდა ვარსკვლავმა კობი ბრაიანტმა უკვე მერამდენედ შეირცხვინა თავი. მართალია, მან 10 ქულის მოგროვება შეძლო, მაგრამ კობის 10 სროლიდან ერთმა ინება კალათში ჩაშვება.

**სიეტლი 99:80 კლიპერსი**
**სიეტლი: ელისი (23), ბეიკერი (17)**
**კლიპერსი: პიატკოვსკი (17)**

მაჩანჩალა კლიპერსმა სტუმრად ფიცხელი ბრძოლა გაუმართა რეგულარული ჩემპიონატის ლიდერს და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მხოლოო 4 ქულას აგებდა, აქ კი მასპინძლებმა გაათავისუფლეს გათამამებული ლოსანჯელესელები და წინააღმდეგობისთვის სამაგალითოდაც დასაჯეს. კლიპერსმა დასკვნითი მეოთხედი ასე თუ ისე ხეირიანი თამაშით დაიწყო, მაგრამ მატჩის ბოლო ცხრა წუთში მხოლოდ ორჯერ მოახერხა ბურთის ჩაგდება. მეოთხედის ერთი მონაკვეთი კი მასპინძლებმა სულაც 14:0 მოიგეს და იოლად მოიპოვეს ზედიზედ მეხუთე გამარჯვება. ამის შემდეგ სიეტლი შეიქნა პირველი გუნდი, ვინაც სეზონში 50-მოგებიან ზღვარს მიაღწია, ზედიზედ უკვე მეექვსედ, რაც, უდავოდ, მთავარი მწვრთნელის ჯორჯ კარლის დამსახურებაა.

**მინესოტა 76:92 სან ანტონიო**
**მინესოტა: გარნეტი (16+10 მოხსნა)**
**სან ანტონიო: ჯონსონი (22), დანკანი (20+12 მოხსნა)**

კლიპერსისა არ იყოს, მინესოტამაც გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია ფავორიტად მიჩნეულ სან ანტონიოს და ბოლო მეოთხედს მხოლოდ ექვსქულიანი ჩამორჩენით შეხვდა, მაგრამ აქ გაილაღა სტუმართა მრისხანე ცენტრმა დევიდ რობინსონმა (15 ქულა, 8 მოხსნა, 6 დაფარება), რომელმაც პირველ სამ მეოთხედებში 9 სროლიდან ყველა აცილა, ბოლო 12 წუთში კი 12 ქულა გაუხერხა გუნდს. მინესოტა ბოლო მეოთხედში ხშირად სცოდავდა სროლისას და მხოლოდ 14 ქულა მიითვალა, მთლიანად თამაშში კი მოედნიდან სროლების 36 პროცენტი ჩააგდო, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ამ სეზონში. გუნდი სეზონშივე ყველაზე ცოტა — 76 ქულას დასჯერდა. მას მერე, რაც ერთ-ერთმა ლიდერმა ტომ გულიოტამ კოჭის ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე გამოაკლდა თავისიანებს, მინესოტამ 24-დან მხოლოდ 8 თამაშის მოგება მოახერხა.

**შარლოტი 111:85 იუტა**
**შარლოტი: რაისი (26)**
**იუტა: მელოუნი (17+9 მოხსნა)**

შარლოტმა მშვენივრად ითამაშა ლიგის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ და ზედიზედ 11 მოგების შემდეგ პირველი მარცხი იგემა. მასპინძლებმა თამაშიდან სეზონში ყველაზე მეტი — 61 პროცენტი მოათავსეს კალათში და ლიგის საუკეთესო მსროლელ გუნდს, იუტას ყველაზე ცოტა — 37 პროცენტი ჩააგდებინეს. იუტას ასეთი სუსტი თამაში ნაწილობრივ მისი ლიდერის კარლ მელოუნის ტრავმამაც განაპირობა. მელოუნს პირველი ნახევრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შარლოტელმა დევიდ უესლიმ ბურთისთვის ბრძოლისას ხელი სახეში მიარტყა და ორივე თვალი ჩაუსისხლიანა. სწორედ ამის გამო იყო, რომ მელოუნი, რომლის შედეგიანობა 25 ქულაზე მეტია საშუალოდ მატჩში, მხოლოდ 17-ს დასჯერდა.

**მაიამი 94:91 ვანკუვერი**
**მაიამი: მურნინგი (26), ჰარდევეი (23+11 პასი)**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (21), რივზი (20+9 მოხსნა)**

დეტროიტთან საშინაო მარცხის შემდეგ უფრო სუსტ მეტოქესთანაც წაგება არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ მაიამი გადაურჩა სირცხვილს. ბოლო მეოთხედის შუაგულში მასპინძლები 6 ქულის სხვაობით იგებდნენ, ვანკუვერელმა შარიფ აბდურ-რაჰიმმა კი ლამის წყალში ჩაუყარა გარჯა პატ რაილის ბიჭებს, როცა შვიდი უპასუხო ქულა მიითვალა და თავისიანები 91:90 დააწინაურა. აქ მაიამის მშველელად ვეტერანი დენ მარლი მოევლინა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 1,10 წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო, 11,4 წამით ადრე კი საჯარიმოთი მატჩის ბოლო ქულა მიითვალა. ვანკუვერელ ბლუ ედვარდსს შეეძლო, თავისიანები ზედიზედ მეხუთე მარცხისაგან ეხსნა, მაგრამ 1,4 წამით ადრე სამქულიანი ააცილა. მატჩის ბოლოს პატ რაილიმ უსაყვედურა თავის შეგირდებს, უკეთ უნდა გვეთამაშა, ვანკუვერზე მაღალი დონის გუნდი ამას არ შეგვარჩენდაო.

19 მარტი

**საკრამენტო 85:90 კლივლენდი**
**საკრამენტო: უილიამსონი (21), ტორპი (20), რიჩმონდი (18)**
**კლივლენდი: კემპი (19+14 მოხსნა), ანდერსონი (18)**

მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთი რჩებოდა, როცა ჟიდრუნას ილგაუსკასმა (12 ქულა, 12 მოხსნა) ერთი საჯარიმოთი კლივლენდი 85:84 გაიყვანა წინ, ამას დერიკ ანდერსონმა 44 წამით ადრე ორქულიანიც მიაყოლა და სხვაობა სამ ქულამდე გაზარდა. მიჩ რიჩმონდმა, რომელსაც მარჯვენა მუხლის მცირე ტრავმა აწუხებდა, მატჩის გადარჩენის შანსი გაუშვა ხელიდან — ბოლო 30 წამში სამი სამქულიანი ააცილა. მასპინძლებისთვის ეს მარცხი ზედიზედ მეექვსე იყო, სტუმრებმა კი ზედიზედ მესამედ მოიგეს და გაუთანაბრდნენ აღმოსავლეთში მეექვსე ნიუ იორკს.

**დალასი 88:82 გოლდენ სტ.**
**დალასი: ბრედლი (18+10 მოხსნა, 6 დაფარება)**
**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (18+12 მოხსნა), დამპიე (18+10 მოხსნა)**



ნიუ ჯერსი — ორლანდო. ორლანდოელი აუთლოუ სემ კასელზე აღზევდა

ძირითადი დროის ამოწურვამდე 2,46 წუთით ადრე დალასი მასსავით ჩაჩანაკ გოლდენ სტეიტთან 78:68 იგებდა, მაგრამ ათამაშდა ჯიმ ჯექსონი, ვინაც 18 ქულასა და სეზონში ყველაზე მეტ, 12 მოხსნას 7 პასი და 6 ჩაჭრაც დაუმატა, მისი ხელმძღვანელობით კი გოლდენ სტეიტმა დარჩენილი დრო 10:0 მოიგო. 10,4 წამით ადრე ერიკ დამპიეს ნახტომში ჩაგდებულმა მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც მასპინძლებს შონ ბრედლის შემწეობით არაფერი გასჭირვებიათ. ბრედლი საუცხოო იყო, ასე მას ბოლო ორი თვეა, არ უთამაშია. დალასის მწვრთნელმა დონ ნელსონმა განაცხადა, ახლა კი ვიცი, ეს 229-სანტიმეტრიანი აყლაყუდა როგორ მოვიყვანო თამაშის ხასიათზე, არ ვაღირსებ ძირითად ხუთეულს და გუნდში მასზე უკეთესად ვერავინ გაირჯებაო.

**ჰიუსტონი 105:96 ბოსტონი**
**ჰიუსტონი: ოლაჯუონი (33), დრექსლერი (20)**
**ბოსტონი: მერსერი (31+6 ჩაჭრა), უოლკერი (23)**

ბრწყინვალედ ითამაშა ჰიუსტონის ბებერმა ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა. მან 33 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა, აქედან 15 კი ბოლო მეოთხედში შეაწია მშობლიურ ჰიუსტონს, რომელმაც ზედიზედ მეხუთედ გაამწარა მეტოქე. ბოლო მეოთხედში 35 წლის ოლაჯუონის გაჩერება ბოსტონისთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა. მას მუდმივად მეურვეობდა ორი კაცი, მაგრამ ამას შედეგი არ მოუტანია — ოლაჯუონი მაინც აკეთებდა თავის საქმეს. 5,44 წუთით ადრე ჰაკიმმა 85:83 დააწინაურა ჰიუსტონი, ამის მერე კი მასპინძლებმა მეტოქის დაწიოკებას მიჰყვეს ხელი. ოლაჯუონს ძველი მეგობარი კლაიდ დრექსლერიც დაეხმარა, რომელთან ერთადაც მას ჰიუსტონის უნივერსიტეტი დაუმთავრებია. 35 წლის დრექსლერი NBA-ში ბოლო სეზონს ატარებს და საგაისოდ სწორედ ამ უნივერსიტეტის მწვრთნელობა განუზრახავს.

**ატლანტა 84:81 მილუოკი**
**ატლანტა: მუტომბო (18+15 მოხსნა + 8 დაფარება)**
**მილუოკი: ალენი (21+10 მოხსნა), ჯონსონი (10+17 მოხსნა)**

განახევრებულმა მილუოკიმ ღირსეულად იბრძოლა ატლანტასთან, რომელსაც, თავის მხრივ, გამთამაშებელი მუკი ბლეილოკი აკლდა. ატლანტა 82:81 იგებდა, 4,3 წამით ადრე სტივ სმიტმა ორი საჯარიმოთი მატჩის ბოლო ქულები რომ მიითვალა. მილუოკის შეეძლო მატჩის ხსნა, მაგრამ იმ დღეს სტუმართაგან ყველაზე შედეგიანმა რეი ალენმა ერთი წამით ადრე სამქულიანი ააცილა, მილუოკიმ კი რვამდე გააგრძელა წაგებების სერია.

**ნიუ ჯერსი 93:87 ორლანდო**
**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (19)**
**ორლანდო: ანდერსონი (38)**

ეს გუნდები ერთმანეთს ეპაექრებიან პლეი ოფში მოსახვედრად და ამ მხრივ ნიუ ჯერსის გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვს, მით უმეტეს, რომ მისმა ლიდერებმა — კიტ ვან ჰორნმა და ჯეისონ უილიამსმა (10 ქულა ამ თამაშში) პირველად ითამაშეს რამდენიმე მატჩის გამოტოვების შემდეგ. ნიუ ჯერსის ღირსება მეორედ დაიცვა ექს-ორლანდოელმა ცენტრმა რონი საიკლიმ, თუმცა არცთუ კარგად. იგი ოც წუთში 5 ქულას დასჯერდა, მისმა ნიუ ჯერსიმ კი იოლად სძლია ორლანდოს. სტუმართაგან საუკეთესო კვლავ ნიკ ანდერსონი იყო, რომელმაც 38 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა. მიუხედავად ამისა, მისი გუნდი მარცხს ვერ ასცდა.

**ნიუ იორკი 77:82 პორტლენდი**
**ნიუ იორკი: უორდი (19+11 პასი), ჰიუსტონი (18)**
**პორტლენდი: საბონისი (21+11 მოხსნა), გრანტი (21+10 მოხსნა)**

სტუმრები თავიდანვე დაწინაურდნენ და დაჩოქილ ნიუ იორკს საკმაოდაც გაუსწრეს, თუმცა ბოლოს მასპინძლებმა, განსაკუთრებით კი გამთამაშებელმა ჩარლი უორდმა, ხელი გამოიღეს და სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა — 80:77 პორტლენდის სასარგებლოდ. მატჩის დამთავრებამდე 12,8 წამი რომ დარჩა, ჰიუსტონს სულაც გათანაბრება შეეძლო, მაგრამ სამქულიანი ააცილა, რასაც 3,7 წამით ადრე პორტლენდის ძირითადი გამთამაშებლის დეიმონ სტუდემაიერის შემცვლელი ბრონსონის ორი საჯარიმო მოჰყვა და ამან ყველაფერი გადაწყვიტა.

**ტორონტო 104:103 დენვერი**
**ტორონტო: ბრაუნი (24), კრისტი (20)**
**დენვერი: ნ[illegible] (24), ელისი (17+15 მოხსნა)**

დენვერი უკვე აღარ ფიქრობს ვინმეს გასწრებაზე, იგი ფიქრობს ორი თამაშის მოგებაზე, რომელიც მას სამარცხვინო სირცხვილისაგან იხსნის. ეს დენვერმა დარჩენილ 14 მატჩში უნდა მოახერხოს, თუ არა და, მაშინ დაამხობს ფილადელფიას ანტირეკორდს — სეზონში 9 გამარჯვებას. ისე, დენვერის ბოლო თამაშებს თუ გადავავლებთ თვალს, გუნდმა პროგრესს მიაღწია. ტორონტოსთან მოგება კი მისთვის ბოლო ხუთ თამაშში მეოთხე იქნებოდა, მაგრამ ივაჟკაცა მასპინძელმა ჩონსი ბილაპსმა (18 ქულა), ვინაც 12 ქულა ბოლო მეოთხედში მიითვალა. ბოლო ოცდახუთ წამში მან ოთხი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანებს მეთხუთმეტედ მოაგებინა.

**დეტროიტი 96:104 ფილადელფია**
**დეტროიტი: ჰილი (31+9 მოხსნა)**
**ფილადელფია: აივერსონი (38), რეთლიფი (18+10 მოხსნა)**

სეზონის დასაწყისში ამ გუნდებმა მოთამაშეები გაცვალეს: ფილადელფიამ ამომავალი ვარსკვლავი ჯერი სტეკჰაუზი და ცენტრი ერიკ მონტროსი დეტროიტში გაუშვა, იქიდან კი აარონ მაკკი და თეო რეთლიფი მიიღო. ფილადელფია თითქოს შეცდა, სტეკჰაუზი რომ დათმო, მაგრამ ამან დეტროიტში მომატების ნაცვლად უკლო და აქ მეორეხარისხოვან მოთამაშედ იქცა, სამაგიეროდ, ფილადელფიაში გაილაღეს მაკკიმ (12 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი) და რეთლიფმა, რომლებიც ყოფილი თავისიანების დამარცხებაში შეეშველნენ ალენ აივერსონს. ეს უკანასკნელი კი მართლაც შეუდარებელი იყო. მან დეტროიტის 6-ქულიანი ჩამორჩენა დაფარა, თავად კი 38 ქულით სეზონის რეკორდი გაიხერხა.

**ირაკლი ფირაშვილი**

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტას დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 46 | 21 | 68,7 |
| ნიუ იორკი | 36 | 30 | 54,5 |
| ნიუ ჯერსი | 35 | 32 | 52,2 |
| ვაშინგტონი | 34 | 33 | 50,7 |
| ორლანდო | 33 | 33 | 50,0 |
| ბოსტონი | 29 | 37 | 43,9 |
| ფილადელფია | 25 | 40 | 38,5 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 49 | 17 | 74,2 |
| ინდიანა | 46 | 20 | 69,7 |
| შარლოტი | 42 | 24 | 63,6 |
| ატლანტა | 40 | 25 | 61,5 |
| კლივლენდი | 36 | 30 | 54,6 |
| დეტროიტი | 30 | 36 | 45,5 |
| მილუოკი | 29 | 37 | 43,9 |
| ტორონტო | 15 | 50 | 23,1 |

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 48 | 17 | 73,8 |
| სან ანტონიო | 45 | 21 | 68,2 |
| ჰიუსტონი | 35 | 31 | 53,0 |
| მინესოტა | 33 | 33 | 50,0 |
| დალასი | 16 | 51 | 23,9 |
| ვანკუვერი | 15 | 50 | 23,1 |
| დენვერი | 8 | 60 | 11,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 50 | 15 | 76,9 |
| ლეიკერსი | 46 | 19 | 70,8 |
| ფინიქსი | 44 | 22 | 66,7 |
| პორტლენდი | 37 | 28 | 56,9 |
| საკრამენტო | 26 | 42 | 38,2 |
| კლიპერსი | 15 | 51 | 22,7 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 52 | 21,2 |

## ᲛᲣᲙᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲜᲘ

ნბა-ში ტრავმების ქარბორბალა ტრიალებს. ხან ვინ ხდება მისი მსხვერპლი, ხან ვინ — აქეთ სებალისი და გულიოტაო, იქით ჰარდევეი და იუინგი. კვირა არ გავა, ლიგას რომელიმე ვარსკვლავი არ დააკლდეს. მოკლედ, კალათბურთელებს ამოსუნთქვის საშუალება არ აქვთ. ახლახან ერთ-ერთი მათგანი ჰოსპიტალშიც კი გააქანეს — „ატლანტა ჰოქსის" გამთამაშებელს მუკი ბლეილკს ანემია აღმოაჩნდა. ბლეილკმა გამოტოვა 19 მარტის შეხვედრა მილუოკისთან და თავის გუნდს ვერც ნიუ იორკში გაჰყვება, სადაც ჰოქსი 20 მარტს ადგილობრივ ნიქსს ხვდება. ბლეილკს ტესტი ჩაუტარდება და თუკი შედეგები მის კარგად ყოფნას დაადასტურებს, მუკი გუნდს შეუერთდება, თუმცა ეს მეტად საეჭვოა. ბლეილკმა ტრავმის გამო ვერც დეკემბერში ითამაშა და სულ 55 მატჩში მიიღო მონაწილეობა. იგი კარიერაში მერვე სეზონს ატარებს და მატჩში საშუალოდ 12,7 ქულას, 6,6 პასსა და 2,5 ჩაჭრას აკეთებს.



მუკი ბლეილოკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# ის მართია ჯადოქარი

**18 მარტი.** პიტსბურგი — ედმონტონი 4:2, ოტავა — აილენდერსი 4:4, რეინჯერსი — მონრეალი 2:1, ნიუ ჯერსი — ანაჰაიმი 3:0, ვაშინგტონი — კაროლინა 1:0, ტამპა — ვანკუვერი 4:2, ტორონტო — დეტროიტი 2:5, სან ხოსე — დალასი 1:3

**19 მარტი.** ბოსტონი — ტორონტო 4:0, ბუფალო — ფლორიდა 6:1, ფილადელფია — ანაჰაიმი 3:3, ჩიკაგო — მონრეალი 1:0, ფინიქსი — კოლორადო 3:4

მონრეალთან შეხვედრაში გრეცკი ჯადოქარს მოგაგონებდათ. „ეს ნამდვილი საოცრება იყო. ბოლო ხუთ წუთში მოედანზე შაიბით ვერავის ნახავდით, უეინის გარდა" — აღფრთოვანებული ამბობდა მატჩის შემდეგ რეინჯერსის მეკარე მაიკ რიხტერი და მართლაც, მას მერე, რაც გუნდებმა მესამე პერიოდში გოლები გაცვალეს, გრეცკიმ არაჩვეულებრივი სანახაობით მოხიბლა მაყურებელი. ოვერტაიმში მან იმდენი ხელსაყრელი მომენტი შეუქმნა პარტნიორებს, რომ მათი გამოყენების შემთხვევაში ნიუიორკელები ბარე ერთი-ორ თამაშს მოიგებდნენ. საბოლოოდ უეინმა ისეთი პასით დაასაჩუქრა სტივენსი (1+1,14), რომ ამას ცარიელ კარში შეგდების გარდა აღარაფერი დარჩენოდა. რეინჯერსელებმა სეზონში პირველად გაიმარჯვეს დამატებით დროში და მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებიან კონფერენციაში მე-8 ადგილზე მყოფ ოტავას.

„სენატორებმა", თავის მხრივ, მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლეს აილენდერსთან საშინაო მატჩში, არადა, მანამდე შინ ზედიზედ ოთხჯერ მოიგეს. თუმცა შეხვედრის 48-ე წუთზე ვინმეს რომ ეთქვა, მასპინძლები თამაშს გადაარჩენენო, მას არავინ დაუჯერებდა. გამუდმებული შეტევების მიუხედავად, ოტაველებმა ვერაფრით დალაშქრეს უეიდ ფლაერტის კარი, ხოლო ნიუიორკელებმა მოწინააღმდეგის ყველა შეცდომა გამოიყენეს და ჩორსკის მეორე შაიბის შემდეგ (სულ — 12) მათმა უპირატესობამ 4 შაიბას მიაღწია. დარჩენილ დროში მასპინძლებმა, რომლებმაც ლამის წინა მატჩშიც აართვეს ქულა რეინჯერსს, ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, თანაც ძალიან კარგად ითამაშეს გუნდის მრავალრიცხოვანმა ევროპელმა ლეგიონერებმა. შვედმა ალფრედსონმა და ჩეხმა პროსპალმა 2-2 პასი მიითვალეს, ხოლო ლატვიელმა ჟოლტოკმა (9) საბოლოო გოლი გაიტანა. ნიუ იორკის ლიდერმა, სლოვაკმა ზიგმუნდ პალფიმ 13 თამაშამდე გააგრძელა თავისი ქულიანი სერია (10 გოლი და 8 პასი), რაც სეზონის საუკეთესო შედეგის გამეორება გახლავთ.

დალასმა, შეიძლება ითქვას, მინიმალური შესაძლებლობიდან მაქსიმუმი გამოიყენა — ბოლო ორი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ექვსჯერ დაარტყა, სამაგიეროდ, 3 შაიბა შეაგდო და პლეი-ოფისთვის მებრძოლ სან ხოსეს მეტად საჭირო ქულები წაართვა. აღსანიშნავია, რომ დაშავებული ლიდერების არყოფნაში დალასელთა სათადარიგო მოთამაშეები გამოირჩნენ. ჯეიმი რაიტმა და დენ კეჰმერმა, პირველად სეზონში, 2 შაიბა შეაგდეს, ძირითადი მეკარის, ბელფორის შემცვლელმა ტურეკმა კი 33 დარტყმა მოიგერია.

წააგეს სან ხოსეს კონკურენტებმაც — ედმონტონმა, ფინიქსმა და ტორონტომ. „ნეკერჩხლის ფოთლების" ბოლოდროინდელი გამოცოცხლება, როცა მათ ზედიზედ სამჯერ მოიგეს, როგორც ჩანს, დროებითი აღმოჩნდა და ორი დღის განმავლობაში ტორონტო ორჯერ დამარცხდა. მართალია, ფავორიტ დეტროიტთან შეხვედრაში ჯერ კიდევ 57-ე წუთამდე გუნდს ჰქონდა მატჩის გადარჩენის შანსი, მაგრამ დარჩენილ სამ წუთში კოზლოვმა (22) და დრეიპერმა 3 შაიბამდე გაზარდეს სტუმართა უპირატესობა. ბოსტონში კი კანადელებმა ვერაფერი მოუხერხეს მასპინძელთა მეკარე ბაირონ დაფოს (სეზონში მე-5 „შათაუტი") და ათამაშებულ „დათვებს" მოგება (ბოსტონელთათვის ზედიზედ მესამე) გადაულოცეს. კვლავ გამოიჩინა თავი ელისონ (29) — ხრისტიჩის (1 პასი) წამყვანმა დუეტმა, მაგრამ საუკეთესო მაინც სტივ ჰაინცე გახლდათ, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას. ჰაინცემ პირველი ორი გოლი (სულ — 18) გაიტანა და ამას ერთი პასიც მიაყოლა. გაბრაზებულმა „ნეკერჩხლის ფოთლებმა" კი აყალმაყალი ატეხეს, რომლის ინიციატორიც, რასაკვირველია, ტანმორჩილი „აგრესორი" ტაი დომი იყო. სწორედ მან ჩაითრია ჩხუბში ბოსტონელთა მშვიდი კაპიტანი, სახელოვანი რეი ბურკი.

ორი წამყვანი ფორვარდის — ტკაჩუკისა და ჯენის გარეშე დარჩენილმა ფინიქსმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კოლორადოს, მაგრამ ბოლო პერიოდში ვერ შეძლო მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება. ჯერ ფორსბერგის სამეულში დაბრუნებულმა ლემიემ (21) გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ლაკრუამ გამარჯვება მოუტანა სტუმრებს. ფინიქსელთაგან 2-2 ქულა მიითვალეს რენიკმა (1+1,20) და რონინგმა (2 პასი), რომელთაც ლიდერობა იკისრეს.

პლეი-ოფის საგზურის სხვა მაძიებელთა უიღბლობით კარგად ისარგებლა ჩიკაგომ, რომელმაც კილგერის (2) ერთადერთი შაიბით მონრეალს მოუგო და 65 ქულით მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. მას 1 ქულით ჩამორჩება ფინიქსი, ხოლო 3-ით — ედმონტონი.

ვანკუვერმა და ანაჰაიმმა კი, როგორც ჩანს, ყოველგვარი შანსი დაკარგეს. განსაკუთრებით დასანანია კანადელთა მარცხი ლიგის უსუსტეს გუნდ ტამპასთან. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთაგან ოთხივე შაიბა სეზონის განმავლობაში მიწვეული ჰოკეისტებით დაკომპლექტებულმა სამეულმა შეაგდო. ვეტერანმა სტეფან რიშემ 2 გოლი და 2 პასი გააკეთა, მას პარტნიორებმაც აუბეს მხარი — მონრეალიდანვე გადასულმა ტაკერმა (1+2,7) და ექსფლორიდელმა ჰალმა (12,4), რომლებიც მანამდე არაფრით გამოირჩეოდნენ, სეზონში საუკეთესო შედეგიანობა აჩვენეს. კვლავ ვერ ივარგა ვანკუვერელთა მეკარე გარტ სნოუმ, რომელმაც 8 დარტყმიდან მხოლოდ 5 მოიგერია.

ორ მონსტრთან — ნიუ ჯერსისთან და ფილადელფიასთან მოპოვებული ერთადერთი ქულაც კი ანაჰაიმს დიდ წარმატებად უნდა ჩაეთვალოს. მართალია, უძლიერესი მცველებით ცნობილ ნიუ ჯერსის არ გასჭირვებია სტუმართა ერთადერთი სუპერფორვარდის, სელიანეს განეიტრალება („ეშმაკების" მეკარე ბროდომ სეზონში მე-8 „მშრალი" მატჩი ჩაატარა, მცველმა ნიდერმაიერმა კი 2 (1+1) ქულა დააგროვა), მაგრამ „მფრინავებს" ანაჰაიმელები ტოლ-სწორად ეთამაშნენ: არამარტო მატჩი, გოლეადორთა — სელიანესა (44) და ლეკლერის (41) პაექრობაც ფრედ დასრულდა. ანაჰაიმელთა დებიუტანტმა ფრენკ ბენჰემმა თავის პირველ ხუთ საკარიერო თამაშში უკვე 3 გოლი გაიტანა.

ფლორიდამ ზედიზედ მე-11 მარცხი იწვნია. კრიზისში მყოფ „პანტერებს" ბუფალოში ვერაფერი იხსნიდა — მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დომინიკ ჰაშეკი (31 მოგერიება) ჩინებულ გუნებაზე იყო და ამით შეგულიანებულმა მისმა პარტნიორებმა შაიბებით დასეტყვეს შავკანიანი კევინ უიკსის კარი. 6 გოლიდან 3 მცველმა ალექსეი ჟიტნიკმა (2+0,12) და გუნდის კაპიტანმა მაიკ პეკამ (1+2,16) უმცირესობაში გაიტანეს.

**სამველ ლარიბიანი**



შავი და თეთრი: ფლორიდელი სტივ უოშბერნი და ბუფალოელი ალექსეი ჟიტნიკი



კეიტ ტკაჩუკი



ერიკ ლინდროსი

# დიდი (ნჰ)ლაზარეთი

მართალია, კატასტროფამდე ჯერ შორია, მაგრამ ფაქტია. შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული ლიგაში ტრავმების ეპიდემია მძვინვარებს. მარტო უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში ერთბაშად ოცი უძლიერესი მოთამაშე გამოაკლდა ნჰლ-ს. ერთ-ერთი გუნდი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა, ფინიქსი გახლავთ.

პლეი-ოფში გასასვლელად მებრძოლ „კოიოტებს" ჩემპიონატის ბოლომდე, ეტყობა, ორი საუკეთესო თავდამსხმელის გარეშე მოუწევთ თამაში. მანამდე ნეკნდაშავებულ კეიტ ტკაჩუკს მთავარი პლეიმეიკერი კრეიგ ჯენი დაემატა, რომელმაც ერთ-ერთი შეტაკებისას მუხლი იტკინა. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ შონფელდმა განაცხადა, ფინიქსს მოწინავე ფორვარდთა არყოფნაზე მეტად ის აწუხებს, რომ ჩვეული სათამაშო ტაქტიკის შეცვლა უხდება.

ტვინის შერყევამ საფრთხე შეუქმნა ანაჰაიმელ პოლ კარიას არცთუ ხანგრძლივ კარიერას, ვერც პიტსბურგელი კასპარაიტისის უხეშობით დაზარალებული ფილადელფიელი ერიკ ლინდროსი გამოკეთდა.

თითქოს გოლეადორ ბრეტ ჰალისა და პლეიმეიკერ პიერ ტარჯონის ტრავმები არ კმაროდა, სენტ ლუისს ახლა მეკარე გრანტ ფიური და მეორე სამეულის ცენტრი, ყბაგაპეხილი პავოლ დემიტრაც რომ არ მოესაკლისებინა. პლეი-ოფამდე ვერ დაბრუნდებიან ლოს ანჯელესის ფორვარდი ლუკ რობიტაილი და ნჰლ-ში „რკინის კაცად" წოდებული, მონრეალელი ვინსენ დამფუსი. სხვათა შორის, კანადელებს პირველი სამეულის თავდამსხმელი შეინ კორსონიც აკლიათ.

ამ სიას დალასელი „ვარსკვლავები" და კიდევ ბევრნი აგრძელებენ. ყურადსაღები კი ტრავმების ნაირგვარობაც გახლავთ. სპეციალისტთა აზრით, უხვტრავმიანობას თავისი სუბიექტური მიზეზები გააჩნია, რომელთაგან უმთავრესი მოთამაშეთა ფიზიკური კონდიციების ზრდაა. მოგეხსენებათ, თანამედროვე ჰოკეისტები ტანმაღალნი და ძალისმიერნი არიან, ნჰლ-ელთა საშუალო სიმაღლე, კარგა ხანია, 180 სმ-ს ასცდა, ხოლო 2-მეტრიანი და 100-კილოიანი გიგანტები თითქმის ყველა გუნდს ჰყავს. კლუბები ყოველწლიურ დრაფტებზე, პირველ ყოვლისა, სწორედ ფიზიკურად ძლიერ ახალგაზრდებს ირჩევენ.

გარდა ამისა, დიდ უკმაყოფილებას იწვევს ჰოკეისტთა თანამედროვე ალკაზმულობა და ახალაშენებული არენების მოწყობილობა. ალუმინისგან დამზადებული ყვანჯის ტარები მეტად აზიანებენ გზად შემხვედრ ჰოკეისტთა ზურგებს, მეტად მოუხერხებელია ახალი მოედნებიც. პერიოდების ბოლოს ყინული ისე რბილდება, რომ მუცლის არისა და საზარდულის ტრავმის ალბათობა იზრდება, რაც შეეხება შუშის ახალ ბორტებს, დალასელი მოდანო თავის დაშავებას სწორედ მათი კონსტრუქციული ხარვეზებით ხსნის.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ამ მოვლენას უფრო ღრმა, ობიექტური მიზეზები გააჩნია. ეს, ალბათ, გარდაუვალი პროცესია, რომლის შეჩერებაც ძალიან ძნელია.

საქმე ის გახლავთ, რომ 1991 წლიდან ლიგამ გაფართოების ორი ეტაპი განვლო, რის შედეგადაც ნჰლ-ის გუნდების რაოდენობა 21-დან 26-მდე გაიზარდა. შესაბამისად, პლეი-ოფში გასვლაც გაძნელდა. თავად განსაჯეთ: ადრე ოთხი დივიზიონიდან სამში 5-5, ხოლო ერთში 6 ასპარეზობდა, ამიტომ პლეი-ოფამდე მისაღწევად კლუბებს ბოლო ადგილის გარდა ყველა დანარჩენი აძლევდა ხელს (ვიმეორებთ, გარდა ერთი დივიზიონისა, სადაც 6 გუნდიდან 2 ეთიშებოდა ბრძოლას).

ახლა კი გაფართოებამ და სათასო ეტაპზე გასვლის წესის შეცვლამ, რომლის თანახმადაც დივიზიონის არა ოთხ-ოთხი საუკეთესო, არამედ კონფერენციის პირველი რვეული აგრძელებს ასპარეზობას, ბრძოლა ერთობ გაამძაფრა — იღბლიანთა ვინაობა თითქმის ბოლო მატჩამდე უცნობია. მაგალითად წყნარი ოკეანის დივიზიონის წლევანდელი მდგომარეობაც იკმარებს: მესამე ადგილზე მყოფ ედმონტონსაც კი არანაირი გარანტია არა აქვს, რომ სტენლის თასზე ითამაშებს. ამიტომ ყოველ შეხვედრაში თითოეული ქულა ძვირად ფასობს და ასეთ ვითარებაში გუნდები ბრძოლის ბინძურ მეთოდებზეც არ ამბობენ უარს. ამის ყველაზე ნათელი დადასტურება ანაჰაიმელ პოლ კარიას ტვინის შერყევაა. ძნელია იმის მტკიცება, რომ ჩიკაგოს მცველმა გერი სუტერმა ეს განზრახ გააკეთა, ანაც მატჩის წინ მწვრთნელებისგან საგანგებო დავალება მიიღო, მაგრამ ფაქტია, რომ კარია უკვე თვეზე მეტია, არ თამაშობს. მისი და სელიანეს დუეტი კი, მოგეხსენებათ, თითქმის ნახევარი გუნდის ტოლფასია და ანაჰაიმმაც, ფაქტობრივად, ყველა შანსი დაკარგა. ალბათ, არც არის გასაკვირი, რომ ახლა, როცა პლეი-ოფში მოსახვედრად პაექრობა უაღრესად გამწვავდა, ტრავმების რაოდენობამ მკვეთრად იმატა და ეს არ არის ზღვარი — მთელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუნდებშემატებულ ლიგას სულ უფრო და უფრო ნაკლებად ჰყავს ნამდვილი ვარსკვლავები (თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა). ამიტომაცაა, რომ ნჰლ-ის მთელ რიგ კლუბებს (ფლორიდა, ტამპა, სან ხოსე), ფაქტობრივად, არ ჰყავთ გამორჩეული ლიდერები. ცხადია, ასეთი გუნდები ერთადერთ გზას მიმართავენ — მეტოქეთა შებოჭვას და მათ საუკეთესო მოთამაშეთა დაშინების ტაქტიკას. ტყუილად როდი თქვა ანაჰაიმელმა ტეემუ სელიანემ, ორი-სამი წლის წინ უძლიერესთა დიდი რიდი ჰქონდათ, ახლა კი ყოველ მატჩში ცდილობენ, ძალისმიერი თამაშით გამოგვიყვანონ მწყობრიდან, რაც ძალიან შემაშფოთებელიაო.

ამასობაში კი ლიგა 30 გუნდამდე გაფართოებას აპირებს, რაც, ალბათ, კიდევ უფრო გაამწვავებს სიტუაციას. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ნჰლ-ის მესვეურები გულხელდაკრეფილნი სხედან და მოვლენების ამგვარ განვითარებას გულგრილად შეჰყურებენ. რასაკვირველია, ლიგა ბევრს აკეთებს, რათა უხეშობამ ნაკლებად დააზარალოს ჰოკეი და იგი უფრო ლამაზ და საინტერესო სანახაობად იქცეს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მოძალადენი გაცილებით მკაცრად უნდა დაისაჯნონ.



პოლ კარია

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29